საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№39 (415)
25 - 31 ოქტომბერი, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## «ადრე თუ გვიან, მოგვიწევს რუსეთის შემადგენლობაში ყირიმის აღიარება» 7

# «ფარული ჩანაწერებით დღემდე აშანტაჟებენ სასულიერო პირებს, მათ შორის, სინოდის წევრებს» 4

«ილია მეორის მოცილებით საქართველოს საპატრიარქოში მოვიდოდა ძალა, რომელიც გაცილებით შემწყნარებლური იქნებოდა ჰომოსექსუალების მიმართ და, დასავლეთის დაჟინებული მოთხოვნით, ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების დაკანონება თვეების საკითხი გახდებოდა» 2



«ოხანაშვილს რამდენიმე მეუფესთან ყოველდღიური კავშირი აქვს და ალტერნატიული საპატრიარქოს შექმნაზე მუშაობს»

# კანდელი თუ «ტარიანი»? 5

## პრეზიდენტის მეუღლე და ნარკოტიკის პროპაგანდა სატელევიზიო ეთერში 14



## ვინ უფრო საშიშია საზოგადოებისთვის — ჭკვიანი უცოდინარი თუ უჭკუო უმეცარი? 8

## საქართველოს ეძლევა უნიკალური შანსი, ჩამოყალიბდეს წამყვან, საერთაშორისო სტანდარტების მქონე ცენტრად ეპილეფსიის კვლევისა და მკურნალობის დარგში 9

# მეხუთე კოლონა «საქართველო და მსოფლიოს» წინააღმდეგ 10

## რატომ ესხმიან თავს სოროსის მოთარეშეები ობიექტურ მედიას?

«რომ გაიძახიან უმადურები, 700 ათასი ქართველი სხვის ომში იბრძოდაო, მინდა ვკითხო მათ: ჰიტლერი საქართველოში ფორჩიანი კანფეტების დასარიგებლად მოდიოდა? აი სულ მაგ აზრზე იყვნენ გებელსი და ჰიმლერი!» 22

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პატრიარქს, როცა მის გვერდით ოხანაშვილი იმყოფებოდა, ხელზე არ ეკეთა სპეციალური სამაჯური, რომელიც ვითომ მის ჯანმრთელობას აკონტროლებდა. ხოლო, როგორც კი ოხანაშვილი პატრიარქს მარტო ტოვებდა, ხელზე სამაჯურს უკეთებდა და ეუბნებოდა, რომ ეს იყო სწორედ ის, რაც მას მშვიდად ძილის შესაძლებლობას მისცემდა, რადგან სამაჯური პატრიარქის ჯანმრთელობას აკონტროლებდა. რეალურად კი ამერიკის საელჩოსა და ხელისუფლებას ყური პატრიარქის სასთუმალზე ედო და ისმენდა ყველაფერს, რასაც პატრიარქი ოხანაშვილის არყოფნისას საუბრობდა.**

# ოხანაშვილს რამდენიმე მეუფესთან ყოველდღიური კავშირი აქვს და ალტერნატიული საპატრიარქოს შექმნაზე მუშაობს

## ილია მეორის მოცილებით საქართველოს საპატრიარქოში მოვიდოდა ძალა, რომელიც გაცილებით შემწყნარებლური იქნებოდა ჰომოსექსუალების მიმართ და, დასავლეთის დაჟინებული მოთხოვნით, ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების დაკანონება თვეების საკითხი გახდებოდა

**საპატრიარქოს გარშემო ატეხილი სკანდალი, ერთი შეხედვით, მინელდა. უფრო ზუსტად, ე.წ. ციანიდის საქმე ჩაცხრა და ახლა ადვოკატები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდებიან, მაგრამ ძნელი სავარაუდოა, სასამართლომ გადაწყვეტილება შეცვალოს და მამა გიორგი მამალაძე გაამართლოს. სამაგიეროდ, საპატრიარქოში დაწყებულმა დაპირისპირებამ პიკს მიაღწია და, შეიძლება ითქვას, წმინდა სინოდის წევრები წესების გარეშე ბრძოლაზე გადავიდნენ. ეს, რა თქმა უნდა, სინოდის ყველა წევრს არ ეხება, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი არათუ ბინძურ საქმეებში გარეული აღმოჩნდა, არამედ ერთმანეთის საწინააღმდეგო კომპრომატებიც აქვთ ეპარქიებში „დასაწყობებული“ და სწორედ ამ კომპრომატების გამოა, რომ ეპისკოპოსები ბევრ რამეზე ხუჭავენ თვალს...**



სოსო ოხანაშვილი

11 ოქტომბერს სინოდის სხდომა მოიწვიეს. თბილისამდე ჩამოსვლა მხოლოდ ორი ეპარქიის ხელმძღვანელმა ვერ მოახერხა, დანარჩენები კი დათქმულ დროს გამოცხადდნენ და სახეზე ყველას გაოცება ეხატა — არავინ იცოდა, ასე მოულოდნელად რატომ მოიწვიეს წმინდა სინოდის სხდომა. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, წმინდა სინოდის სხდომის მოწვევა პატრიარქის ქორეპისკოპოსის, **მეუფე იაკობის** დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გადაწყდა. როგორც გვითხრეს, მეუფე იაკობი ჭყონდიდის მიტროპოლიტის, მეუფე პეტრეს (ცაავა) პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აპირებდა; გადაწყვეტილი იყო, სინოდიდან გაერიცხათ და მღვდელთმსახურებაც აეკრძალათ. ამბობენ, მეუფე იაკობს ამის გარანტია სინოდის თითქმის მთელმა შემადგენლობამ მისცაო, მაგრამ, როგორი მოულოდნელიც იყო სინოდის სხდომის დანიშვნა, ისეთივე მოულოდნელი აღმოჩნდა გადაწყვეტილება, რომელიც სინოდმა მიიღო:

**„1) მთავარეპისკოპოს ექვთიმეს აღუდგეს ღვთისმსახურების უფლება.**

**2) მიტროპოლიტი სერაფიმე გამწესდეს მამათა მონასტერში და აღუდგეს მღვდელმოქმედების უფლება;**

**ბ) მიტროპოლიტ სერაფიმეს საქართველოს საპატრიარქოდან დაენიშნოს ყოველთვიური ფინანსური დახმარება;**

**3) ეპისკოპოს ქრისტეფორეს (წამალაიძე) მიეთითოს, რომ იგი უნდა დაემორჩილოს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც იგი გამწესებული იყო მონასტერში სინანულისათვის; წინააღმდეგ შემთხვევაში წმიდა სინოდი განსახილველად აღარ დაუბრუნდება მის პერსონალურ საკითხს...“**

აი ეს იყო მთავარი საკითხები. სინოდმა იმსჯელა გიორგი მამალაძის საქმეზეც, მაგრამ გადაწყდა, რომ, სანამ სააპელაციო სასამართლო არ დასრულდება, ეკლესია არაფერს მოიმოქმედებს.

**რა გამოვიდა? — ეპარქიებიდან მღვდელმთავრები სასწრაფოდ იმისთვის ჩამოიყვანეს, რომ ქრისტეფორე წამალაიძისთვის, რომელსაც ეკლესია გადაცდომას ედავებოდა, 18 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ ეთქვათ, მოინანიეო?** მით უმეტეს, რომ 1999 წელს, სინოდის სხდომის გადაწყვეტილებით, მეუფე ქრისტეფორე ყველაფერში გამართლდა, ამის ოქმიც არსებობს, მაგრამ ის ოქმი ადრესატამდე, ანუ მეუფე ქრისტეფორემდე არ თუ ვერ მივიდა.

როგორც ჩვენმა წყარომ გვითხრა, სხდომაზე საკმაოდ მწვავედ ისაუბრა მეუფე იაკობმა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ჭყონდიდის მიტროპოლიტის წინააღმდეგ სინოდი კრინტს არ დაძრავდა. მეუფე პეტრე თურმე ირონიული ღიმილით უყურებდა არა მხოლოდ მეუფე იაკობს, არამედ რამდენიმე მღვდელმთავარსაც, რომლებზეც უამრავი კომპრომატი აქვს და ეს, პირველ რიგში, პატრიარქის ძმისშვილს, ბათუმის მიტროპოლიტს, **მეუფე დიმიტრის** ეხება.

საეჭვოა, მეუფე პეტრეს მეუფე დიმიტრი გაეწირა, რადგან ისინი, დიდი ხანია, ერთ ნავში სხედან და ნიჩბებსაც ერთად უსვამენ, მაგრამ, თუ დასჭირდებოდა, აუცილებლად იტყოდა, რომ მეუფე დიმიტრი უკანონო მიტროპოლიტია. დიდი სჯულის კანონის მიხედვით, **„ეპისკოპოსმა არ უნდა დაასხას ხელნი და მიმადლოს ეპისკოპოსობის პატივი ძმას, შვილს, თავის ნათესავს ან სხვას, ვისაც უნდა, რადგან არ არის სამართლიანი, ეპისკოპოსობა მემკვიდრეობით გადასაცემ პატივად აქციოს და ღვთის საკუთრება ადამიანური ვნებების მისამადლებელი საჩუქარი გახადოს. თუ ვინმემ ჩაიდინოს ეს, მისი ხელდასმა იყოს დაუმტკიცებელი, ხოლო ის უზიარებლობით დაისაჯოს...“**

მიტროპოლიტ დიმიტრის, დიდი ხანია, პატრიარქობა ესიზმრება და, ყველაზე კარგად თვითონ იცის, რომ ამის უფლება, უბრალოდ, არ აქვს, თუმცა მას არც ეპისკოპოსობის უფლება ჰქონდა, მაგრამ მიიღო. შესაბამისად, ვერავინ აუხსნა, რატომ არ უნდა მიეღო პატრიარქობა. აუხსნა კი არა, გასაგებად უთხრეს, რომ ყველაზე რეალური კანდიდატია და პატრიარქის ტახტისთვის უნდა ებრძოლა. ასე მოხვდნენ ერთ ნავში მეუფე პეტრე, მეუფე დიმიტრი, **მეუფე სპირიდონი** (სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი), **მეუფე გრიგოლი** (ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი)... მეუფე დიმიტრის მეცადინეობით, მისი სიძე, **სოსო ოხანაშვილი**, პატრიარქის დაცვის უფროსად დაინიშნა, ხოლო საპატრიარქოს ქონება ჩაიბარა მეორე სიძის ძმამ, დეკანოზმა **გიორგი მამალაძემ.**

ბევრს გაუკვირდა, უცერემონიოდ რატომ დაითხოვა ციანიდის სკანდალის შემდეგ პატრიარქმა თავისი პირადი დაცვის უფროსი სამსახურიდან და რატომ არავინ შეეწინააღმდეგა მის გადაწყვეტილებას. საქმე ის არის, რომ, როცა ოხანაშვილი პატრიარქის დაცვის უფროსად დაინიშნა, ქვეყანაში ძალიან აქტიურად განიხილებოდა პატრიარქის ჩანაცვლების საკითხი. ნაციონალების ზეობის პერიოდში სააკაშვილის გუნდი აკონტროლებდა ყველას და ყველაფერს, გარდა საპატრიარქოსი, ამიტომ გადაწყდა, საპატრიარქო ოხანაშვილის ხელით გაეკონტროლებინათ. **ოხანაშვილის სანდოობაში „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას ეჭვი არ ეპარებოდა, რადგან ოხანაშვილს პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰქონდა გავლილი და ელიტური ამერიკული სპეცდანაყოფის — „მწვანე ბერეტების“ წევრიც იყო. ჰოდა, ამერიკის საელჩოს მონდომებით, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მეუფე დიმიტრის ხელშეწყობით, სოსო ოხანაშვილი პატრიარქის დაცვის უფროსი გახდა.**

ციანიდის სკანდალის შემდეგ კი, როცა პატრიარქს თავისმა უახლოესმა გარემოცვამ ოხანაშვილზე ჩამოუგდო სიტყვა, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი გაბრაზდა, მაგრამ მას ერთი უცნაური ფაქტი გაახსენეს: **პატრიარქს, როცა მის გვერდით ოხანაშვილი იმყოფებოდა, ხელზე არ ეკეთა სპეციალური სამაჯური, რომელიც ვითომ მის ჯანმრთელობას აკონტროლებდა, ხოლო, როგორც კი ოხანაშვილი პატრიარქს მარტო ტოვებდა, ხელზე სამაჯურს უკეთებდა და ეუბნებოდა, რომ ეს იყო სწორედ ის, რაც მას მშვიდად ძილის შესაძლებლობას მისცემდა, რადგან სამაჯური პატრიარქის ჯანმრთელობას აკონტროლებდა. რეალურად კი ამერიკის საელჩოსა და ხელისუფლებას ყური პატრიარქის სასთუმალზე ედო და ისმენდა ყველაფერს, რასაც პატრიარქი ოხანაშვილის არყოფნისას საუბრობდა.**

თუ გახსოვთ, ციანიდის სკანდალიდან რამდენიმე საათში, ოპოზიციურმა ფლანგმა, ანუ ყოფილმა ნაციონალებმა, **გიგა ბოკერიას** მეთაურობით, განაცხადეს, ამ დანაშაულში რუსული კვალი იკვეთებაო. თუ დავუშვებთ, რომ პატრიარქის მოცილება რუსეთს სურდა და დეკანოზი მამალაძე რუსული სპეცსამსახურების კაცი იყო, ჩნდება კითხვა: რატომ დარბოდა ციანიდის საშოვნელად მამალაძე თბილისში, რა, რუსეთის სპეცსამსახურები ვერ მოახერხებდნენ ციანიდის საჭირო დოზის შოვნას თუ გადაცემა გაუჭირდებოდათ? აი ამ უბრალო არგუმენტით რუსული კვალი ქრება და წინა პლანზე იწევს ე.წ. ლიბერალური დაჯგუფებების სახეები.

საბერძნეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 2016 წელს წინააღმდეგობა ვერ გაუწია ქვეყნის ხელისუფლებას და საბერძნეთის პარლამენტმა ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინება ოფიციალურად დააკანონა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის გარდა, ერთადერთი ეკლესია, რომელიც ერთნაირსქესიანთა ქორწინების კატეგორიული წინააღმდეგია, რუსეთის მართლამდიდებელი ეკლესიაა. რა გამოდის — ილია მეორის მოცილებით საქართველოს საპატრიარქოში მოვიდოდა ძალა, რომელიც გაცილებით შემწყნარებლური იქნებოდა ჰომოსექსუალების მიმართ და, დასავლეთის დაჟინებული მოთხოვნით, ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების დაკანონება თვეების საკითხი გახდებოდა.

**„წმინდა სინოდში არიან მეუფეები, რომელთა იქ ყოფნა კანონით არ შეიძლება. სინოდში არის არასრულწლოვანის გაუპატიურებისთვის ნასამართლევი პირი, არის მამათმავალი, არის ქურდი, ყაჩაღი... ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცის მეუფე პეტრემ, რომელიც ახალაიების თვალი და ყური იყო სამეგრელოში. მეუფე პეტრე გახლდათ აწ გარდაცვლილი სულხან მოლაშვილის პირადი მოძღვარი და სწორედ მეუფე პეტრე სთხოვდა მოლაშვილს კატეგორიულად (ეს არ იყო რჩევა, ეს იყო მოთხოვნა), რომ მას სტრასბურგიდან სარჩელი გამოეტანა და „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ არ წასულიყო. მეუფე პეტრეს სინოდის ბევრ წევრზე იმდენი კომპრომატი აქვს, რამდენიც შეიძლება სამეგრელოს ტყეებში აღმოჩენილ კასრებშიც არ იყო და ამიტომ 11 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე ჭყონდიდის მიტროპოლიტზე აუგი არავის დასცდენია“,** — გვითხრა ჩვენმა წყარომ.

როცა უმძიმეს დანაშაულში ბრალდებული მეუფეებით დავინტერესდით, გავარკვიეთ, რომ სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი, **მეუფე სპირიდონი**, ერისკაცობაში **გოჩა აბულაძე** ახალგაზრდობაში არასრულწლოვნის გაუპატიურების გამო იყო ნასამართლევი. მას ბრალი მეგობრის შვილის გაუპატიურებაში ედებოდა. უფრო საინტერესო კი ის არის, რომ საპატრიარქოში მეუფე დიმიტრიმ მიიყვანა, ▶



# უპრეცედენტო ტერორისტული შეტევა

**დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის (M15) ხელმძღვანელმა ენდრიუ პარკერმა განაცხადა, რომ სპეცსამსახურში 34 წლის განმავლობაში მუშაობისას არ ახსოვს, სამეფოს ტერიტორიაზე ამდენი ტერაქტი ან ტერაქტის მცდელობა რომ მომხდარიყო. ამის თაობაზე წერს The Independent-ი.**

პარკერმა თქვა, რომ დიდი ბრიტანეთი „უპრეცედენტო და დაუნდობელი ტერორისტული შეტევის“ ადგილია. თავისი ამ დასკვნის დასადასტურებლად მან მოიხმო სტატისტიკა: ამა წლის შვიდი თვის განმავლობაში მისმა უწყებამ და პოლიციამ აღკვეთა 7 ტერაქტი, დააკავა 379 ეჭვმიტანილი.

ამასთანავე, კონტრდაზვერვა იძიებს ექსტრემიზმისა და ტერორიზმის 500 საქმეს, რომელთა ფიგურანტებად სამი ათასი ადამიანია წარმოდგენილი, კიდევ 20 ათასი სამართალდამცავი ორგანოების ყურადღების ველშია მოქცეული. პარკერმა ასევე თქვა, რომ არ ფლობს ზუსტ მონაცემებს იმ პოტენციურ ჯიჰადისტებზე, რომლებსაც შეუძლიათ ტერაქტების განხორციელება; აღნიშნა, რომ თანამედროვე ტერორისტული თავდასხმები ხორციელდება სწრაფად — თავდასხმის დაგეგმვიდან რამდენიმე დღეში ან სპონტანურად.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ოხანაშვილის სანდოობაში „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებას ეჭვი არ ეპარებოდა, რადგან ოხანაშვილს პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰქონდა გავლილი და ელიტური ამერიკული სპეცდანაყოფის — „მწვანე ბერეტების" წევრიც იყო. ჰოდა, ამერიკის საელჩოს მონდომებით, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მეუფე დიმიტრის ხელშეწყობით, სოსო ოხანაშვილი პატრიარქის დაცვის უფროსი გახდა.

◀ პატრიარქსაც მან გააცნო და...

საპატრიარქოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მეუფე სპირიდონის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ ის ბერად 2006 წლის 23 დეკემბერს აღიკვეცა, ერთი დღის შემდეგ კი, ანუ 2006 წლის 24 დეკემბერს ეპისკოპოსად აკურთხეს. ნამდვილად ვერ გეტყვით, აქვს თუ არა სხვა მეუფეს ერთ დღეში ასეთი კარიერული ნახტომი, მაგრამ, მეუფე დიმიტრის მეცადინეობით, ყოვლადუსამღვდელოესი სპირიდონისთვის გამონაკლისი დაიშვა.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, **მეუფე გრიგოლი**, ერისკაცობაში **გურამ გრიგოლის ძე ბერბიჭაშვილი** მანქანის ქურდობაზეა ნასამართლევი, უფრო ზუსტად, მანქანების ქურდობაზე. მეუფე გრიგოლი თავის დროზე ე.წ. პერეგონშიკი იყო და ამის გამო სასჯელიც მოიხადა, თუმცა ამას არ შეუშლია ხელი, მეუფე დიმიტრის მეშვეობით, პატრიარქთან დაახლოებულიყო. მეუფე სპირიდონისგან განსხვავებით, ბერად აღკვეცის შემდეგ მეუფე გრიგოლს ეპისკოპოსობა სამი დღით დაუგვიანდა. სავარაუდოდ, პატრიარქი მისმა გვარმა ჩააფიქრა, ალბათ, იმანაც, რომ ილია ჭავჭავაძეს ტყვია **გიგლა ბერბიჭაშვილმა** ესროლა და ახლა ბევრს ეხამუშებოდა, ისევ ილიასთან ახლოს ისევ ბერბიჭაშვილის ყოფნა, თუმცა მეუფე დიმიტრი შეუვალი იყო და საპატრიარქოში ილია ჭავჭავაძის მკვლელის მოგვარის მიყვანით პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა. მეუფე დიმიტრი ხშირად ისე იქცეოდა, როგორც პატრიარქი, და ამას არც მალავდა. მეუფეებს არ სურდათ ილია მეორისთვის გულის ტკენინება და ამიტომ მეუფე დიმიტრის ბევრ რამეს მიუტევებდნენ, როგორც ჩანს, მიუტევებდა პატრიარქიც. სხვანაირად არ აიხსნება ის გარემოება, **რატომ არ მოსთხოვა პასუხი პატრიარქმა ძმისშვილს, როცა მას წინ დაუდეს დოკუმენტები, რომელთა მიხედვით, მეუფე დიმიტრის მიერ ადრიალო გახსნილი საპატრიარქოს გიმნაზიის სახელით, უცხოეთიდან საქართველოში თამბაქო და ალკოჰოლური სასმელი შემოვიდა.** მეუფეს გიმნაზია ეპარქიაზე აქვს მიბმული, ამის გამო საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს და, როგორც ჩანს, ბიზნესი დაატრიალა. ბიზნესსაქმიანობით არის დაკავებული **მეუფე პეტრეც**, რომლის სიმდიდრეზეც სამეგრელოში ლეგენდები დადის, თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, მღვდელმთავრები მასზე საუბარს კომპრომატების შიშით ერიდებიან.

**„ყველა მღვდელმთავარმა იცის, რომ ციანიდი არა შორენა თეთრუაშვილის, არამედ პატრიარქის მოსაკლავად სჭირდებოდათ. იმასაც ამბობენ, რომ გერმანიაში, პატრიარქის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი გაკვეთის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდოდა, პირველ რიგში, მეუფე დიმიტრი და შემდეგ ის შემადგენლობა, რომელიც მას უჭერს მხარს. მოითხოვდნენ, რომ პატრიარქისთვის მხოლოდ რაიმე სინჯი აეღოთ, შემდეგ დაინიშნებოდა ექსპერტიზა და რამდენ ხანს გაჭიანურდებოდა, არავინ იცის. შემდეგ ეს სინჯები საქართველოში ჩამოვიდოდა, მანამდე ახალ პატრიარქსაც აირჩევდნენ და ამით დასრულდებოდა ის, რაც დაიწყეს და, საბედნიეროდ, არ გამოუვიდათ. ჰკითხეთ სხვა მეუფეებსაც, მათ, ვინც პატრიარქს უდგას გვერდით, ვისი მოკვლა სურდა გიორგი მამალაძეს და გეტყვიან. პრაქტიკულად ყველა მღვდელმთავარმა ნახა პროკურატურის მიერ ჩაწერილი კადრები, ის კადრები, რომლებიც ფართო საზოგადოებას არ უნახავს და ეჭვის შეტანა გამორიცხულია — ციანიდი პატრიარქისთვის იყო განკუთვნილი",** — გვითხრა ჩვენმა წყარომ.

მანვე ერთი საინტერესო ფაქტი გაგვახსენა: თუ გახსოვთ, სოსო ოხანაშვილმა, როცა საქართველოდან წავიდა, განაცხადა, რომ ეს არ იყო გაქცევა, გერმანიაში სამუშაოდ წავიდა, რათა მრავალსულიანი ოჯახი ერჩინა და, როცა უმუშევარი დარჩა, ფინანსური პრობლემები შეექმნა. ოხანაშვილმა იცრუა: ის გერმანიაში კი არ მუშაობს, არამედ საკუთარ ფეშენებელურ ვილაში ცხოვრობს და იქიდან ცდილობს საქართველოში ალტერნატიული საპატრიარქოს შექმნას. ანუ, ოხანაშვილს პეტრე ცაავასთან, თავის სიმამრ მეუფე დიმიტრისთან და კიდევ რამდენიმე მეუფესთან ყოველდღიური კავშირი აქვს და ალტერნატიული საპატრიარქოს შექმნაზე მუშაობს. ალტერნატიული საპატრიარქოს შექმნა და მეორე პატრიარქის არჩევა მართლმადიდებლური ეკლესიისთვის უცხო ხილი არ არის და ასეთი რამ სხვა ქვეყნებშიც მომხდარა, რასაც ეკლესიის დისკრედიტაცია და ავტორიტეტის განადგურება მოჰყოლია. ათეული წლების განმავლობაში პატრიარქის ურყევი ავტორიტეტი ბევრს უკარგავს მოსვენებას და, როგორც ჩანს, მისი მოკვდინება რომ ვერ მოახერხეს, ახლა სულიერ განადგურებას აპირებენ.

**გადახედეთ სოსო ოხანაშვილის მიერ საპატრიარქოში მიყვანილ კადრებს და დარწმუნდებით, რომ ის ნაციონალების ხელის ბიჭი და ამერიკის საელჩოს მონა იყო.** ავიღოთ თუნდაც **ტარას შავიშვილი**, რომელიც **დიმიტრი შაშკინის** კადრია, თვით შაშკინი კი ხელისუფლებაში ამერიკის საელჩოს რეკომენდაციით მივიდა. **შავიშვილი, რომელიც ახლა თურმე სინანულით ამბობს, რომ საპატრიარქოში ილია მეორის მტრები მომრავლდნენ, ერთ-ერთი იყო, ვინც საპატრიარქოს ხარჯზე ბიზნესს აკეთებდა, ხოლო ახალგაზრდობაში კრიმინალსა და არასრულწლოვნებთან კავშირზეც არ ამბობდა უარს.** ეს კაცი ნაციებმა 53-ე სკოლის დირექტორადაც კი დანიშნეს, მაგრამ მოსწავლეებისა და მშობლების პროტესტის შემდეგ იძულებული შეიქნენ, დირექტორობიდან გაეშვათ და... საპატრიარქოში განემწესებინათ. ჩვენმა წყარომ გვითხრა, ოხანაშვილ-შავიშვილის მიერ საპატრიარქოში დამონტაჟებულ მისაყურადებელ აპარატურას დღემდე პოულობენ და პატრიარქს უმალავენო.

ამ ყველაფერში თითქოს არ იკვეთება პატრიარქის მდივან-რეფერანტ **შორენა თეთრუაშვილის** დანაშაული, პირიქით, იგი ხელისუფლებას მსხვერპლად გამოჰყავს, მაგრამ პატრიარქის გარშემო შეკრებილ მეუფეთა მცირე ჯგუფი სულ უფრო ხშირად აპელირებს იმაზე, რომ თეთრუაშვილს ძალიან დიდი ძალაუფლება აქვს. საქმე ის არის, რომ ამ ქალბატონს ხელთ უპყრია საპატრიარქოს ბეჭედი და პატრიარქის ფაქსიმილე, ანუ ნებისმიერ მომენტში შეუძლია, საპატრიარქოს ბლანკზე პატრიარქის ხელმოწერით ნებისმიერი წერილი დაბეჭდოს, საპატრიარქოს ბეჭედი დაარტყას და გაგზავნოს... ვიღაც იტყვის, ამას როგორ იკადრებსო, მაგრამ უკვე იკადრა, ბატონებო! საქართველოს მაოხრებელ პრეზიდენტს, **მიხეილ სააკაშვილს**, ახალი წელი პატრიარქის სახელით მიულოცა და, როგორც გაირკვა, ტელეფონითაც ესაუბრა. რატომ მისტირის თეთრუაშვილი პრეზიდენტყოფილს, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ პატრიარქს რამდენიმე მეუფემ სთხოვა, ეგებ ქადაგებაში თქვა, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სამშობლოში უნდა დაბრუნდეს და არ იდევნებოდეს **ზვიად გამსახურდიასავით.** საქართველოს პირველ პრეზიდენტზე აქცენტი შეგნებულად გაკეთდა, რადგან სურთ, სააკაშვილი გამსახურდიას შეადარონ და მერე მიშას „ბრალი" ეროვნულობაში დასდონ, თორემ აღმაშენებელს უკვე შეადარა **მიტროპოლიტმა კალისტრატემ.** იმ კალისტრატემ, რომელიც, შესაძლოა, ცოტა ხნით, მაგრამ პატრიარქად მაინც მოგვევლინოს. პატრიარქის გარდაცვალების შემთხვევაში (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს!), პატრიარქის ანდერძს ხსნის სინოდის ქიროტონიით (ხელდასხმით) უპირატესი ეპისკოპოსი, ამ შემთხვევაში მეუფე კალისტრატე. თუ პატრიარქის ანდერძში მემკვიდრეზე მინიშნება არ არის, წმიდა სინოდის მოწვევისა და ახალი პატრიარქის არჩევის მომენტამდე პატრიარქის მოვალეობას სწორედ ეს ეპისკოპოსი, ამ შემთხვევაში კალისტრატე, ასრულებს. სხვათა შორის, მეუფე კალისტრატეს ნაციონალები მომავალ პატრიარქად განიხილავდნენ, ამაზე დაუფარავად საუბრობდნენ და, როგორ გგონიათ, ყველაზე მეტად ვის ეწყინებოდა ხელისუფლების ცვლილება „გადამწყვეტ მომენტამდე" ცოტა ხნით ადრე?!

მთავარი, რაც არ გვითქვამს: **ანდერძზე ხელი მიუწვდება სწორედ ქალბატონ შორენას, ანუ მას თავისუფლად შეუძლია, საცავიდან პატრიარქის ანდერძი გამოიღოს, გადაწეროს, ბეჭედი დაარტყას, ფაქსიმილეთი ხელიც მოაწეროს და [illegible] მერე თქვენ გეტყვით და, „პერეგონშიკ" გრიგოლს შეაწერებს სინდისი, არასრულწლოვნებზე მოძალადე სპირიდონი გაწითლდება თუ მეუფე პეტრე იტყვის რამეს?! ან მეუფე დიმიტრი, რომლისკენაც მიდის ყველა ის გზა, რომელიც პატრიარქის მოკვდინებას უკავშირდება, ხმალს ამოიღებს და „მარჯვნივ და მარცხნივ აკაფავს მტერს?!"** არა, ბატონებო, ყველა თავის გადარჩენისთვის დაიწყებს ბრძოლას, ყველას მოუნდება ტახტზე დაჯდომა და, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ხელისუფლების მხარდაჭერას მიიღებს ის, ვინც ყველაზე ლიბერალად წარმოაჩენს თავს.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: დღეს მხოლოდ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიები ეწინააღმდეგებიან ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების დაკანონებას, დანარჩენები დანებდნენ თავიანთ ხელისუფლებას. აქვე ისიც ვთქვათ, რომ რამდენიმე დღის წინათ სამხრეთ ოსეთის ე.წ. ხელისუფლებამ იეჰოვას მოწმეები სექტად გამოაცხადა და მათი მოღვაწეობა აკრძალა. ამ ამბავში ჩვენთვის სასიხარულო არის ის, რომ საქართველოს ტერიტორიის მცირე ნაწილზე, თუნდაც ოკუპირებულზე, სექტა აიკრძალა. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ კი უკვე მართლა აღარ იცის, რომელი პოზა მიიღოს, ამერიკელ და ევროპელ პატრონებს რომ ასიამოვნოს...

როცა „დონ კიხოტს" იღებდნენ, მთავარი როლის შესასრულებლად, გენიალურმა ქართველმა მსახიობმა **კახი კავსაძემ** 45 კილოგრამი დაიკლო. ერთ-ერთ ეპიზოდში კახიზე მიუშვეს დამშეული ღორები, რომლებთანაც უნდა ეომა, მაგრამ ისე იყო დასუსტებული, მიხვდა, რომ ღორები შეჭამდნენ და გაქცევა დააპირა. რეჟისორი უყვიროდა, — ჩაუწექი კახი, ჩაუწექიო, — აქაოდა, კადრი არ გამიფუჭოო. და ბოლო ხმაზე იღრიალა თურმე მსახიობმა, — რომ ჩავუწვე, შემჭამენო. ჰოდა, ახლა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, ლოგიკურიც არის ხმამაღლა ვიყვიროთ: **არ ჩაუწვე, შეგჭამენ! ისედაც ხომ ხედავთ, ბატონებო, რომ ეპარქიების ნაწილი მკვლელებს, მოძალადეებს, ქურდებსა და ავანტიურისტებს აბარიათ...**

**ბესო ბარბაქაძე**



მეუფე პეტრე



მეუფე დიმიტრი



მეუფე სპირიდონი

**სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი, მეუფე სპირიდონი, ერისკაცობაში გოჩა აბულაძე ახალგაზრდობაში არასრულწლოვნის გაუპატიურების გამო იყო ნასამართლევი. მას ბრალი მეგობრის შვილის გაუპატიურებაში ედებოდა. ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, მეუფე გრიგოლი, ერისკაცობაში გურამ გრიგოლის ძე ბერბიჭაშვილი მანქანის ქურდობაზეა ნასამართლევი. უფრო ზუსტად, მანქანების ქურდობაზე. მეუფე გრიგოლი თავის დროზე ე.წ. პერეგონშიკი იყო და ამის გამო სასჯელიც მოიხადა, თუმცა ამას არ შეუშლია ხელი, მეუფე დიმიტრის მეშვეობით, პატრიარქთან დაახლოებულიყო**

## გერმანელმა კათოლიკეებმა მოიწონეს გერმანიაში მუსლიმური დღესასწაულების შემოღება

**გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრ ტომას დე მეზიერის წინადადებას ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში მუსლიმური დღესასწაულების შემოღების თაობაზე მხარი დაუჭირა გერმანელი კათოლიკეების ცენტრალურმა კომიტეტმა.**

Deutsche Welle-ს ინფორმაციით, „დასახლებულ ადგილებში, სადაც ბევრია მორწმუნე მუსლიმი, შეიძლება დაწესდეს მუსლიმური დღესასწაული, მაგრამ ეს არ დაარღვევს ჩვენი ქვეყნის ქრისტიანულ ტრადიციას", — განაცხადა კომიტეტის ხელმძღვანელმა **თომას შტერნბერგმა".**

გერმანელების უმრავლესობა ამ დღესასწაულების შემოღების წინააღმდეგია. ამას ადასტურებს გამოკითხვა, რომელიც გაზეთ „ბილდის" დაკვეთით ჩატარდა. შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ გამოკითხულთა 70 პროცენტი გამოვიდა.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ეს ჯგუფი მუშაობდა პატრიარქის შესაცვლელად, შესაბამისად, საპატრიარქოში ვითარების შესაცვლელად, რათა ძალაუფლება ულტრალიბერალებს ჩაეგდოთ ხელში და შემდეგ მათი თანადგომით მომხდარიყო ხელისუფლების შეცვლა, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ ხედავს, რომ სხვანაირად საქართველოში მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს“.



## ნანა კაკაბაძე:

# ოხანაშვილი ფარული ჩანაწერებით დღემდე აშანტაჟებს სასულიერო პირებს, მათ შორის, სინოდის წევრებს

**ე.წ. ციანიდის საქმის დეტალებსა და საპატრიარქოში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება თავმჯდომარე არასამთავრობო ორგანიზაციისა „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ ნანა კაკაბაძე, რომელმაც ე.წ. ციანიდის საქმის დახურულ სასამართლო პროცესზე, პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის — სოსო ოხანაშვილის მიერ მიცემული ჩვენების გამო, გამოძიების დაწყება მოითხოვა.**

## «ოხანაშვილი პირდაპირ არის დაკავშირებული მიხეილ სააკაშვილთან და «ციანიდის საქმეც» უშუალოდ უკავშირდება მიხეილ სააკაშვილს»

## «როდესაც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხებია მიბმული ჩვენს სარწმუნოებაზე, როგორ უშვებს ხელისუფლება რომელიმე დამნაშავისთვის ხელის დაფარების შესაძლებლობას, ამ დამნაშავის ქვეყნიდან გასვლას. ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ დაგეგმილი ოპერაცია და როგორ შეიძლება, თვალი დახუჭო, ამ საქმეში თუნდაც ამერიკა იყოს ჩართული და თუნდაც მთელი მსოფლიო?!»

**— ქალბატონო ნანა, გაქვთ იმედი, რომ ე.წ. ციანიდის საქმის გამოძიება ბოლომდე მივა? როგორც ჩანს, სოსო ოხანაშვილს აქვს ხელშეუხებლობის გარანტია. მან დაუბრკოლებლად დატოვა ქვეყანა, მიუხედავად იმისა, რომ „ციანიდის საქმეში“ მის მიმართ ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს...**

— სამწუხაროდ, გამოძიებას ჯერჯერობით ისეთი პირი უჩანს, რომ არც ეს საქმე მივა ბოლომდე. რა მაძლევს ამის თქმის საფუძველს? **სოსო ოხანაშვილი** არის ადამიანი, რომელიც „ციანიდის საქმესთან“ მჭიდროდაა დაკავშირებული. ის პატრიარქის ძმისშვილის სიძე და უწმინდესის დაცვის აწ უკვე ყოფილი უფროსია. საკითხავია, როგორ და რატომ გახდა იგი პატრიარქის ძმისშვილის, მეუფე დიმიტრის, სიძე. თუ ამ პიროვნების ბიოგრაფიას შევისწავლით, ალბათ, ვერ გამოვრიცხავთ, რომ იგი მიზანმიმართულად გახდა ამ ოჯახის სიძე. ამასთანავე, ოხანაშვილს, საქართველოს გარდა, განათლება მიღებული აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში, იყო სპეციალური დანაყოფის „მწვანე ბერეტების“ წევრი. რას ნიშნავს ეს? **„მწვანე ბერეტებს“ წვრთნიან იმისთვის, რომ არაკონვენციური ომის გზით მოახერხონ სხვადასხვა ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა — გადატრიალების, ტერორისტული აქტების გზით, მოწამვლით და ა.შ. ასე რომ, ოხანაშვილი ხელისუფლების არაკონვენციური გზით შეცვლაზე დახელოვნებული ადამიანია. გაუგებარია, როგორ აღმოჩნდა ის პატრიარქის დაცვის სამსახურის უფროსად.**

**— რას გულისხმობთ?**

— ოხანაშვილი პატრიარქის დაცვის სამსახურის უფროსად საქართველოს ხელისუფლებაში **მიხეილ სააკაშვილის** მოსვლის შემდეგ დაინიშნა, მანამდე პატრიარქს დაცვა არ ჰყოლია. ამის საჭიროება არც დღეს არის და არც მაშინ იყო. ერთადერთი ადამიანი, რომელიც დაჰყვებოდა პატრიარქს, გახლდათ მრევლის წარმომადგენელი, ბატონი შოთა, რომელიც გარდაიცვალა. ის ხუმრობდა ხოლმე, — პატრიარქის მცველი ვარო... **სააკაშვილმა შექმნა თვალთვალისა და მიყურადების სამსახური, რომელსაც დაარქვეს პატრიარქის დაცვის სამსახური და სწორედ ამას ხელმძღვანელობდა ოხანაშვილი.**

**— როგორც ცნობილია, პატრიარქის დაცვის სამსახური ოხანაშვილის კადრებით იყო დაკომპლექტებული...**

— პატრიარქის დაცვის ყველა წევრი ოხანაშვილის ერთგული იყო და მას ემსახურებიდა და არა პატრიარქს. ეს ნათლად გამოჩნდა „ციანიდის საქმის“ შემდეგ. თუნდაც **ტარას შავშიშვილის** ინტერვიუდან ჩანს, რომ ის, ილია მეორის დაცვის სამსახურის კი არა, ოხანაშვილის დაცვის სამსახურის თანამშრომელია. **ისინი დაკავებული იყვნენ არა პატრიარქის დაცვით, არამედ მისი თვალთვალითა და მიყურადებით — იწერდნენ პატრიარქისა და მისი გარემოცვის საუბრებს, ბერ-მონაზვნების ცხოვრების დეტალებს, საპატრიარქოს თანამშრომლების ცხოვრებას...** არსებობს ინფორმაცია, რომ **ამ ფარული ჩანაწერებით ოხანაშვილი დღემდე აშანტაჟებს სასულიერო პირებს, მათ შორის, სინოდის წევრებს, აგრეთვე, საპატრიარქოს თანამშრომლებს.** ამასთანავე, არსებობს ინფორმაცია, რომ, როდესაც ოხანაშვილი ტოვებდა პატრიარქს, უწმინდესს უკეთებდნენ სამაჯურს და ეუბნებოდნენ, რომ სამკურნალო დანიშნულების, სინამდვილეში კი სამაჯურში მისაყურადებელი მოწყობილება იყო ჩამონტაჟებული, რომლითაც ახალაიები აყურადებდნენ იმ შეხვედრებს, რომლებსაც პატრიარქი ოხანაშვილს არ ასწრებდა. აი ასეთი დაცვის სამსახური ჰყავდა პატრიარქს 2004 წლიდან, ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლის დღიდან. სწორედ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის ხელწერაა ის, რაც ოხანაშვილმა „ციანიდის საქმის“ სასამართლოზე გააკეთა, როცა განაცხადა, პატრიარქის სახლში ტერორისტები იყვნენ დაბინავებულიო. გეკითხებით: რა კავშირშია ეს „ციანიდის საქმესთან“? ეს სიმართლეც რომ ყოფილიყო, რატომ უნდა ეთქვა სასამართლო პროცესზე?! მართალია, საზოგადოება შემდეგ დარწმუნდა, რომ იმ ადამიანებს, რომლებზეც ოხანაშვილი საუბრობდა, ერთი ღამეც არ გაუთევიათ პატრიარქის სახლში, მაგრამ ეს იყო პატრიარქის დისკრედიტაციის მცდელობა.

ჩემი აზრით, ოხანაშვილი პირდაპირ არის დაკავშირებული მიხეილ სააკაშვილთან და „ციანიდის საქმეც“ უშუალოდ უკავშირდება მიხეილ სააკაშვილს.

**— რატომ მიხეილ სააკაშვილს?**

— სააკაშვილმა სწორედ არაკონვენციური, არაკონსტიტუციური გზით შეცვალა ხელისუფლება 2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოში — დაამხო ხელისუფლება და დაეუფლა ძალაუფლებას. დღეს ასეთივე მეთოდებით ცდილობს ხელისუფლების შეცვლას უკრაინაში. **რა მოჰყვა შედეგად საქართველოში სააკაშვილის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას? — საქართველოს ტერიტორიების დაკარგვა. იგივე მოხდა უკრაინაშიც, სადაც სააკაშვილი ასევე აქტიურად მონაწილეობდა ე.წ. მაიდნის პროცესებში.** მოკლედ, ტერიტორიული გადანაწილების საკითხში ეს ადამიანი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა.

**— ამბობთ, რომ „ციანიდის საქმის“ მიზანი ხელისუფლების დამხობა იყო?**

— რა თქმა უნდა, ეს პირდაპირ იყო დაკავშირებული ხელისუფლების შეცვლასთან. პროცესი უნდა დაწყებულიყო პატრიარქის შეცვლით. ისინი ფიქრობდნენ, რომ პატრიარქის შეცვლით საპატრიარქოში ძალაუფლებას ე.წ. ულტრალიბერალები მოიპოვებდნენ. სამწუხაროდ, საპატრიარქოშიც არიან ასეთი ძალები. სწორედ ოხანაშვილი და მისი გუნდი ცდილობდა პატრიარქის შეცვლას. **ტარას შავშიშვილი** 53-ე სკოლის დირექტორი და შაშკინის მოადგილე იყო, ამასთანავე, **ახალაიების გუნდის წევრი. დაცვის სამსახურში მუშაობის რა გამოცდილება ჰქონდა შავშიშვილს, საერთოდ, რამე წვრთნა თუ აქვს გავლილი და რატომ მოხვდა ის პატრიარქის დაცვის სამსახურში, თუ ეს დაცვის სამსახური იყო?** ეს ჯგუფი მუშაობდა პატრიარქის შესაცვლელად, შესაბამისად, საპატრიარქოში ვითარების შესაცვლელად, რათა ძალაუფლება ულტრალიბერალებს ჩაეგდოთ ხელში და შემდეგ მათი მხარდაჭერით მომხდარიყო ხელისუფლების შეცვლა, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ ხედავს, რომ სხვანაირად საქართველოში მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს. ეს ძალა თავისი მხარდამჭერებით სექტად ჩამოყალიბდა. ეს არის მცირერიცხოვანი ჯგუფი ადამიანებისა, რომელსაც არ აქვს საზოგადოების არანაირი მხარდაჭერა. მათ 2003 წელს შეძლეს საზოგადოების მოტყუება და დემოკრატიის ნიღბით ხელისუფლების სათავეში მოსვლა, მაგრამ დღეს ამას ველარ ახერხებენ და ამიტომ ფიქრობდნენ, რომ პატრიარქის შეცვლით დაიწყებდნენ პროცესს, რომლის მიზანი იქნებოდა, ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ინსტიტუტის, საპატრიარქოს, ფლაგმანობით, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა.

დარწმუნებული ვარ, დანაშაულში ოხანაშვილის მონაწილეობაზე უფრო მეტი მტკიცებულება არსებობს, ვიდრე დეკანოზ **გიორგი მამალაძეზე,** მაგრამ გამოძიებას არ უნდა და თუ არ შესწევს ძალა იმისა, რომ ბრალი წაუყენონ და პასუხი აგებინონ, მეტიც, ხელი შეუწყვეს, რომ გასულიყო ქვეყნიდან. ამიტომ ვფიქრობ, რომ ხელისუფლება უძლურია, გამოიძიოს ციანიდის საქმე.

**— თქვით, რომ ოხანაშვილი ამერიკის ელიტური სპეცრაზმის წევრი იყოო. გამორიცხავთ, რომ მის მიერ ქვეყნის დატოვებაში გარე ძალაც იყოს ჩარეული?**

— მას, ვინც ოხანაშვილი გაწვრთნა, ბუნებრივია, თავისი ინტერესები ექნებოდა, მე ჩემი ქვეყნის ინტერესები მაღელვებს, თორემ იმ გარე ძალას რა მოვედავო? მათ ხომ ჩემზე უკეთ იცოდნენ, რას უმზადებდა საქართველოს „ციანიდის საქმე“ და, თუ ასე ექვემდებარებიან გარე ძალის გავლენას, მაშინ ამ ქვეყანას პერსპექტივა არ აქვს. **აუცილებლად უნდა მოხდეს ამ საქმის საფუძვლიანი და მიუკერძოებელი გამოძიება — ეს არის ერთადერთი გზა, მივიდეთ ციანიდამდე და სააკაშვილამდე, რომელიც ამას გეგმავდა ქვეყანაში.**

**— სკანდალური ბრალდებაა, როგორც სააკაშვილის, ისე ოხანაშვილის მიმართ...**

— რა არის ამაში გასაკვირი?! განა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში არ შემუშავდა პროექტი „ორი პატრიარქი“ და არ იყო საპატრიარქოს გახლეჩის მცდელობები? საქართველო არის იმ იშვიათი ქვეყნებიდან ერთ-ერთი, რომელსაც ერთი პატრიარქი ჰყავს და ეკლესია გახლეჩილი არ არის. და სწორედ ეკლესიის დანგრევას ცდილობენ. როდესაც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხებია მიბმული ჩვენს სარწმუნოებაზე, როგორ უშვებს ხელისუფლება რომელიმე დამნაშავისთვის ხელის დაფარების შესაძლებლობას, ამ დამნაშავის ქვეყნიდან გასვლას?! **ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ დაგეგმილი ოპერაცია და როგორ შეიძლება, თვალი დახუჭო, ამ საქმეში თუნდაც ამერიკა იყოს ჩართული და თუნდაც მთელი მსოფლიო? რა სახელმწიფო და რა ხელისუფლება ხარ მაშინ?!** დეკანოზ გიორგი მამალაძეს ჰქონდა შემოფარგლული როლი. ვის სჭირდებოდა ეს ყველაფერი და ვინ იდგა ამის უკან, უნდა გარკვეულიყო, მაგრამ საქმე საბოლოოდ იქამდე მივიდა, რომ ჟურნალისტები „ჩაიციკლნენ“ — ჩაუდეს ციანიდი მამა გიორგი მამალაძეს თუ არა?! ჩანაწერში ნათლად ჩანს, რომ ის ადამიანის მოსაკლავად ეძებს ციანიდს, იშოვა თუ ვერა, რა მნიშვნელობა აქვს?! მამა გიორგი მამალაძეს მკვლელობის მომზადება ედებოდა ბრალად და არა ვინმეს მკვლელობა. ამ ყველაფერში მნიშვნელოვანი არის ის, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე გეგმავდა მკვლელობას. ჩანაწერებში ხომ ჩანს, რომ ის ეძებდა ციანიდს, უნდოდა, ეყიდა და ელოდებოდა ფულის გადმორიცხვას...

**— ვისგან ელოდებოდა ფულის გადმორიცხვას, ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან?**

— პროკურატურა ამბობს, ეს საქმე გამოვყავით და მიდის გამოძიებაო. ვინც ვერ ერკვევა სამართლებრივ საკითხებში, მისთვის უცნობია, რომ საქმეს, რომელშიც პატიმარი არ არის და გამოყოფილია, ვადები არ აქვს და შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, ანუ მანამდე გაჭიანურდეს გამოძიება, სანამ ხალხს არ მიავიწყდება საქმის დეტალები. ამიტომ გამოყვეს, თორემ არაფერი გამოსაყოფი ამ საქმეს არ სჭირდა, ყველაფერი ზედაპირზეა, პროკურატურას საქმე გახსნილიც ჰქონდა, მაგრამ ამ დღეში იმიტომ ვართ, რომ ჩვენი ქვეყანა არასდროს ყოფილა ისეთი დამონებული, როგორიც ამჟამად არის და საქართველოს დამოუკიდებლობა მხოლოდ ფარატინა ქაღალდზე არსებობს. ქვეყანა ვერ შედგა, როგორც სახელმწიფო — ეს არის ჩვენი მთავარი პრობლემა.

ესაუბრა
**ნიკა გელაშვილი**

**საქართველოში უკვე თვალშისაცემად ბევრია „ყველაფრისმცოდნეთა“ კასტის წევრი. ისინი ასწავლიან ახალგაზრდა გოგონებს, როგორ უნდა თქვან უარი ცხოვრებაში ყველაფერზე, კარიერის გარდა; ისინი ასწავლიან საქართველოს მოქალაქეებს, როგორ დაიკიდონ ფეხებზე ტერიტორიებიც, ღირსებაც და ყველაფერი მხოლოდ იმისათვის, რომ შევიდნენ ნატოში, სადაც არავინ გვიშვებს; ისინი ასწავლიან ქართველებს, თუ რა ცუდები არიან ქართველები და როგორი მისაბაძები და საუკეთესოები არიან ყველაფერში ევროპელები და, რაღა თქმა უნდა, ისინი ასწავლიან პატრიარქსა და უმაღლეს სასულიერო პირებს, რა წერია ბიბლიაში, სახარებაში და სხვა სასულიერო ლიტერატურაში.**



ბაჩუკი სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კანდელი თუ «ტარიანი»?

## ანუ საქართველოს ეკლესიას საერო-სამოქალაქო ეშმაკები «დაესია»

**მამა პეტრე, დედა რუსუდანი, შვილები — ზალიკო ბერგერი, თინა მახარაძე, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და სრულიად ქართველი ერი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია — ეს არის წარმოსახვითი ნეკროლოგი იმ სავარაუდო დროისთვის, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობის ბოლო ბასტიონი, საქართველოს საპატრიარქო და მართლმადიდებელი ეკლესია, „ეშმაკების“ ხელში ჩავარდება და უკვე, ალბათ, ღმერთმაც აღარ უწყის, ამის შემდეგ რა შეიძლება ელოდეს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, და, საზოგადოდ, ქართველ ერს.**

ვინც ახლოს მიცნობს, მისთვის, ალბათ, ღიმილისმომგვრელიც იქნება, საპატრიარქოსა და ეკლესიაზე საერთოდ რამეს რომ ვამბობ. ამას განაპირობებს ჩემი პირადი დამოკიდებულება არა მხოლოდ მართლმადიდებლობისადმი, არამედ საზოგადოდ რელიგიების მიმართ. მკითხველი ზედმეტად რომ არ დავაეჭვო, მარტივად ვიტყვი: არ ვარ ღრმადმორწმუნე და რელიგიური რიტუალებისა (კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს: ეს მხოლოდ მართლმადიდებლობას არ ეხება) დიდად არაფერი მესმის, მაგრამ, სამაგიეროდ, უდიდეს პატივს ვცემ სხვის რელიგიურ გრძნობებს — ეს ერთი. და მეორე — ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, არსებულ სიტუაციაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქართული სახელმწიფოებრიობის მთავარი საყრდენი მგონია. აი, ეს არის ის მიზეზები, რომელთა გამო, ბოლო წლებია, არაერთხელ მომიწია ხმის ამაღლება და საკადრისი პასუხის გაცემა საპატრიარქოსა და პირადად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — **ილია მეორის** უაზროდ და უღირსად მლანძღველ-მაგინებლებისთვის. ბოლო პერიოდში ხომ ჩვენში ერთგვარ „მოდადაც“ იქცა ეს ამბავი და **კონკრეტულ პიროვნებებს, ასევე ადამიანთა ჯგუფებს, უბრალოდ, ჩვევაში გადაუვიდათ ეკლესიის, საპატრიარქოს, პატრიარქის გაქილიკება და უშვერი სიტყვებით ლანძღვა.**

ზოგიერთი, ოღონდ პატრიარქი ალანძღვინე და, ალბათ, საკვებსაც არ მიიღებს მთელ წელიწადს. ამის ბოლო მაგალითი იყო ილია მეორის ქადაგება „სამი ცხვრის შეწირვის“ თაობაზე. პატრიარქის ქადაგების დასრულებიდან, ალბათ, წუთიც არ იყო გასული, სოციალურ ქსელებში იმდენი პოსტი დაიდო ამ თემაზე, მგონი, ქართველებმა **ცუკერბერგის** სერვერების მუშაობაც კი შეაფერხეს. თავდაპირველი მოკლეფეხიანი ტყუილის გავრცელებას, რომ თითქოს ილია მეორემ საქართველოს გაჭირვებულ მოსახლეობას ყოველი ოჯახიდან სამ-სამი ცხვრის შეწირვა მოთხოვა, აზრი რომ არ ჰქონდა, მალევე მიხვდნენ ბატონი „ლიბერასტები“ და მათი მიმდევრები. ჯერ ერთი, ეს 9 მილიონზე მეტი ცხვარი გამოდიოდა და ილია მეორის მიერ ასეთი სისულელის მოთხოვნა ყველაზე დიდი სკეპტიკოსისთვისაც კი დაუჯერებელი იქნებოდა; მეორეც — მადლობა ღმერთს, XXI საუკუნეში ახალი ინფორმაცია მხოლოდ ლაყბობით არ ვრცელდება და არსებობს ვიდეოჩანაწერები. პატრიარქი გარკვევით ამბობს, რომ ეს ყოველივე ეხება გვარების დალოცვის თემას და არა თითოეულ ქართულ ოჯახს, ანუ პატრიარქი უქადაგებს მრევლს, რომ გვარების დალოცვისას თითოეულმა გვარმა „სამი ცხვარი“ შესწიროს ეკლესიას.

ამ ტყუილის წამში გამოაშკარავების შემდეგ, „ლიბერასტებმა“ უკვე „ცხვრების შეცოდების“ პოლიტიკას მიჰყვეს ხელი და პატრიარქს იმისთვის ამუნათებდნენ, რომ იგი „უდანაშაულო ცხვრების“ ღმერთისთვის შეწირვას ითხოვს. აი, აქ მივუახლოვდით კიდეც იმ ძირითად ხაზს, რომლის გამოც იწერება ეს საგაზეთო სტატია. **საქართველოში უკვე თვალშისაცემად ბევრია „ყველაფრისმცოდნეთა“ კასტის წევრი. ისინი ასწავლიან ახალგაზრდა გოგონებს, როგორ უნდა თქვან უარი ცხოვრებაში ყველაფერზე, კარიერის გარდა; ისინი ასწავლიან საქართველოს მოქალაქეებს, როგორ დაიკიდონ ფეხებზე ტერიტორიებიც, ღირსებაც და ყველაფერი მხოლოდ იმისათვის, რომ შევიდნენ ნატოში, სადაც არავინ გვიშვებს; ისინი ასწავლიან ქართველებს, თუ რა ცუდები არიან ქართველები და როგორი მისაბაძები და საუკეთესოები არიან ყველაფერში ევროპელები და, რაღა თქმა უნდა, ისინი ასწავლიან პატრიარქსა და უმაღლეს სასულიერო პირებს, რა წერია ბიბლიაში, სახარებაში და სხვა სასულიერო ლიტერატურაში.**

მოკლედ, ეს ტიპები ყველას ყველაფერს ასწავლიან და, თავად რასაც აკეთებენ და საქმიანობენ, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ უზნეო ცხოვრების, თავაშვებული „თავისუფლებისა“ და ნარკოტიკის პროპაგანდა.

აი, ამის ბოლოდროინდელი კლასიკური მაგალითიც: ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, გადაცემა „ნიჭიერში“ მონაწილეობდა რეპერი ბიჭების დუეტი, რომელმაც იმღერა ასეთი ტექსტი: „ღამე არის მთვარიანი, მომაწოდე ტარიანი“. „ტარიანი“ მოგეხსენებათ, ნარკოტიკული საშუალების მოსაწევად მომზადებული ერთგვარი „ჭურჭელია“. ეგ არაფერი, სცენაა, ხელოვნებაა, კონკურსია და ჰა, ყველაფერი მოსულა. ოღონდ, ეს ასეა სცენაზე მყოფისთვის, მაგრამ არა მისი შემფასებლისთვის, ანუ ჟიურიში მჯდომი ადამიანისთვის, მით უფრო მაშინ, თუ ის საქართველოს ე.წ. პირველი ლედია და მას ცოტა მეტი დაფიქრება და თავშეკავება მოეთხოვება. მოდი, ამჯერად **მაკა ჩიჩუას** ზოგად ხუნტრუცობებსაც თავი დავანებოთ, რადგან **მან „ნიჭიერის“ ახალი სეზონის პირველივე გადაცემაში ისეთი შტერობა და მეტიც, დანაშაულებრივი ფრაზა თქვა, მსოფლიოში არც ერთი არათუ „პირველი ლედი“, არამედ, უბრალოდ, პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი რომ არასოდეს იტყვის.**

მთვარიან ღამეში „ტარიანის“ გაბოლების მოყვარულ რეპერებს საქართველოს პრეზიდენტის ცოლმა სიყვარულით აღსავსე თვალებით უყურა ერთხანს, მერე კი ღიმილით უთხრა — **„ჰო! მოსაწევი მწვანე ბალახის პროპაგანდა არ არის ცუდი...“** შემდეგ ისე საყვარლად გაიღიმა, მეც კი, ადამიანს, რომელსაც ეს „მოსაწევი ბალახი“ ჭაბუკობისას, 1990-იან წლებში, „თავზე მეყარა“ (ისე, როგორც სხვა ბევრ მაშინდელ ჩემნაირ ბიჭს), მაგრამ, ბევრისგან განსხვავებით, არც მაშინ მნდომებია დიდად მისი მოწევა, ლამის ამ სიბერეში მომანდომა.



**პრეზიდენტის ცოლი თინეიჯერებით სავსე დარბაზში, მთელ საქართველოზე მაუწყებელი ტელევიზიის ეთერში, ღამის 12 საათამდე გასულ გადაცემაში ეწევა ნარკოტიკის პროპაგანდას(!). ეს პროპაგანდაა და არა ნარკომანების არდასჯის მოთხოვნა, ანუ ეს არის უპრეცედენტო მოვლენა მსოფლიოში, როდესაც ბავშვებს პირდაპირ ეუბნებიან, რომ ნარკოტიკი კარგია**

ირონია ირონიად და, როგორ ფიქრობთ, ეს ვითარება სახუმაროა? **ქვეყნის პრეზიდენტის ცოლი მხარს უჭერს ნარკოტიკის პროპაგანდას.** კარგად დაფიქრდით, აქ საუბარი არ არის არც ე.წ. დეკრიმინალიზაციაზე, არც ლეგალიზებაზე, ანუ საუბარი არ არის იმაზე, რომ ადამიანი ნარკოტიკის მოხმარებისთვის არ დააპატიმრონ და არ დასაჯონ; არც იმაზე, რომ ნარკოტიკი იყიდებოდეს თავისუფლად და, ვისაც სურს, შეიძინოს და საკუთარ თავს, რაც უნდა, ის დაუშავოს. არა! **აქ საუბარია იმაზე, რომ პრეზიდენტის ცოლი თინეიჯერებით სავსე დარბაზში მთელ საქართველოზე მაუწყებელი ტელევიზიის ეთერში ღამის 12 საათამდე გასულ გადაცემაში ეწევა ნარკოტიკის პროპაგანდას(!). ვიმეორებ: ეს პროპაგანდაა და არა ნარკომანების არდასჯის მოთხოვნა, ანუ ეს არის უპრეცედენტო მოვლენა მსოფლიოში, როდესაც ბავშვებს პირდაპირ ეუბნებიან, რომ ნარკოტიკი კარგია.**

ეს მაშინ, როდესაც, იმავე ჩვენთვის მისაბაძ ევროპაში, არათუ სიგარეტსა და მძიმე ალკოჰოლზე, არამედ ლამის კანფეტზეც კი დააწერონ, რომ მისი მიღება მავნებელია ჯანმრთელობისთვის, ხოლო ლუდის ბოთლს თუ რამეს არ შემოახვევ და ისე გაიტან ქუჩაში, სოლიდური ჯარიმაც გარანტირებული გაქვს. აი, ამ ევროპისკენ „გაქაჩული“ ქვეყნის პრეზიდენტის ცოლი ბავშვებს პირდაპირ ეუბნება, რომ მოსაწევი ნარკოტიკი არის კარგი!

რა კავშირშია ყოველივე ეს იმასთან, რითაც ეს წერილი დავიწყე? — პირდაპირში! აი, სწორედ მაკა ჩიჩუასნაირები არიან ის ადამიანები, რომლებსაც თავი ამ ცხოვრებაში ყველაფრის მცოდნედ მოაქვთ და რომლებიც ჭკუას ასწავლიან პატრიარქს, რომ თურმე „ბიბლიაში სულაც არ წერია, რომ ღმერთს ცხვრები უნდა შევწიროთ“, რომ თურმე „ქრისტიანული ზნეობა და მორალი საერთოდ არ მოითხოვს არავითარ მსხვერპლშეწირვას“ და ა.შ.

საკვირველია, ვისაც არ ეზარება, ყველა რატომ აძლევს რჩევა-დარიგებებს პატრიარქს და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას? პატრიარქი ხომ საერო-სამოქალაქო პირი არ არის, მისი ქადაგება და მოწოდება მთელ ერს, ყველა ოჯახს და თითოეულ მოქალაქეს რომ ეხებოდეს?! პატრიარქი უქადაგებს თავის მრევლს, ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც თავს მიიჩნევენ მორწმუნე მართლმადიდებლად და ილია მეორის მრევლად. შენ არ ხარ მართლმადიდებელი? ან არ მიგაჩნია ილია მეორე შენს სულიერ მამად და მოძღვრად? ან, საერთოდ, ათეისტი ხარ და არც ერთ რელიგიას არ აღიარებ? კი, ბატონო! **დაეტიე შენს ტყავში და ნუ გადარდებს, რა მოუწოდა თავის მრევლს მართლმადიდებელ ქართველთა პატრიარქმა, რომის კათოლიკე პაპმა ან თუნდაც მუსლიმანთა სულიერმა ლიდერმა** (თუკი ეს მაინცდამაინც კაცის კვლისკენ და კაცობრიობის წინააღმდეგ მოწოდება არ არის). **ნუ შეასრულებ მის მოწოდებას და ეგაა, გაძალებს ვინმე რამეს?**

მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ პოლიტიკაში **ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ამ „ნეოლიბერალების“, ანუ „ლიბერასტების“ ხელშია.** კულტურის სფეროშიც ასეა: პოსტმოდერნისტული „ხელოვნებას“ „ლიბერასტები“ აკონტროლებენ და, კლასიკურ, ტრადიციულ ხელოვნებას რომ ვერაფერი მოუხერხეს და გააქრეს, უკვე მასაც დაეპატრონენ და ე.წ. კონვენციონისტებადაც მოაქვთ თავი. **ყველა ლიტერატურული პრემია** მათია და საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზეც **ბუღაძე-ქარუმიძეები** არიან ხოლმე საქართველოდან წარგზავნილნი. ეკონომიკა რომ გააფარჩაკეს, ამაზე აღარაფერს ვამბობ და, როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, **ქართული ეკლესია ბოლო ბასტიონია, რომელიც ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად დგას და უძლებს სოროსელ-ლიბერასტების შემოტევას, თუმცა შემოტევა ისე ძლიერია, რომ, როგორც გითხარით, არათუ ეკლესიაში შეპარული სასულიერო პირების ნაწილი, არამედ პირდაპირ საერო-სამოქალაქო პირებიც უხეშად ერევიან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პრეროგატივებში.**

სურათი ასეთია და ქართველმა ხალხმა საბოლოოდ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რა ურჩევნია: **კათოლიკოს-პატრიარქის „სამი ცხვარი“ თუ პრეზიდენტის ცოლის „ტარიანი“?**

დაუსვით თქვენს თავს კითხვა: რომელი „ეშმაკები“ დაესევიან ქართულ ეკლესიას, თუ იგი „უპატრონოდ“ დარჩება?..

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოპოზიციის ორი ბანაკის წარმომადგენლები ერთმანეთს შიშითა და სიძულვილით უყურებენ, მეტიც — ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთს პოლიტიკური პროცესის ლეგიტიმურ მონაწილეებად არ აღიარებენ. ამასთანავე, ორივე ბანაკში სასტიკი კონკურენცია მიმდინარეობს. ეს ოპოზიციური ძალების გაერთიანებას გამორიცხავს, მითუმეტეს, რომ ჰორიზონტზე ამ ეტაპზე არ ჩანს ივანიშვილის მსგავსი ფიგურა, რომლის კაპიტალი ოპოზიციას წინააღმდეგობების დაძლევაში დაეხმარება.**

# რას მოგვიტანს ოპოზიციის კრახი?

**ადგილობრივი არჩევნები „ქართული ოცნების“ შთამბეჭდავი გამარჯვებით დასრულდა. კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, რომ დაქსაქსულ, დასუსტებულ ოპოზიციას ამ ეტაპზე არათუ ხელისუფლების შეცვლა, არამედ არჩევნებში რამდენადმე იმედისმომცემი შედეგის მიღწევაც არ შეუძლია.**

საბჭოთა მარშალმა კირილ მოსკალენკომ ერთხელ თქვა: „როდესაც ფრონტის ერთ კილომეტრზე 200 ქვემეხი მოდის, მოწინააღმდეგეზე კითხვებს არ სვამენ“. დაახლოებით ასეა ჩვენი საქმეც — **როდესაც (თბილისის მერის არჩევნებში) სახელისუფლო პარტიის კანდიდატი თითქმის სამჯერ მეტ ხმას იღებს, ვიდრე მეორე ადგილზე გასული, საუბარი ოპოზიციის პერსპექტივებზე ძალზე ძნელია, თუმცა მისი დაწყება, ალბათ, მაინც ღირს.**

მისი გაძლიერების ალბათობა ამ ეტაპზე საკმაოდ მცირეა. ის პირობითად შეიძლება „ნაციონალურ“ და „არანაციონალურ“ ბანაკებად დავყოთ. პირველს მიეკუთვნებიან „ნაცმოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და ძველი სახელისუფლო პარტიის სხვა მცირე ნამსხვრევები. ისინი იბრძვიან ოდესღაც ერთიანი ელექტორატის განაწილებისთვის, რომელიც ნელ-ნელა მცირდება, მაგრამ კვლავინდებურად სასურველ პრიზს წარმოადგენს. ამ იზოლირებული ნიშის ფარგლებს გარეთ გავლენის გაფართოების პრაქტიკული შანსი ჩამოთვლილ პარტიებს თითქმის არ აქვთ და მთავარ როლს ამაში სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებრივი წარსული ასრულებს. ის უზრუნველყოფს ამ პოლიტიკური ძალების იზოლაციას და გამორიცხავს მათ დაახლოებას სხვა ოპოზიციურ ძალებთან. **თუ** (მაგალითად, თორემ რეალურად ეს თავში არ მოუვათ) **„პატრიოტთა ალიანსი“ „ნაცმოძრაობასთან“ ითანამშრომლებს, ალბათ, ამომრჩევლების 99%-ს დაკარგავს.**

**ოპოზიციის ორი ბანაკის წარმომადგენლები ერთმანეთს შიშითა და სიძულვილით უყურებენ, მეტიც — ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთს პოლიტიკური პროცესის ლეგიტიმურ მონაწილეებად არ აღიარებენ. ამასთანავე, ორივე ბანაკში სასტიკი კონკურენცია მიმდინარეობს. ეს ოპოზიციური ძალების გაერთიანებას გამორიცხავს, მითუმეტეს, რომ ჰორიზონტზე ამ ეტაპზე არ ჩანს ივანიშვილის მსგავსი ფიგურა, რომლის კაპიტალი ოპოზიციას წინააღმდეგობების დაძლევაში დაეხმარება.**

ახალმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა შევარდნაძისა და სააკაშვილის შეცდომები და პოლიტიკურ რუკაზე იზოლირებული „წარსულის ანკლავი“ შეინარჩუნა, „ნაცმოძრაობისა“ და მისი ნამსხვრევების სახით, რომელიც ოპოზიციის გაერთიანებასა და გაძლიერებას შეუძლებელს ხდის. შედეგი, რომ იტყვიან, ტაბლოზეა (თუნდაც თბილისის მაგალითი ავიღოთ): ელისაშვილი — 17,48%, უდუმაშვილი — 16,59%, ხოშტარია — 7,11%, ინაშვილი — 3,02%, ვაშაძე — 1,95%, კუკავა — 1,25% (დანარჩენები 1%-ს ქვემოთ). ამ ამომრჩევლების კონსოლიდირება დღევანდელ სიტუაციაში პრაქტიკულად შეუძლებელია.

ზოგიერთი კომენტატორი ალეკო ელისაშვილისგან უფრო შთამბეჭდავ შედეგს ელოდა. ერთ-ერთმა ის ემანუელ მაკრონსაც კი შეადარა, რადგან ის (ფორმალური თვალსაზრისით) ძველი სისტემის ნაწილს არ წარმოადგენდა და ავანსცენაზე „ხანდაზმული“ პარტიების კრიზისის ფონზე გამოვიდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მაკრონის აღმასვლა გამყარებული იყო ძალიან სერიოზული ფინანსებით და ერთ-ერთი ყველაზე გააზრებული, დახვეწილი წინასაარჩევნო სტრატეგიით ევროპის უახლეს ისტორიაში, რომელიც ათეულობით პროფესიონალის მონაწილეობით შეიქმნა. ელისაშვილს მსგავსი არაფერი ჰქონდა, მხოლოდ — „ტფილისის ჰამქარსა“ და ტელევიზიაში შექმნილი იმიჯი და რამდენიმე ინტუიციური მიგნება.

როდესაც საშუალო ამომრჩეველი ვერ ხედავს რეალურ ალტერნატივას, ის ირჩევს სტაბილურობას (მიუხედავად იმისა, ხელისუფლებას მისცა ხმა თუ სახლში დარჩა — მთავარია, რომ ოპოზიციამ მისი ხმა ვერ მიიღო). **„ქართულ ოცნებაზე“ განაწყენებული მოქალაქეების ნაწილმა, უბრალოდ, ვერ დაინახა ელისაშვილში რეალური(!) ალტერნატივა. წარმოვიდგინოთ, რომ მან არჩევნები მოიგო და მოუწია მუშაობა საკრებულოსთან, სადაც ზის „ქართული ოცნების“ 40 დეპუტატი, 5 ნაციონალი, 3 „ევროქართველი“ და 2 „პატრიოტი“, ამასთანავე, არ ჰყავს საკმარისად წარმომადგენლობითი და კომპეტენტური გუნდი ქალაქის აღმასრულებელი სტრუქტურების წარმატებული გაკონტროლებისთვის (არათუ რეფორმირებისთვის). ასეთ სიტუაციაში მას დარჩებოდა ორი გზა — გამხდარიყო სისტემის მარიონეტი ან მისი რევოლუციური დესტაბილიზება მოეხდინა, რისთვისაც საკმარისი ძალა არ აქვს.** გასაკვირი არაა, რომ ასეთი პერსპექტივის გათვალისწინებით, ამომრჩვლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მისი მხარდაჭერისგან თავი შეიკავა, ნაწილი კი, ზედმეტი ფიქრის გარეშე, უბრალოდ, „სიტყვაზე არ ენდო“.

მიუხედავად ამისა, ელისაშვილის პოლიტიკური კარიერა დასრულებული არ არის, თუმცა, რესურსების სიმცირის გამო, ნაკლებად სავარაუდოა, მან ხელი ოპოზიციის გაერთიანებას შეუწყოს, უფრო — პირიქით. იგივე შეიძლება ითქვას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილის ამბიციებზეც, – ფორმალურად დამოუკიდებელი, მაგრამ არასაკმარისად ძლიერი კანდიდატი არა ოპოზიციის გაძლიერებაზე, არამედ მის შემდგომ ფრაგმენტაციასა და მარცხზე იმუშავებს, ისევე, როგორც ეს შაბათს თბილისის მერის არჩევნებზე მოხდა.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსების საერთო დეპრესიის ფონზე საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდა „ევროპული საქართველოს“ ლიდერების მიღწეული შედეგით გამოწვეული ღიმილისმომგვრელი სიხარული, რომელსაც ახალი პარტიის წარმატებად წარმოაჩენდნენ. სინამდვილეში ეს იყო ძალიან ძველი პარტიის — „ნაცმოძრაობის“ რესურსის გამოყენების შედეგი, რომლის შექმნაში უდიდესი წვლილი მიხეილ სააკაშვილს მიუძღვის და რომელიც ბოკერიამ, ბაქრაძემ და უგულავამ მენტალური აშლილობის ზღვარზე მყოფ ბელადს, უხეშად რომ ვთქვათ, „აახიეს“. სააკაშვილის დასუსტების პარალელურად „ევროპულ საქართველოს“ შეუძლია აითვისოს ძველი „ნაცმოძრაობის“ ელექტორალური მემკიდრეობის ნაწილი (თუმცა ბევრი „ნაციონალი“ „ღალატს“ არასოდეს აპატიებს), აგრეთვე, იმუშავოს იმ ლიბერალების მოზიდვაზე, რომლებიც მონათესავე პარტიების ჩამოშლამ დააბნია — ეს ვიწრო ნიშაა, თუმცა ის არსებობს. მაგრამ „ევროპული საქართველოსთვის“ მთავარი ამოცანაა, თავი დააღწიოს იზოლაციას, რომელშიც „ნაცმოძრაობასთან“ ერთად იმყოფება, გაიქცეს იმ „გობლინების ნაკრძალიდან“, კლიფორდ საიმაკის თქმის არ იყოს. მას სჭირდება ჩამოყალიბება პოლიტიკური პროცესის სრულფასოვან მონაწილედ, რომელსაც ალიანსებში გაერთიანება შეეძლება ისე, რომ სხვა პარტიებმა და ამომრჩევლებმა არ შეხედონ, როგორც სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებრივი წარსულის განსახიერებას.

ამ პარტიის ლიდერებს, სააკაშვილისგან განსხვავებით, ესმით, რომ ხელისუფლებაში დაბრუნება მხოლოდ შორეულ პერსპექტივას თუ დაუკავშირდება. ამ ეტაპზე კი მათ უნდათ, „ჩაეწერონ“ არსებულ სისტემაში და ძალები მოიკრიბონ. ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ „ფაქტობრივი ერთპარტიულობის“ რეჟიმი მექსიკაში, სადაც „ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია“ ათწლეულების განმავლობაში დომინირებდა, ხოლო „ეროვნული მოქმედების პარტია“ ამავე პერიოდის განმავლობაში იჯდა, იღებდა დაახლოებით 10%-ს არჩევნებში, რამდენიმე მერი და გამგებელი გაჰყავდა და მოთმინებით ელოდებოდა მომენტს, როდესაც მმართველი პარტიის, უფრო სწორად კი მის მიერ შექმნილი სისტემის, კრიზისი დაიწყებოდა. საბოლოოდ მან საწადელს მიაღწია. სტრატეგიული იდეა ორივე შემთხვევაში შეიძლება ერთი და იგივე იყოს, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, „ევროპულ საქართველოს“ წარსულთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემა აქვს. მართალია, ის სჭირდება ბიძინა ივანიშვილს, როგორც „გათიშე და იბატონე“ პოლიტიკის ელემენტი, მაგრამ, თუ ოპონენტები ყოველდღე გაიხსენებენ, რას აკეთებდნენ მისი ლიდერები სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, „ევროპულმა საქართველომ“ იზოლაცია შეიძლება ვერ გაარღვიოს. უცხოური მხარდაჭერისა და ლიდერების გამოცდილების მიუხედავად, პარტია ვერ ჩაითვლება ძლიერად მანამ, სანამ ოპონენტების პროპაგანდას მის მდგომარეობაზე განმსაზღვრელი გავლენის მოხდენა შეეძლება.

კიდევ ერთი, სავსებით „მექსიკური“ ნიუანსი: ოპოზიციის დაკნინების პირობებში სხვადასხვა არაოფიციალური ფრაქციების, ჯგუფებისა თუ კლანების ბრძოლა მმართველი პარტიის შიგნით ქვეყნის ცხოვრებაზე გაცილებით დიდ გავლენას მოახდენს, ვიდრე კონკურენცია პარტიებს შორის. ამის გამო ქართული პოლიტიკა, რომლის დიდი ნაწილი ისედაც „ჩრდილოვანია“, კიდევ უფრო გაუმჭვირვალი გახდება.

2012 წლიდან ნაციონალებს იმედი ჰქონდათ, რომ შიდა დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“ სერიოზულ კრიზისს გამოიწვევდა, მოგვიანებით აქცენტი ამაზე სახელისუფლო პარტიის სხვა ოპონენტებმაც გადაიტანეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ზეწოლას „გარედან“ შედეგი არ მოაქვს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ეტაპზე კონტროლი პარტიის ლიდერებზე არ შესუსტებულა ისე, როგორც ეს ..მოქალაქეთა კავშირისა“ და „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დასკვნით ეტაპზე მოხდა. ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, შეზღუდოს და დააბალანსოს მათი ამბიციები, დაუმტკიცოს, რომ „ძალა ერთობაშია“ და ეს, ასე თუ ისე, გამოსდის, თუმცა ისიც ფაქტია, რომ აბსოლუტურთან მიახლოებული ძალაუფლება მმართველ პარტიას რყვნის და მის წარმომადგენლებს ადეკვატურობას აკარგვინებს.

ამ ფონზე **რიტორიკა რეჟიმის მოახლოებულ აღსასრულზე, რომელსაც ჯერ კიდევ აქტიურად იყენებს ზოგიერთი ლიდერი და კომენტატორი, ერთობ უადგილოა. მეტიც, თუ არ მოხდება მოულოდნელი რამ და საიდანღაც ყბადაღებული „შავი გედი“ არ გამოფრინდება (ამის გამორიცხვა არ შეიძლება), „ქართული ოცნება“, სავარაუდოდ, უპრობლემოდ მოგებს 2018 წლის საპრეზიდენტო, 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, თუნდაც იმიტომ, რომ მის „წონით კატეგორიაში“ სხვა მოასპარეზე არ გამოდის.**

რეალურად, სამოქალაქო საზოგადოება მმართველი პარტიის პირისპირ დარჩა. მან დასუსტებული და მნიშვნელოვანწილად პროსტიტუირებული ოპოზიციური პარტიების ფუნქციების ნაწილი უნდა შეითავსოს. ხელისუფლების გონზე მოყვანის სხვა საშუალება ამ ეტაპზე, უბრალოდ, არ არსებობს.

**ახალმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა შევარდნაძისა და სააკაშვილის შეცდომები და პოლიტიკურ რუკაზე იზოლირებული «წარსულის ანკლავი» შეინარჩუნა, «ნაცმოძრაობისა» და მისი ნამსხვრევების სახით, რომელიც ოპოზიციის გაერთიანებასა და გაძლიერებას შეუძლებელს ხდის. შედეგი, რომ იტყვიან, ტაბლოზეა**




**სამოქალაქო საზოგადოება მმართველი პარტიის პირისპირ დარჩა. მან დასუსტებული და მნიშვნელოვანწილად პროსტიტუირებული ოპოზიციური პარტიების ფუნქციების ნაწილი უნდა შეითავსოს. ხელისუფლების გონზე მოყვანის სხვა საშუალება ამ ეტაპზე, უბრალოდ, არ არსებობს**

როდესაც ასამბლეაზე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პარლამენტარები პლანეტის გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე მსჯელობდნენ, საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის თანაშემწე (?!) ჯეიმს აპატურაის ესაუბრებოდა. საქართველოს მთავრობის პირველი პირი ცდილობდა, ნატოს გენმდივნის მოადგილის თანაშემწესთან მოეგვარებინა საქმეები და მისტერ ჯეიმსმაც უკვე მერამდენედ დაგვიდასტურა, რომ ნატო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და კიდევ ერთხელ მოითხოვა რუსეთისგან სოხუმ-ცხინვალის დეოკუპაცია.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ადრე თუ გვიან, მოგვიწევს რუსეთის შემადგენლობაში ყირიმის აღიარება

**გასულ კვირას მსოფლიოს მასმედიის ყურადღების ცენტრში რუსეთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აღმოჩნდნენ, რადგან რამდენიმე დღის განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით გაიმართა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-კულტურული ღონისძიებები, რომლებიც სოჭში დაიწყო, სანქტ-პეტერბურგში გაგრძელდა და ისევ სოჭში დასრულდა. ჯერ შავიზღვისპირა ულამაზეს ქალაქში გაიმართა საერთაშორისო ახლგაზრდული ფესტივალი, რომელშიც მსოფლიოს 190(!) ქვეყნის გოგო-ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობასა და ინტელექტუალურ ღონისძიებებში, დადიოდნენ საინტერესო ექსკურსიებზე, საღამოობით დისკოთეკებსა თუ კონცერტებზე ატარებდნენ დროს და ა.შ. ეს ფესტივალი, რადგან მისი საპატიო სტუმრები რუსეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები იყვნენ, პრეზიდენტ პუტინის ჩათვლით, პროპაგანდისტულ დატვირთვასაც ატარებდა, რაც სულაც არ არის საძრახისი. მით უმეტეს, რომ ფესტივალის პოლიტიკურ შეფერილობას არ დაუკნინებია მისი ესთეტიკურ-კულტურული შემადგენელი.**



სამწუხაროა, რომ სოჭის ფესტივალზე 190 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის საქართველოს დელეგაცია ერთობ ულიმღამოდ გამოიყურებოდა, რადგან, სხვებისგან განსხვავებით, ქართველი ახალგაზრდების სოჭში ჩასვლასთან, პოლიტიკური მოტივაციის გამო, არანაირი შეხება არ ჰქონია ხელისუფლებას — „ოკუპანტ რუსეთში" ქართველთა ჩასვლა ხომ სამშობლოს ღალატის ტოლფასია და ამიტომ ჩვენი მცირერიცხოვანი დელეგაცია საკუთარი ინიციატივით, „შემოვლითი გზებით" ჩავიდა ფესტივალზე. მიუხედავად ამისა, „ოკუპანტმა რუსებმა" დიდი სითბოთი და სიყვარულით მიიღეს ქართველები...

**ფესტივალის პარალელურად, რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქ სანქტ-პეტერბურგში გაიმართა მსოფლიოს პარლამენტთაშორისი ასამბლეა, რომელსაც 160 ქვეყნის საპარლამენტო დელეგაცია დაესწრო. მათ შორის არ იყო აშშ-ის დელეგაცია და საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება „ძია სემის" დაუკითხავად გაბედავდა სანქტ-პეტერბურგში ჩასვლას?** უკბილო ხუმრობას ჰგავდა ის, რომ, როდესაც ასამბლეაზე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პარლამენტარები პლანეტის გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე მსჯელობდნენ, საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის თანაშემწე(?!) **ჯეიმს აპატურაის** ესაუბრებოდა. საქართველოს მთავრობის პირველი პირი ცდილობდა, ნატოს გენმდივნის მოადგილის თანაშემწესთან მოეგვარებინა საქმეები და მისტერ ჯეიმსმაც უკვე მერამდენედ დაგვიდასტურა, რომ ნატო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და კიდევ ერთხელ მოითხოვა რუსეთისგან სოხუმ-ცხინვალის დეოკუპაცია. იმის გარდა, რომ ქართველ საზოგადოებას ყელში ამოუვიდა აპატურაისა და მისი მსგავსების წერილობითი თუ სიტყვიერი მხარდაჭერა, არაღიარების პოლიტიკა და ა.შ., რაც უკვე მარაზმში გადაიზარდა, სირცხვილისგან ყურები მეწვის, როდესაც ვხედავ, რომ ჩემი ქვეყნის პირველი პირი ასეთი „მაღალი დონის" შეხვედრებს მართავს. დიახ, აქ არსაიდან მოსულ **კვირიკაშვილში** კი არ არის საქმე, არამედ თვით იმ ფაქტში, რომ **ასეთი „მაღალი დონის" შეხვედრები (რომ არაფერი ვთქვათ მრავალწლიან უშედეგობაზე) ქართველი ერის შეურაცხყოფა, სილის გაწვნა და სულში ჩაფურთხებაა ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირეების" მხრიდან...**

ღონისძიებები დასრულდა ისევ სოჭში, სადაც გაიმართა საერთაშორისო სადისკუსიო კლუბ „ვალდაის" რიგით მე-14 შეკრება, რომელიც, როგორც ყოველთვის, რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინის** ბენეფისად იქცა. პუტინი ჯერ ვრცელი მოხსენებით წარდგა უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე და შემდეგ მისთვის ჩვეული პირდაპირობითა და დახვეწილი იუმორით მსოფლიოს წამყვანი ჟურნალისტებისა და პოლიტოლოგების მრავალ კითხვას უპასუხა.

რაც შეეხება გაეროს საიუბილეო სესიაზე პუტინის გამოსვლას — „ახლა მაინც თუ ხედავთ, რა ჩაიდინეთ?" — ასე მიმართა მან აშშ-ს და მეორე დღესვე სირიაში ტერორისტების დაბომბვა დაიწყო ციდან, ხმელეთიდან თუ ზღვიდან და ამჟამად თითქმის გაწმენდილია სირია ისლამისტი ბარბაროსებისგან.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რუსეთის პრეზიდენტი, რომ იტყვიან, ფუჭად არ ლაპარაკობს და მის სიტყვას საქმე მოსდევს. სიტყვის საქმით განმტკიცების მოლოდინი აქვს მსოფლიოს „ვალდაის" ფორუმზე პუტინის გამოსვლის შემდეგაც და ამიტომ, ბოლო დღეებია, დასავლური მედიის (მათ შორის, აშშ-ის), პოლიტოლოგების, პოლიტიკოსების მთავარი სამსჯელო თემაა, რა თქვა, რა იგულისხმა რუსეთის პრეზიდენტმა. საქართველოს ლიბერასტულმა მედიამ კი საერთოდ არ გააშუქა სოჭსა და სანქტ-პეტერბურგში გამართული ღონისძიებები, რადგან სირაქლემასავით ქვიშაში აქვს თავი ჩარგული, — ჩვენ არ გვეხება რუსეთის პრეზიდენტის ნათქვამიო...

**«ვალდაის» ფორუმზე ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი აღარ აპირებს აშშ-ის წესებით თამაშს და მსოფლიოში იმოქმედებს მხოლოდ თავისი ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე**



**როდესაც ასამბლეაზე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პარლამენტარები პლანეტის გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე მსჯელობდნენ, კვირიკაშვილი ცდილობდა, ნატოს გენმდივნის მოადგილის თანაშემწე ჯეიმს აპატურაისთან მოეგვარებინა საქმეები**

რუსეთის პრეზიდენტის აზრით, მთავარი მიზეზი სუვერენიტეტების აღლუმებისა ევროპასა (დამოუკიდებლობის რეფერენდუმები შოტლანდიაში, ესპანეთის კატალონიაში, იტალიაში, ბრიტანეთის ე.წ. ბრექსიტი) და პოსტსაბჭოთა სივრცეში (აღმოსავლეთი უკრაინა, ყირიმი და ა.შ.) არის კოსოვოს პრეცენდენტის გამოძახილი, ანუ აშშ-ის მიერ ორმაგი სტანდარტის დამკვიდრება. როცა დასჭირდათ, კოსოვოში პრიორიტეტული იყო ერთა თვითგამორკვევის საკითხი, ხოლო, როდესაც აღმოსავლეთ უკრაინასა და ყირიმში რეფერენდუმზე მიდგა საქმე, მაშინ პრიორიტეტული ტერიტორიული მთლიანობა აღმოჩნდა?! აფხაზეთისა ცხინვალის პრობლემების მქონე საქართველო, მოდი და, ნუ დაეთანხმება ვლადიმერ პუტინს?! მოკლედ, **„ვალდაის" ფორუმზე ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი აღარ აპირებს აშშ-ის წესებით თამაშს და მსოფლიოში იმოქმედებს მხოლოდ თავისი ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე.**

კითხვაზე, რას მიიჩნევთ რუსეთისა და აშშ-ის მიერ დაშვებულ მთავარ შეცდომად სსრკ-ის დაშლის შემდეგ, პუტინმა უპასუხა: რუსეთის მთავარი შეცდომა იყო ის, რომ 1990-იან წლებში ბოლომდე ვენდეთ ამერიკელებს; ხოლო ამერიკელების მთავარი შეცდომა იყო ის, რომ მათ ეს ნდობა რუსეთის სისუსტედ ჩათვალესო...

აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია პუტინის მუქარანარევი განცხადებები, რომ ამოიწურა აშშ-ის პრეზიდენტ **დონალდ ტრამპის** გამო რუსეთის მიერ აღებული მოთმინების პაუზა (ეგებ შეძლოს სენატ-კონგრესის დამორჩილება და ნამდვილი პრეზიდენტობაო), და ამიერიდან რუსეთის მედიისთვის შეზღუდვების დაწესებასა თუ დიპლომატიური საკუთრების ხელყოფაზე, ან საშუალო და მოკლე რადიუსის რაკეტების ლიკვიდაციაზე შეთანხმებიდან გასვლასა თუ აშშ-ის სხვა ქმედებაზე რუსეთის პასუხი იქნება მყისიერი და შესაბამისი.

ამ ღონისძიებებზე ცოტა ადრე, სტრასბურგში ევროსაბჭოს ასამბლეაზე კიდევ ერთი საყურადღებო რამ მოხდა, რაც ასევე მიზანმიმართულად არ გააშუქა ქართულმა მედიამ. უკრაინელი დეპუტატის მიერ ჩეხეთის პრეზიდენტისთვის დასმულ კითხვაზე — რა უნდა გააკეთოს ევროკავშირმა იმისთვის, რომ უკრაინამ ყირიმი დაიბრუნოსო, **მილოშ ზემანმა** დაახლოებით ასე უპასუხა: ეს მხოლოდ ლამაზი ფრაზებია და უკრაინისთვის ყირიმის დაბრუნება ევროპაში დიდი ომის დაწყებას ნიშნავსო. მეორე დღეს უკრაინის პრეზიდენტი **პოროშენკო** ეწვია სტრასბურგს უკრაინის პარლამენტის დადგენილებით ხელდამშვენებული, რომლითაც რუსეთი აგრესორად არის გამოცხადებული, მაგრამ რუსეთის აგრესორობა არ დაადასტურა ევროსაბჭომ.

ამ კონტექსტში აღსანიშნავია გერმანიის ბუნდესტაგში პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის" მესამე ძალად შესვლა „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა" და და სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემდეგ. ეს არის პარტია, რომელიც მკვეთრად უარყოფითად არის განწყობილი მუსლიმი ლტოლვილების მიმართ და ახლავე აცხადებს რუსეთისთვის სანქციების მოხსნისა და ყირიმის აღიარების აუცილებლობის შესახებ მზადყოფნას. დაახლოებით ანალოგიური პროცესები ვითარდება ჰოლანდიაში, ავსტრიაში, იტალიასა და საფრანგეთში. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ბებერი ევროპა ცდილობს, ამერიკისგან დამოუკიდებელი, მხოლოდ საკუთარი ნაციონალური ინტერესებით ნაკარნახევი თამაში ითამაშოს და შორს აღარ არის ის დღე, როდესაც ევროპა აღიარებს ყირიმს და სანქციებსაც მოუხსნის რუსეთს, რადგან ერთიცა და მეორეც მხოლოდ აშშ-ის ინტერესებშია.

წერილის ბოლოს ისეთ რამეს ვიტყვი, რომ, ალბათ, ყველა ლიბერასტ ურაპატრიოტ ხლისტს გადავიმტერებ:

**ადრე თუ გვიან, საქართველოსაც მოუწევს რუსეთის შემადგენლობაში ყირიმის აღიარება და, იძულებას ხომ არ სჯობს, ეს ნებით, დასავლეთზე ადრე, ახლავე გავაკეთოთ? ეს რუსეთის მიმართ კეთილი ჟესტი იქნება და იქნებ საწინდარიც ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა.**

მაგრამ ამას გაბედავს „ქართული ოცნების" ხელისუფლება, რომელიც ამას წინათ არაამკითხე მოამბესავით შეუერთდა რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს?

**დავით მხეიძე**

წყევლაკრულვიანი საკითხავი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისათვის... უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას, კეთილდღეობას ცოტა რამ ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევსწიროთ“.

ილია

# ვინ უფრო საშიშია საზოგადოებისთვის — ჭკვიანი უცოდინარი თუ უჭკუო უმეცარი?

**უმეცრება უმთავრესი სენია ჩვენს ცხოვრებაში. ნაბიჯს ვერ გადადგამთ, უმეცრების კვალს რომ არ წააწყდეთ, უმეცრების მწარე ნაყოფის გემო რომ არ იგრძნოთო, — გულისტკივილით წერდა ილია ჭავჭავაძე 1886 წელს.**

ერის მამა წუხდა, რომ „დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა და სხვა ბევრი ამგვარი ნაყოფი უმეცრებისა“ ფეხმოკიდებული იყო ყოველდღიურ ცხოვრებაში; წუხდა იმაზეც, რომ ქვეყანაში არ ეგულებოდა „მეცნიერებით შეიარაღებული კაცი“, რომელიც მუყაით, გამრჯე მეურნეს თავისი ცოდნით მხარში ამოუდგებოდა და ხვავისა და ბარაქის შექმნაში დაეხმარებოდა... პეტერბურგიდან მომავალი სამშობლოს ბედზე დაფიქრებული ილია თავს ეკითხება: „**შევძლებ კი, რომ მას ლვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო?**“ („მგზავრის წერილები“).

ფაქტია, რომ თერგდალეულთა თავდადებამ და თავგანწირვამ იმ პერიოდში ბევრი კარგი ქართული საქმე გააკეთა. დღეს კი, „თერგდალეულები“ არა, მაგრამ „ჭკუადალეულები“ ნამდვილად გვყავს, რომლებსაც თავი „პროგრესული იდეებით“ აქვთ გამოტენილი, „ახალი ხედვებით“ ჭრიან და კერავენ ყველაფერს; ყბედობის სალერღელაშლილებს სურთ, „წუთისოფლის ბორბალს ღერძი გამოუცვალონ“ და თავიანთ ნებაზე ატრიალონ ცა და ქვეყანა...

და განა აღარ არის დრო „სიახლეების“ დანერგვის?

ჰოდა, დაიწყეს კიდეც სულ თავიდან: პირველი კლასიდან და პირველი წიგნიდან — შეუტიეს იაკობ გოგობეშვილის „დედა ენას“; არც კომბლეს კომბლისა შეშინებიათ: ქართული ზღაპრებიც გააკრიტიკეს და „სამართლიანადაც“.

აბა, რა მოსატანია ნაცარქექია სპაიდერმენთან?! და კიდევ — სიზმარა ან სალამურა?!

კომბლეზე ხომ ჩვენმა პატივცემულმა განათლების მინისტრმა ლამის დისერტაცია დაწერა.

ქატოსა და ფქვილზეც, ყველა ზღაპარში რომაა მიმოფანტული, ხან — იქ და ხან — აქ.

და ქართველი კაცის ეგოიზმზეც — „ლხინი — აქა, ჭირი — იქა“. ესაა კაცთმოყვარეობა და ჰუმანიზმი?!

კიდევ კარგი, „ჯეჯე“ რომ დაგვინიშნეს განათლების მინისტრად, თორემ, ვინ იცის, რამდენ ხანს ვიქნებოდით ასე „ბნელები“ და „უმეცრები“...

ხუმრობა იქით იყოს და, მსგავსი დამოკიდებულება და მიდგომა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდისადმი ქვეყანას დაღუპავს. სჯობს, ისევ ილიას პუბლიკაციებში მოვძებნოთ პასუხი კიდევ ერთ წყევლაკრულვიან კითხვაზე:

ვინ უფრო საშიშია საზოგადოებისთვის — ჭკვიანი უცოდინარი თუ უჭკუო უმეცარი?



**«რამოდენადაც ამისთანა ვაჟბატონი ჭკუაზე თხლად არის, რამოდენადაც უფრო სქელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერია. მითამ რა დაუშლის! არ არის ქვეყანაზე საგანი, რომ უჭკუო უმეცარმა არ დაიჩემოს მისი ზედმიწევნით ცოდნა და თავისს უგემურ და უთავბოლო სალექავად არ გახადოს მსმენელთა სააბეზაროდ»**

„უმეცრობა და უვიცრობა დიდი ჭირია და თუ ამას თან დაჰყვა უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია. **ჭკუიანი უცოდინარი ყოველთვის თავისს ქერქშია, — რაც არ იცის, იმაზე სჯასა და ლაპარაკს ერიდება. რასაც გონება მისი უცოდინარობით ვერა სწვდება, იქ იგი მეტიჩარობას არა ჰკადრულობს, დუმილს უფრო ჰრჩეობს,** სხვას უსმენს, სმენილს თავისის ჭკუის და გონების თვალწინ განკითხვით გაიტარებს, ასწონს-დასწონის და ამნაირად თავისს საკუთარს აზრს, ცოდნას გამოინასკვავს, შეითვისებს. ამ ყოფით, თუ სხვა გზით, იგი ჯერ საგანს ისწავლის, გაითვალწინებს, და მერე, თუ საჭიროება მოითხოვს, დაიწყებს სჯასა და საუბარსა.

**ჭკუიანი უცოდინარი თავმდაბალია, თავისი-თავი სხვაზე მეტი არა ჰგონია, არა ჰბაქიობს, არ იკვეხის,** თითონ ზიზილ-პიპილებით არ ირთვება და სხვას მჩვარში არ ახვევს. მან თავისი ყადრი და ადგილი იცის და სხვისაც, ერთნაირად მორიდებულია ყოყოჩობას, ზვიადობას და ნამეტნავად მეტიჩარობას, არამკითხე მოამბეობას. რაც იცის, იმას სჯერდება, მეტზე ხელს არ იწვდენს, მეტს სიბრძნეს და ფილოსოფოსობას არ იჩემებს, ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებით ლარის გატანას და მსმენელის თვალის ახვევას ჰთაკილობს და როგორც სამარცხვინო ოინებს ახლოც არ ეკარება.

სულ სხვაა უჭკუო უმეცარი, მერე თუ ყბედობის სალერღელიც აქვს აშლილი. **უჭკუო უმეცარის კაცისთანა თამამი და კადნიერი ლაპარაკსა და სჯაში ძნელად მოიპოვება ქვეყნიერობაზე,** და რამოდენადაც ამისთანა ვაჟბატონი ჭკუაზე თხლად არის, რამოდენადაც უფრო სქელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული, მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერია. მითამ რა დაუშლის! არ არის ქვეყანაზე საგანი, რომ უჭკუო უმეცარმა არ დაიჩემოს მისი ზედმიწევნით ცოდნა და თავისს უგემურ და უთავბოლო სალექავად არ გახადოს მსმენელთა სააბეზაროდ. რაც ენაზედ მოადგება, ჰროშავს გამარჯვებულსავით დოინჯშემოყრილი და თავმოწონებული, მაღალფარდებიან სიტყვებს ჰხმარობს უანგარიშოდ, განუკითხველად, მოგაყრით ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებს, რომელიც არც თითონ ესმის და არც მსმენელს გაეგება და ჰყოყოჩობს, აი რაები მცოდნია და რა ბრძენი კაცი ვარო! ბალღებს, რასაკვირველია, გაბერილი, გაუგებარი ფრაზები სავსე ჰგონიათ, როგორც გაბერილი ტიკი, და უკვირთ როგორც ერთი რამ უტყუარი ნიშანი აუარებელის სიბრძნისა და მეცნიერობისა, ჭკუადამჯდარს კაცს კი ეს სამასხარო ოინები სასაცილოდაც არა ჰყოფნის...“.

„უმეცრება — აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალრბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰღრღნის სიცოცხლეს... ეს არავისთვის საიდუმლო არ არის: თითონ ცხოვრება ხმა-მაღლივ ღაღადებს. ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გასდგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავისი გემო არ გაგაღებინოთ... გადიკითხეთ ყურადღებით გაზეთებში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარედან მოწერილი ამბები და ჰნახავთ...

ჩვენი ხალხი უმთავრესად მიწის მუშაობას მისდევს. წლითიწლობით მიწას ჩაჰყურებს, ატრიალებს, ჰხნავს, სთესავს; ვაზს უვლის, ბოსტნეული მოჰყავს; წელებზედ ფეხს იდგამს, თავს მაღლა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება, ძალ-ღონეს არა ჰზოგავს, ოღონდ წლის საზრდო მოიპოვოს. მაგრამ აი წელს სეტყვამ გაუნადგურა წლის ნაღვაწი საზრდო, მერმის კალიამ ხელცარიელზე დასო, მესამე წელს კიდევ სხვა ღვთის რისხვა დაატყდა თავსა. წლის ნაწვავ-ნადაგი ხელიდამ გამოეცალა... რა ქნას? ცოდნა მას არა აქვს, ვერც თავის საკუთარს ძალღონეს დანდობია, ვერც სხვას მინდობია, ვერც ცალკე ღონით გასძღოლია.. **სად არის განათლებული, მეცნიერებით შეიარაღებული კაცი, რომ მისთვის გული შესტკივოდეს და წარმატების გზა უჩვენოს?..**

ხალხს მოსავლიანი წელიწადი დაუდგა, ჯაფამ მუქთად არ ჩაუარა. ხალხს ათასგვარი ხარჯი და გადასახადი აწევს კისერზე. ამისათვის ფული უნდა. მოსავალია მთელი მისი სიმდიდრე, ერთად-ერთი წყარო. მოსავალია მისი ფული, მოსავლით უნდა გაუძლვეს ყველა ხარჯს და გადასახადსა. მოსავალი უნდა ფულად აქციოს. მაგრამ როგორ? ალებ-მიცემობისა არა ესმის რა, ანგარიში კარგად ვერ გაუგია, სად რასა აქვს გასავალი, არ იცის... ესეც ერთი უმეცრების ნაყოფი!

სიღარიბე, რიგიანის სახლების უქონლობა, ცუდი სასმელ-საჭმელი, უსუფთაობა, სიბინძურე და სხვა ამ-გვარი ჯანმრთელობის წინააღმდეგი გარემოება ავრცელებს ხალხში და ხელს უწყობს ათასგვარ ავადმყოფობას, სნეულებას და ჭირსა. ბევრი მათგანი იხოცება და შველას-კი ვერსაიდამა ჰხედავს. ექიმი არა ჰყავს, წამალი არა აქვს. უილაჯობით ხან შემლოცველთან გარბის, ხან მკითხავთან, ხან ხელთ ეძლევა უმეცარს ექიმობას სოფლისას, შელოცვას, ხატებში სიარულს. სოფლელ დედაკაცების წამლობას, ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვთ ხალხისათვის, ვიდრე სარგებლობა. **განა ხალხს სიცოცხლე მოსძაგებია, განა სიკვდილი იამება? მაშ რატომ მეცნიერებას არ მიჰმართავს, რატომ თავის ერთს უძვირფასეს საუნჯეს — სიცოცხლეს არ იცავს რიგიანად? აქაც დამნაშავე იგივე უმეცრება, ცრუმორწმუნებაა.**

დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ჩხუბი, ცემა-ხოცვა ეკონომიურს გაუწყობლობის გამო, და სხვა ბევრი ამგვარი ნაყოფი უმეცრებისა — ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში. უმეცარ კაცს როგორ შთააგონებ, რომ მისი საკუთარი ინტერესები მოითხოვს, რომ თავის მეზობელთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, რომ მეზობლის უბედურება და შეუძლებლობა მას ბედნიერებას და შეძლებას ვერ შესძენს, რომ მხოლოდ ურთიერთობრივი თანხმობა, შეწევნა ჰბადებს ნამდვილ ბედნიერებას და სიმდიდრეს, როგორც მთელის ხალხისას, ისე კერძო კაცისას.

ბევრს ჯერ პირველ-დაწყებითის განათლების ნიშანწყალიც არ მოსცხებია. ხალხმა უმეტეს ნაწილად ცარიელი წერა-კითხვაც არ იცის. წიგნების კითხვა ჩვენში სრულიად არ არის გავრცელებული, რომ ხალხმა თავის ავი მაინც გაიგოს, თუ სხვის კარგას ჯერ კითხვით ვერ შეიძენს. ხალხი უმეცრების გამო სკოლებს ეჭვის თვალით უყურებს და განს უდგება. ზოგიერთ ადგილას ხალხი პირდაპირ მტრულად ეკიდება სკოლას. მაგალითად, ამ დღეებში ერთი ჩვენი კორესპონდენტი გვწერდა, რომ ილორის საზოგადოება ცდილობს თავის სკოლას ხელი შეუშალოსო.

**სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად, და ხალხი კი სდევნის სკოლას, განათლებას. რა მიზეზია? ცხადია, უმეცრება!**

აი მოკლედ რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ... უმეცრების შედეგი. დასაფიქრებელია ასეთი არა-სანუგეშო სურათი. **უმეცრებაა ჩვენის საშიშარი მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა — აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას. კვალში ჩაუდგეს, ხალხს მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს, ვისაც წამალი აქვს, ვისაც მკურნალობა შეუძლიან. მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე, — ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ეხლა**. თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისათვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ. თუ ხალხის სიყვარულით არიან გამსჭვალულნი, საქმით დაამტკიცონ სიყვარული და მრავალნი გამოიყვანონ უმეცრებიდამ. უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას, კეთილდღეობას ცოტა რამ ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევსწიროთ. ფული არა გვაქვსო, გარშემო შემწეობას არა ვხედავთო და ამიტომ უღონონი ვართ ამ საქმისათვისაო, ეს, რასაკვირველია, შესაწყნარებელი მიზეზია და არა გასამართლებელი. ნიჭი, გარჯა და მხნეობა დღეს თუ ხვალ ფულსაც იშოვის და შემწეობასაც მოიპოვებს; ყოველივე ეს თითონ ფულია, თითონ ღონეა და სიმდიდრე, ოღონდ კი კაცი ნუ შეიკეტება ოთხ-კედელ-შუა, ოღონდ კი გულხელდაკრეფილი ცას ნუ შევაჩერდებით: აცა, მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდებაო. ამ ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!..“

რუბრიკას უძღვება
დარეჯან ანდრიაძე

**ევროპაში ეპილეფსიით დაავადებულია 6 მილიონი ადამიანი, საქართველოში კი მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, 40 ათასია. განსაკუთრებით პრობლემურია მედიკამენტების მიმართ ეპილეფსიის მდგრადი, ანუ ფარმაკორეზისტენტული ფორმა. საქართველოში ფარმაკორეზისტენტული ფორმით დაავადებულია დაახლოებით 13 ათასი პაციენტი, ანუ საერთო რაოდენობის მესამედი.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შეხვედრა თვალსაჩინო მეცნიერთან

## საქართველოს ეძლევა უნიკალური შანსი, ჩამოყალიბდეს წამყვან, საერთაშორისო სტანდარტების მქონე ცენტრად ეპილეფსიის კვლევისა და მკურნალობის დარგში

**საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ბოლო წლებში არაერთი ჩვენი თანამემამულე ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას უცხოეთის წამყვან კვლევით და სასწავლო ცენტრებში. მათ შორისაა პროფესორი თენგიზ გლოველი, რომელიც ბერლინის სამედიცინო უნივერსიტეტში ნერვული ქსოვილის ფიზიოლოგიის ლაბორატორიას ხელმძღვანელობს. მისი მეცნიერული ინტერესების სფერო თავის ტვინის ნორმალური და პათოლოგიური აქტივობის ნატიფი მექანიზმების კვლევაა, რომელსაც მიუძღვნა სამოცამდე სამეცნიერო ნაშრომი და რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.**


თენგიზ გლოველი

ბატონი თენგიზი ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ღირსეული წარმომადგენელია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, წლების განმავლობაში სამეცნიერო, პედაგოგიურ და ორგანიზაციულ საქმიანობას ეწეოდა ამავე უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ფიზიოლოგიის კათედრაზე და ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია აკადემიკოს **თ. იოსელიანის** ხელმძღვანელობით. 1992 წლიდან ის სამუშაოდ გადავიდა გერმანიაში: ჯერ კელნის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტში, შემდგომ — ბერლინის სამედიცინო უნივერსიტეტში, სადაც წარმატებით განვლო გზა მეცნიერი-თანამშრომლიდან ლაბორატორიის გამგემდე. იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. **ბატონი თენგიზის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ერთი წუთითაც არ გაუწყვეტია კავშირი სამშობლოსთან. მის ლაბორატორიაში წლების განმავლობაში განათლებას იღებს და მეცნიერებაში პირველ ნაბიჯებს დგამს მრავალი ქართველი ახალგაზრდა მკვლევარი, რომლებიც წარმატებით იცავენ სადიპლომო თუ სადისერტაციო ნაშრომებს და უბრუნდებიან სამშობლოს; მას ასევე მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა აქვს ქართველ კოლეგებთან. მისი ხელშეწყობით იმართება ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, ეწყობა სეზონური სკოლები, ქვეყნდება ერთობლივი სამეცნიერო კრებულები და სხვ.** საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნეირომეცნიერების კვლევით ცენტრს. ამჟამად ბატონი თენგიზი სათავეში უდგას გერმანიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფინანსებულ ერთობლივ გერმანულ-ქართულ პროექტს, რომელსაც დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ პროექტის შესახებ, გვინდა, რამდენიმე კითხვით მივმართოთ მას.

**— ბატონო თენგიზ, გთხოვთ, გაგვაცნოთ გერმანულ-ქართული პროექტის ძირითადი არსი და მნიშვნელობა.**

— პროექტი მიზნად ისახავს ინტერდისციპლინარული მიდგომით ადამიანის თავის ტვინის კომპლექსურ კვლევას საქართველოში. **ეს არის მოკლე განხილვა იმ შესაძლებლობებისა, რომლებიც, ჩემი აზრით, ამჟამად გააჩნია საქართველოს. პროექტი ითვალისწინებს ტვინის აქტივობის როგორც ფუნდამენტურ კვლევას, ასევე ტრანსლაციური მიდგომით მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას კლინიკაში, რაც გულისხმობს ტვინის დაავადების, კერძოდ, ეპილეფსიის პათოლოგიური მექანიზმების დადგენასა და მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვას საქართველოში.**

**ეპილეფსია არის მძიმე და ფართოდ გავრცელებული ქრონიკული ნევროლოგიური დაავადება. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას ევროპასა და მსოფლიოში. ამ დაავადებასთან დაკავშირებული ხარჯები ევროპაში, 2001 წლის მონაცემებით, წლიურად 8 მილიარდ ევროს შეადგენდა. ეს ხარჯები ყოველწლიურად იზრდება, რაც, ძირითადად, მოსახლეობის წლოვანების მატებასთან არის დაკავშირებული.** ეს დაავადება გავლენას ახდენს პაციენტთა არა მხოლოდ ცხოვრების ხარისხზე, არამედ საგრძნობლად (სულ ცოტა, 2-3-ჯერ) ზრდის მათი სიკვდილის რისკსაც. **ევროპაში ეპილეფსიით დაავადებულია 6 მილიონი ადამიანი, საქართველოში კი მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, 40 ათასია. განსაკუთრებით პრობლემურია მედიკამენტების მიმართ ეპილეფსიის მდგრადი, ანუ ფარმაკორეზისტენტული ფორმა. საქართველოში ფარმაკორეზისტენტული ფორმით დაავადებულია დაახლოებით 13 000 პაციენტი, ანუ საერთო რაოდენობის მესამედი.** ამ პაციენტების განკურნების ერთადერთი ალტერნატივაა ქირურგიული ჩარევით ეპილეფსიური კერის ამოკვეთა (რეზექცია). ეს, შესაძლებელია, მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდა ეპილეფსიური კერის ლოკალიზაციის ზუსტი დადგენა. ამისათვის კი აუცილებელია ტვინის აქტივობის ოპერაციული, ე.წ. ინვაზიური ანუ ინტრაკრანიალური აღრიცხვა. სამწუხაროდ, დიაგნოსტიკის ასეთი მეთოდი ამჟამად არ არსებობს საქართველოში, რაც შეუძლებელს ხდის ფარმაკორეზისტენტული პაციენტების მკურნალობას. ჩვენი მიზანია, ეს მეთოდი დავნერგოთ საქართველოში, რაც არსებითად გააუმჯობესებს პრექირურგიულ დიაგნოსტიკას და შექმნის აუცილებელ წინაპირობას პაციენტთა განკურნებისთვის.

**— პროექტი თუ ითვალისწინებს ექსპერიმენტულ ნაწილს?**

— აუცილებლად. ამ კლინიკური ნაწილის პარალელურად დაგეგმილია კომპლექსური ექსპერიმენტული კვლევის წარმართვა საქართველოში. ეპილეფსიის მკურნალობაში ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ახალმა მეთოდმა, ე.წ. მაღალსიხშირიანი რხევების აღრიცხვამ, რომლებიც ეპილეფსიური კერის ბიომარკერად, ანუ ზუსტ დიაგნოსტიკურ საშუალებად ითვლება. იმედის მომცემი პირველი შედეგების მიუხედავად, ეს ჯერჯერობით არ არის სტანდარტული კლინიკური მეთოდი და მოითხოვს შემდგომ ინტენსიურ ექსპერიმენტულ კვლევას მის კლინიკაში საბოლოოდ დასანერგად.

ასეთი რხევები აღრიცხულია როგორც პაციენტებში, აგრეთვე, ეპილეფსიის ცხოველურ მოდელშიც. მრავალ ასპექტში განსხვავების მიუხედავად, ცხოველის (კერძოდ, მღრღნელის) ტვინს აქვს მრავალი საერთო ადამიანის ტვინთან, რაც ტექნიკური თვალსაზრისით, ხელმისაწვდომობასთან ერთად, ხდის მათ მნიშვნელოვან საშუალებად ფუნდამენტური და პარქტიკულ-კლინიკური კვლევისთვის. ჩვენი პროექტი ითვალისწინებს მაღალსიხშიროვანი რხევების დეტალურ შესწავლას ეპილეფსიის ცხოველურ მოდელში, რაც უთუოდ დაგვეხმარება პათოლოგიური კერის ზუსტ დადგენაში. ცხოველური მოდელის ზოგიერთი უპირატესობის მიუხედავად, რა თქმა უნდა, შეუცვლელი რჩება ტვინის მოქმედების შესწავლა ადამიანის ტვინის აქტივობაზე უშუალო დაკვირვების გზით. სამკურნალო მიზნით ნეიროქირურგიული ჩარევისას ამოკვეთილი ადამიანის ტვინის ცოცხალი ქსოვილი, რომელიც ფუნდამენტური და კლინიკური კვლევებისთვის უნიკალურ მასალას წარმოადგენს, დღეს მსოფლიოს მხოლოდ მცირე რაოდენობის სამეცნიერო ცენტრებშია ხელმისაწვდომი. **ჩვენი პროექტის ექსპერიმენტული ნაწილი ითვალისწინებს ამ უნიკალური მასალის, ადამიანის ტვინის ამოკვეთილი ქსოვილის კომპლექსური (ელექტროფიზიოლოგიური, მორფოლოგიური, იმუნოჰისტოქიმიური და მოლეკულურ-ბიოლოგიური) მიდგომით შესწავლას და მოპოვებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას კლინიკაში.** ამრიგად, პროექტი გულისხმობს მჭიდრო ურთიერთობას ექსპერიმენტულ ლაბორატორიასა და კლინიკას შორის, რომლის საბოლოო მიზანია საერთო ძალისხმევით, ერთი მხრივ, ტვინის მოქმედების ფუნდამენტური მექანიზმების კვლევა, მეორე მხრივ კი, ტვინის დაავადების ზუსტი დიაგნოსტიკა და მისი ეფექტური მკურნალობა.

**— რა მიზნებს ისახავს პროექტი?**

— ჩვენი პროექტი ოთხ ძირითად მიზანს ისახავს: **1. კლინიკაში ახალი, ინვაზიური მეთოდის დანერგვას ეპილეფსიის დიაგნოსტიკის არსებითად გაუმჯობესების მიზნით; 2. პრექირურგიული დიაგნოსტიკის უახლესი მეთოდის, მაღალსიხშიროვანი რხევების ექსპერიმენტულ ანალიზს და მის შემდგომ გამოყენებას კლინიკაში ეპილეფსიური კერის ზუსტი ლოკალიზაციის დასადგენად; 3. ნეიროქირურგიული ჩარევით პაციენტების მკურნალობას ეპილეფსიური კერის ამოკვეთის გზით; 4. ამოკვეთილი ტვინის ქსოვილის შემდგომ გამოყენებას, როგორც ფუნდამენტური კვლევებისათვის, ასევე, დაავადების დიაგნოზისა და თერაპიის ახალი გზების ძიებისათვის.**

**— მასშტაბურია თქვენი პროექტი?**

— პროექტს ექნება უნივერსალური, ინოვაციური და მასშტაბური ხასიათი. ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტებზე ზრუნვით. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, **ამჟამად საქართველოში თავის ტვინზე თვეში, სავარაუდოთდ, 100-150 სხვადასხვა სახის ნეიროქირურგიული ოპერაცია ტარდება, მათ შორის, ქსოვილის რეზექციით. ამოკვეთილი ქსოვილი, მცირე გამონაკლისის გარდა, სამწუხაროდ, დღემდე არ გამოიყენება სამეცნიერო კვლევისთვის და ნადგურდება. ჩვენი ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები დაგვეხმარება, ასევე, ამ პათოლოგიური მასალის კომპლექსურ შესწავლაში, შესაბამისი დაავადების გამომწვევი მექანიზმების დადგენასა და თერაპიის ახალი გზების მოძიებაში.**

პროქტის განხორციელება სასიკეთო იქნება არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვისაც. ეპილეფსიის კვლევის სფეროში უკვე არის გარკვეული ურთიერთთანამშრომლობა საქართველოსა და სომხეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყნები პაციენტებს სამკურნალოდ ხშირად საქართველოში გზავნიან. შესაბამისად, საქართველოში პრექირურგიული დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების ეტაბლირებას და ნეიროქირურგიული ჩარევით პაციენტთა მკურნალობას ექნება რეგიონში პიონერული, ინოვაციური ხასიათი. **ეს მისცემს საქართველოს უნიკალურ შანსს, ჩამოყალიბდეს სამხრეთ კავკასიაში წამყვან, საერთაშორისო სტანდარტების მქონე ცენტრად ეპილეფსიის კვლევისა და მკურნალობის დარგში.**

**— რა არის საჭირო იმისათვის, რომ პროექტი წარმატებით განხორციელდეს?**

— პროექტის წარმატების აუცილებელი პირობაა მჭიდრო თანამშრომლობა ამ სფეროში მოღვაწე უცხოელ ექსპერტებთან, განსაკუთრებით — საწყის ეტაპზე. სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია პროექტი, რომელზეც ვსაუბრობთ. **ამ ერთობლივი გერმანულ-ქართული გრანტის „ETABLIERUNG PRACHIRURGISCHER EPILEPSIEDIAGNOSTIK IN GEORGIEN“ (2017-2019 წწ.) მიზანია გერმანელი და ქართველი სპეციალისტების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით მოხდეს ეპილეფსიის პრექირურგიული დიაგნოსტიკის მკვეთრად გაუმჯობესება და მკურნალობის ახალი, ინვაზიური მეთოდის დანერგვა საქართველოში.** პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია საერთაშორისო კონფერენციების/ვორკშოპების მოწყობა საქართველოსა და გერმანიაში. პირველი ასეთი საერთაშორისო კონფერენცია მოეწყობა ამა წლის 24-28 ოქტომბერს საქართველოში, ქართულ-გერმანული წლის ფარგლებში. საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდება, ევროპისა და საქართველოს 25-მდე წამყვანი მეცნიერი და კლინიცისტი დაესწრება.

დასასრულ, იმედს გამოვთქვამ, რომ შესაბამისი ინსტანციები გამოიჩენენ გულისხმიერებას და ხელს შეუწყობენ ამ პროექტის რეალიზაციას. ტვინის შემსწავლელ ასეთ ცენტრს, რომელიც გაართიანებს ექსპერიმენტულ და კლინიკურ ძალებს საქართველოში, შესაბამისი მხარდაჭერის პირობებში, უდავოდ ექნება პოტენციალი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ტვინის კომპლექსური კვლევის დარგში, საერთაშორისო მასშტაბით.

**— ბატონო თენგიზ, დიდი მადლობა უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდებისთვის, აგრეთვე, იმისთვის, რასაც თქვენ აკეთებთ საქართველოში მეცნიერების ამ უაღრესად საჭირო დარგის განვითარებისთვის. ეჭვი არ გვეპარება, რომ საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც გუშინ გაიხსნა, წარმატებით ჩატარდება. იმედია, რომ ჩვენი ქვეყნის შესაბამისი დაწესებულებები და უწყებები დაინტერესდებიან თქვენი მასშტაბური პროექტით და აღმოგიჩენენ სათანადო ხელშეწყობას მის განხორციელებაში.**

ესაუბრა
**გიორგი კვესიტაძე**,
აკადემიკოსი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

ჰკა მაგათა!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს ადამიანები როგორ უნდა საუბრობდნენ განწყობების გაღვივებასა და პროპაგანდაზე, როცა თვითონ არიან ყველგან მოდებული და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანს, ფაქტობრივად, არ აჭაჭანებენ? ან მათკენ ხარ და ხარ ზომბირებული მათი იდეოლოგიით, ან სახელმწიფოს მტრად გაცხადებენ. ჰომოფობი, ქსენოფობი, თურქოფობი... კიდევ რა ვიცი, რამდენნაირი „ფობი“ მოიგონეს“.**

# მეხუთე კოლონა «საქართველო და მსოფლიოს» წინააღმდეგ

# რატომ ესხმიან თავს სოროსის მოთარეშეები ობიექტურ მედიას?

**არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიის განვითარების ფონდმა“ (MDF) „საქართველო და მსოფლიო“ ანტიდასავლური განწყობების მთავარ გამღვივებლად გამოაცხადა. ამ ფონდის „კვლევაში“, რომელიც 1 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს, ნათქვამია, რომ ამ ხნის განმავლობაში მედიაში გამოქვეყნებული 99 ანტიდასავლური შინაარსის კომენტარიდან 52 ეკუთვნის „საქართველო და მსოფლიოს“.**

„მედიასაშუალებების შემთხვევაში 164 კომენტარიდან ანტიდასავლური შინაარსისა 99 იყო. უმეტესობა ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიოზე“ (52) მოდის“, — აღნიშნულია განცხადებაში. ბრალდებების ვრცელ ჩამონათვალში ასევე ვხვდებით **„შეშფოთების საკმაოდ მაღალი კოეფიციენტის შემცველ“ „ულტრალიბერალურ“** ტერმინებს: **ჰომოფობია, ქსენოფობია, თურქოფობია, ისლამოფობია...** ორგანიზაციის ინტერპრეტაციით, ყოველივე ამ „ფობიებსაც“ ყველაზე მაღალი ინტენსივობით „საქართველო და მსოფლიო“ აღვივებს, თუმცა რა სოციოლოგიურ პრაქტიკას ეყრდნობა „კვლევა“, უცნობია.

**„მედიის განვითარების ფონდი“ არ არის გლობალისტური ძალების მსახური ერთადერთი ასო (არასამთავრობო ორგანიზაცია), რომელიც ქვეყანაში ობიექტურად არსებული მზარდი ანტიდასავლური განწყობების ფონზე მსგავს უსაფუძვლო და არგუმენტებს მოკლებულ განცხადებას ავრცელებს.** „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“, „სამართლიანი არჩევნები“ თუ სხვა არასამთავრობოები ბოლო პერიოდში ერთგვარი ისტერიკის რეჟიმში საუბრობენ მედიაში რუსული პროპაგანდის კვალზე, თუმცა მათ მიერ დღემდე გამოქვეყნებული ვერც ერთი „კვლევა“ რეალური ფაქტებით ვერ ასაბუთებს, რაში გამოიხატება რუსული პროპაგანდა და როგორ შეიძლება, მან გააღვივოს ანტიდასავლური განწყობა ქვეყანაში, როცა **მედიის უდიდესი ნაწილი სწორედ დასავლური, ხშირად ცრუ და წრეგადასული „ლიბერალური“ პროპაგანდითაა გაჯერებული.**

სამართლიანია თუ არა საზოგადოების მიერ მეხუთე კოლონად შერაცხილი საეჭვო დაფინანსებისა და მხარდაჭერის მქონე „მესამე სექტორის“ ბრალდებები „საქართველო და მსოფლიოს“ წინააღმდეგ; რა მიზანს ემსახურება „კვლევა“, რომლითაც ამ ორგანიზაციის ზურგს უკან მდგომი გარკვეული გარეძალა მიუღებელი მედიასაშუალებების დისკრედიტებას ცდილობს და რა აღვივებს რეალურად ანტიდასავლურ განწყობებს ჩვენს ქვეყანაში — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიომ“ რამდენიმე ცნობილ ადამიანს სთხოვა კომენტარი.



## „თამარ კინწურაშვილი კვლევებს კი არ უნდა ატარებდეს, ციხეში უნდა იჯდეს“

**ნიკოლოზ მჟავანაძე, „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე:**

— ანტიდასავლურ განწყობებს თუ ვინმე ან რამე აღვივებს დღეს საქართველოში, ეს, უწინარესად, არის სწორედ ამ ტიპის „არასამთავრობო ორგანიზაციები“, რომელთა დაფინანსებაც, საქმიანობაც და, საერთოდ, არსებობაც ძალიან დიდ კითხვის ნიშანს აჩენს.

რაც შეეხება კონკრეტულად „მედიის განვითარების ფონდს“, ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე **თამარ კინწურაშვილი** კვლევებს კი არ უნდა ატარებდეს, ციხეში უნდა იჯდეს და სასჯელს იხდიდეს იმ დანაშაულისთვის, რომელიც თავის დროზე ჩაიდინა, როცა პირველი არხის ქონება გაანიავა; ეს იყო ხალხის ფული, თითოეული ჩვენგანის ჯიბიდან გადახდილი, და ამ ქალბატონმა ეს ყველაფერი მიითვისა. კიდევ ვიმეორებ: თამარ კინწურაშვილი ციხეში უნდა იჯდეს და ამ ხელისუფლების დიდი შეცდომაა, რომ დღეს მას კიდევ რაღაც კვლევებს ატარებინებს.

რაც შეეხება ბრალდებებს ანტიდასავლური განწყობების გაღვივების თაობაზე, რომლებიც ხშირად ისმის, როგორც კონკრეტული მედიასაშუალებების, ასევე პოლიტიკური სუბიექტების მიმართაც: **მათთვის ანტიდასავლური განწყობების გაღვივებაა, თუ ვინმე იტყვის, რომ ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინება მიუღებელია, ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობააო, რომ სახელმწიფო ეროვნულ ფასეულობებზე უნდა იყოს დაფუძნებული და ა.შ., ხოლო ის, ვინც რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე ამოიღებს ხმას, კრემლის აგენტია.** აი, ეს არის მათი ვიწრო აზროვნება. როცა ამ ბრალდებებს გიყენებენ სრულიად უსაფუძვლოდ, თქვენ ადგილას, სასამართლოში ვუჩივლებდი პატივისა და ღირსების შელახვისთვის. ეს ადამიანები როგორ უნდა საუბრობდნენ განწყობების გაღვივებასა და პროპაგანდაზე, როცა თვითონ არიან ყველგან მოდებული და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანს, ფაქტობრივად, არ აჭაჭანებენ. ან მათკენ ხარ და ხარ ზომბირებული მათი იდეოლოგიით, ან სახელმწიფოს მტრად გაცხადებენ. ჰომოფობი, ქსენოფობი, თურქოფობი... კიდევ რა ვიცი, რამდენნაირი „ფობი“ მოიგონეს. მგონი, შექმნილი აქვთ სპეციალური კანტორა, რომელიც ამ ტერმინებს იგონებს და შემდეგ იარლიყად გაკერებენ მათივე დაქვემდებარებაში არსებული ე.წ. მედიასაშუალებებით, რომლებიც რეალურად აგრესიული „ულტრალიბერალური“ პროპაგანდის იარაღი უფროა...



## „საქართველოში არანაირი ფობია არ არსებობს“

**გულბაათ რცხილაძე, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— საქართველოში არანაირი ფობია არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ობიექტური რეალობა, რომ ქვეყანა გადაგვარების პირასაა, მაგრამ ამას აქ არ მოჰყოლია რამეს სახის ძალადობა — თმის ერთი ღერიც არ ჩამოვარდნია არავის — არც უცხოელსა და არც რომელიმე უმცირესობის წარმომადგენელს. უბრალოდ, ვიღაცას უნდა, სჭირდება ისეთი სურათის შექმნა, რომ თითქოს რაღაც პროპაგანდა ქმნის პრობლემას. საზოგადოებას ნაცარს აყრიან თვალში. **საკმარისია, ვინმემ მათთვის და მათი იდეოლოგიისთვის მიუღებელი რამ განაცხადოს, მონსტრად, ურჩხულად გამოჰყავთ, თურმე ანტიდასავლური პროპაგანდა მძვინვარებს.**

„საქართველო და მსოფლიო“ არის ერთ-ერთი მოწინავე გამოცემა იმ გაბედულ მედიასაშუალებებს შორის, რომლებიც მოურიდებლად ამხელენ „ნეოლიბერალური“ იდეოლოგიის რეალურ არსსა და ამოცანას. ზუსტად ეს აფრთხობთ და აღიზიანებთ ამ იდეოლოგიის მსახურებს. იმიტომ, რომ მათთვის მიუღებელია ისეთი მედია, რომელიც არ დაექვემდებარება მათ წესებს, მათ მიერ მიღებულ კანონებსა და რეგულაციებს. აი, ამას ეძახიან ისინი დემოკრატიას და გამოხატვის თავისუფლებას, რასაც რეალურად არანაირი კავშირი არ აქვს არც პირველთან და არც მეორესთან.



## „ესენი რომ ვინმეს სიძულვილის გაღვივებაში დაადანაშაულებენ, ცინიზმი არ არის?!“

**ვაჟა ოთარაშვილი, პოეტი, „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკური მდივანი:**

— ორგანიზაცია, რომლის დირექტორი და სულისჩამდგმელი არის სააკაშვილის ტელემოსამსახურე **თამარ კინწურაშვილი**, გასაგებია, რა სულისკვეთებისაა და რა მიზანს ემსახურება. მათ მიერ გამოქვეყნებული ნებისმიერი ინფორმაცია, ბუნებრივია, ანტიქართული ხასიათის იქნება. ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ და თქვენისთანა მედიასაშუალებებს „ფობებად“ რომ თვლიან, არ უნდა გვიკვირდეს. ისე, საინტერესოა, თვითონ ვისი ან რისი ფობია სჭირთ. ყველაფერ ქართულს ზიზღით რომ უყურებენ და ერთი სული აქვთ, ამოძირკვონ ერის ცნობიერებიდან, თუ რაიმე ეროვნული დარჩა. ამას რა ჰქვია? **ესენი რომ ვინმეს სიძულვილის გაღვივებაში დაადანაშაულებენ, ცინიზმი არ არის?! ან კიდევ, „განსხვავებულისადმი“ პატივისცემას რომ ქადაგე-** ▶

**«მათთვის ანტიდასავლური განწყობების გაღვივებაა, თუ ვინმე იტყვის, რომ ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინება მიუღებელია, ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა, რომ სახელმწიფო ეროვნულ ფასეულობებზე უნდა იყოს დაფუძნებული და ა.შ., ხოლო ის, ვინც რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე ამოიღებს ხმას, კრემლის აგენტია»**

## მეცნიერებმა განაცხადეს, რომ დაიწყო «ეკოლოგიური არმაგედონი»

**გერმანიის, ნიდერლანდებისა და დიდი ბრიტანეთის მკვლევართა ჯგუფმა დაადგინა, რომ მფრინავი მწერების რაოდენობა გერმანიაში სამი მეოთხედით შემცირდა. ამით სერიოზული საფრთხე შეექმნა სიცოცხლეს დედამიწაზე, ასკვნიან მეცნიერები, რადგან ეს არსებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კვების ჯაჭვში და მცენარეთა დამტვერიანებაში. კვლევების შედეგები გამოქვეყნებულია ჟურნალში Plos One.**

ენტომოლოგებმა გერმანიის 63 რაიონში შეაგროვეს მწერების 1,5 ათასი ნიმუში. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ დაჭერილი მწერების საერთო წონა 27 წლის განმავლობაში 76 პროცენტით შემცირდა. მეცნიერები აცხადებენ, რომ მათი მონაცემები შეიძლება განზოგადდეს გერმანიის ყველა რეგიონზე, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება არის განვითარებული.

მკვლევარები არ ასახელებენ მიზეზს, რომელმაც მწერების რაოდენობის შემცირება გამოიწვია, თუმცა ვარაუდობენ, რომ ყველაზე სარწმუნო ფაქტორად შეიძლება დასახელდეს ადამიანის მიერ მათი ბინადრობის ბუნებრივი გარემოს განადგურება, პესტიციდების გამოყენება და გლობალური დათბობა.



**„საქართველო და მსოფლიო“ არის ერთ-ერთი მოწინავე გამოცემა იმ გაბედულ მედიასაშუალებებს შორის, რომლებიც მოურიდებლად ამხელენ „ნეოლიბერალური“ იდეოლოგიის რეალურ არსსა და ამოცანას. ზუსტად ეს აფრთხობთ და აღიზიანებთ ამ იდეოლოგიის მსახურებს. იმიტომ, რომ მათთვის მიუღებელია ისეთი მედია, რომელიც არ დაექვემდებარება მათ წესებს, მათ მიერ მიღებულ კანონებსა და რეგულაციებს. აი, ამას ეძახიან ისინი დემოკრატიას და გამოხატვის თავისუფლებას, რასაც რეალურად არანაირი კავშირი არ აქვს არც პირველთან და არც მეორესთან.**

# ჰკა მაგათა!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბენ, თვითონ როგორ იღებენ განსხვავებულ აზრს?! მათ მიერ გამოქვეყნებული შეფასება ემსახურება არა ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესს, არამედ იმას, როგორ დაეცეს, გაიხრწნას, გათახსირდეს, გაპედერასტდეს, გალესბოსელდეს და გადაგვარდეს ქართველი ერი.** სხვა ამოცანა მათ არ აქვთ, ამიტომ ასეთი ორგანიზაციები უნდა აიკრძალოს, თუმცა, ჩვენდა სამარცხვინოდ, არა თუ ვერ ხერხდება მათი აკრძალვა, პირიქით, მრავლდებიან და ბაქტერიებივით ედებიან ქვეყანას. ახლა რაც შეეხება ბრალდებებს თქვენი გაზეთის წინააღმდეგ: **კინწურაშვილის ორგანიზაცია, რომელიც უცხოეთიდან ფინანსდება და მოსყიდულია გარკვეული ძალების მიერ,** ბუნებრივია, ობიექტურად ვერ შეაფასებს ვერც ერთ დამოუკიდებელ მედიასაშუალებას, მათ შორის, „საქართველო და მსოფლიოს“, რომელიც ძალიან დიდი ინტერესით იკითხება და რაიონებში ეს გაზეთი ხელიდან ხელში გადადის, მიუხედავად სიდუხჭირისა და ძალიან მძიმე სოციალური ფონისა. აი, ეს არის სიმართლე და იმ ხალხს, რომელიც თვლის, რომ სოდომიის მიუღებლობა ჰომოფობიაა, თურქეთის იმპერიალისტურ ზრახვებზე საუბარი — თურქოფობია, ხოლო სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების მოთხოვნა — ქსენოფობია, ერთ რამეს ვეტყვი: **თქვენ გაქვთ ყველაზე საშიში და საშინელი ფობია ტვინში, თქვენ გაქვთ საკუთარი ერის, ქვეყნისა და კულტურის ფობია. ამაზე დიდი უბედურება არ არსებობს და დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, როცა საქართველოს ეროვნული ხელისუფლება ეყოლება, ეს ადამიანები მოსცილდებიან ძალაუფლების სათავეებს.** ესენი არიან საქართველოს, ქართული სახელმწიფოს მტრები და, **გიორგი სააკაძის** პერიოდში რომ ეცხოვრათ, როგორც **გორგიჯანიძის** მამა შესვეს ვირზე უკუღმა, ალბათ, მათაც ისე შესვამდნენ და ჩაქოლავდნენ.

## «განსხვავებულისადმი» პატივისცემას რომ ქადაგებენ, თვითონ როგორ იღებენ განსხვავებულ აზრს?! მათ მიერ გამოქვეყნებული შეფასება ემსახურება არა ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესს, არამედ იმას, როგორ დაეცეს, გაიხრწნას, გათახსირდეს, გაპედერასტდეს, გალესბოსელდეს და გადაგვარდეს ქართველი ერი. სხვა ამოცანა მათ არ აქვთ, ამიტომ ასეთი ორგანიზაციები უნდა აიკრძალოს



## „ლიბერასტები უარყოფითად შეგაფასებენ, აბა, რა?! და ეს ბუნებრივია“

**გია კორკოტაშვილი, მსახიობი, „ქართველთა მარშის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი:**

— ვინ ხართ და რას წარმოადგენთ, ეს იმის მიხედვით უნდა განისაზღვროს, ვინ როგორ გაფასებს. ლიბერასტები უარყოფითად შეგაფასებენ, აბა, რა?! და ეს ბუნებრივია. რატომ? — იმიტომ, რომ თქვენ გაქვთ თქვენი მიმართულება და აკეთებთ რეალურ დასკვნებს. რა თქმა უნდა, ეს ვიღაცისთვის მიუღებელია, მაგრამ ამის არ უნდა შეგვეშინდეს. მთავარია, თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებიც დებენ ქვეყანის რეალურ სურათს, არ ერიდებით საგნებისა და მოვლენებისთვის შესაბამისი სახელების დარქმევას და სათქმელის, პოზიციის ღიად გამოხატვას. ამას ბევრი ვერ ბედავს მიზეზთა გამო. ეს არის უმთავრესი. და დანარჩენი: ვინ ქსენოფობიას დაგაბრალებთ, ვინ — ჰომოფობიას (მომავალში კიდევ რაღაც ახალი შეიძლება მოიგონონ), ეს, ჩემი აზრით, არაფერს ცვლის...



## „ამ არასამთავრობოებისთვის ყოველივე ეროვნული და მართლმადიდებლური, რასაც თქვენი გაზეთი ემსახურება, ფობიაა“

**მამა გურამი (გამცემლიძე), დიღმის სამი მღვდელმთავრის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი:**

— ამ კონკრეტული კვლევის შედეგებს არ გავცნობივარ, მაგრამ, საერთოდ, ამ არასამთავრობოებისთვის ყოველივე ეროვნული და მართლმადიდებლური, რასაც თქვენი გაზეთი ემსახურება, ფობიაა, ანუ, თუ დღეს ადამიანი ან რომელიმე მედიასაშუალება მუშაობს ეროვნული ცნობიერების გასაღვივებლად, მათი აზრით, ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება დემოკრატიას, განვითარებას და ქვეყნის ნათელ მომავალს. ამიტომაც გებრძვიან. აბა, ერთი კონკრეტული რამ დაასახელონ, რომელი ფობია როგორ გააღვივეთ... უბრალოდ, ეს არის პირდაპირი, დაუფარავი ბრძოლა ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ და ამისთვის ყველა საშუალებას, ყველა გზასა და შესაძლებლობას იყენებენ.

● **მკითხველისთვის, ალბათ, ერთობ საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნებოდა „კვლევის“ ავტორების განმარტება მათ მიერ კონკრეტული მედიასაშუალებების, პირველ რიგში კი, „საქართველო და მსოფლიოს“ წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებზე, მაგრამ, არაერთი მცდელობის მიუხედავად, მათთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. თვით „კვლევა“ კი ისეთი ზედაპირულია, რომ უამრავ შეკითხვას აჩენს და ვერც ერთზე პასუხს ვერ სცემს. ამიტომ, შევეცდები, თვითონ მოგახსენოთ იმ „ბრალდებების“ რეალური არსი, რომლებიც აღნიშნულ „კვლევაში“ არგუმენტებისა და დასაბუთების გარეშეა წარმოდგენილი.**

მაშ, ასე: „მედიის განვითარების ფონდი“ და გარკვეული გარე ძალების დაკვეთით მოქმედი მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციები ტერმინებს: ჰომოფობია, ქსენოფობია, თურქობობია და სხვ. კონკრეტული დატვირთვით იყენებენ.

მაგალითად, მათი ლოგიკით, **ქსენოფობიაა**, თუ მოქალაქე ან მოქალაქეთა ჯგუფი, ან თუნდაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი მოითხოვს, რომ, ვთქვათ, მიწა, სახელმწიფოს მთავარი მატერიალური საძირკველი, უცხოელებს არ უნდა მივყიდოთ, რომ სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკა ეროვნული ინტერესების შესაბამისად გამკაცრდეს და ქვეყანა დაცული იქნას შესაძლო საფრთხეებისგან, რომლებიც მიგრანტების სტიქიური შედინების გამო, უკვე დიდი ხანია, ევროპას შეექმნა.

მათთვის **ჰომოფობიაა**, როცა ესა თუ ის მედიასაშუალება (ამ შემთხვევაში „საქართველო და მსოფლიო“) ხშირად აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას იმ ადამიანებს, რომლებიც თვლიან, რომ სოდომია გადახრაა, რომ ქალის ქალზე ან მამაკაცის მამაკაცზე დაქორწინება ამორალური ქმედებაა და არ შეიძლება ნორმად ჩაითვალოს; მათთვის **ჰომოფობიაა** ფიქრიც კი იმაზე, რომ მამათმავლობა ადამიანის დეგრადირებულობას ნიშნავს. თვით ტერმინი, თავისი არსით, გულისხმობს იმას, რომ არ გაქვს უფლება, ასე იფიქრო, არათუ ხმამაღლა გამოხატო ეს ფიქრი და, თუ მიგაჩნია, რომ უფლება გაქვს, ამგვარი თვალსაზრისი გქონდეს, უკვე „ჰომოფობი“ ხარ.

მათთვის **თურქოფობიაა**, როცა ვინმე გაბედავს და იტყვის, რომ თურქეთს საქართველოს ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი აქვს მიტაცებული; რომ ტაო, არტანუჯის მხარე, ჭოროხის ხეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და იმერხევი მიტაცებული აქვს იმ სახელმწიფოს, რომელიც დღეს გამოცხადებულია ისტორიულ მეგობრად და მისი პოლიტიკა მიმართულია საქართველოს სრული ოკუპაციისკენ...

მათთვის **ისლამოფობიაა**, როცა მრავალსაუკუნოვან მართლმადიდებელ სახელმწიფოში, რომელსაც არსებობის განმავლობაში რეგიონის ისლამური ქვეყნები მხოლოდ აოხრებდნენ და აზიანებდნენ, საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელია ახალ-ახალი მეჩეთების აშენება (მით უმეტეს, როცა ამის არანაირი საჭიროება არ არის), როცა ხალხი საფრთხეს ხედავს მეზობელი თურქეთის ეკონომიკურ ექსპანსიაში აჭარის რეგიონში და ამ საფრთხეების მატებასთან ერთად შიშიც იზრდება; მათთვის **ისლამოფობიაა**, როცა ხელისუფლების მიერ (იგულისხმება როგორც წინა, ისე მოქმედი ხელისუფლება) თურქეთის, ირანის, არაბეთის, სირიისა და სხვა ისლამური სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის ქართული პასპორტების დარიგებას მოსახლეობა ზარ-ზეიმით არ ხვდება, როცა საზოგადოება „ტოლერანტულად“ არ ეკიდება დედაქალაქის ქუჩებში არაბული, ერთი შეხედვით, ჩილიმ ბარების, სინამდვილეში კი, სამეძავო სახლების მომრავლებას და მათთვის ერთგვარი ხელშეუხებლობის პრივილეგიის მინიჭებას; მათთვის ისლამოფობიაა, როცა გაგებით არ ვეკიდებით ტერორიზმს, ძალადობას, კრიმინალს, რელიგიურ ფანატიზმსა და სხვა ათასგვარ საფრთხეს, რომლებიც, ძირითადად, სწორედ ისლამური ქვეყნებიდან ემუქრება მსოფლიოს. მათთვის, საზოგადოდ, **ფობიაა**, როცა ქართველისთვის ერთი და იგივე არ არის უცხოელი და თანამემამულე, საკუთარი კულტურა, ტრადიცია და უცხოეთიდან თავსმოხვეული ფსევდოღირებულებები. რაც შეეხება ანტიდასავლურ პროპაგანდას, მათთვის **ანტიდასავლური პროპაგანდაა**, როცა დაუფარავად ამხელენ აგრესიულ „ნეოლიბერალურ“ ტერორს, რომელმაც, ძირძველი ევროპელები, უკვე დიდი ხანია, კატასტროფამდე, სრულ უუფლებობამდე მიიყვანა.

მათთვის **ანტიდასავლური პროპაგანდაა**, როცა ვინმე იტყვის, რომ ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები დირექტივების სახით ითხოვს სატელიტი სახელმწიფოებისგან ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინების დაკანონებას (გაიხსენეთ ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის განცხადება მსოფლიოს ქვეყნებში გეი-ქორწინების ლეგალიზებაზე).

დასასრულ, მათთვის მთავარი ანტიდასავლური, „შესაბამისად,“ კრემლის პროპაგანდაა, თუ ვინმე სიტყვას დაძრავს რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე. ამგვარ განცხადებას ან მსგავსი შინაარსის შემცველ საუბარს მაშინვე რუსეთუმეს იარლიყად აქცევენ, შემდეგ თავიანთ პროპაგანდისტულ ქურაში გაატარებენ და ცდილობენ, საზოგადოებრივ აზრად წარმოგვიდგინონ... აი, რაში დაინახა მსოფლიო გლობალისტური ძალების მსახურმა „მედიის განვითარების ფონდმა“ „საქართველო და მსოფლიოს“ ფობიები, შემდეგ აკინძა ერთ „კვლევაში“ და ახალი გრანტების მიღების მოლოდინში თავის დასავლელ მამა-მარჩენლებს უპატაკა.

მოამზადა **ჯაბა ჟვანია**

## «თქვენ გაქვთ ყველაზე საშიში და საშინელი ფობია ტვინში, თქვენ გაქვთ საკუთარი ერის, ქვეყნისა და კულტურის ფობია. ამაზე დიდი უბედურება არ არსებობს და დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, როცა საქართველოს ეროვნული ხელისუფლება ეყოლება, ეს ადამიანები მოსცილდებიან ძალაუფლების სათავეებს. ესენი არიან საქართველოს, ქართული სახელმწიფოს მტრები და, გიორგი სააკაძის პერიოდში რომ ეცხოვრათ, როგორც გორგიჯანიძის მამა შესვეს ვირზე უკუღმა, ალბათ, მათაც ისე შესვამდნენ და ჩაქოლავდნენ»

# რომანო პროდი: ევროპა აშშ-ის ცალმხრივ პოლიტიკას ემსხვერპლება

**საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდის პრეზიდენტმა, იტალიის ყოფილმა პრემიერმინისტრმა რომანო პროდიმ ევრაზიის ფორუმზე გამოსვლისას განაცხადა, რომ რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა ევროპა ძალიან დააზარალა.**

„გაოცებული ვარ იმით, როგორ შეცვალა სანქციებმა ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან და როგორ დააზარალა ჩვენი თანამშრომლობა. ჩვენი საქონელბრუნვა 25 პროცენტით შემცირდა. ეს მოხდა იმ პერიოდში, როცა, გარკვეული ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, საერთაშორისო ვაჭრობა საკმაოდ წარმატებულად ვითარდებოდა. რუსეთი აღმოსავლეთისკენ შებრუნდა და ეს მნიშვნელოვანია. როგორც ჩანს, ჩვენ, ევროპელები, მსხვერპლნი ვართ იმ პოლიტიკის, რომლისთვისაც ხმა არ მიგვიცია. აშშ-მა თავისი პოლიტიკა ისე წარმართა, რომ არათუ რაიმე დაკარგა სანქციების დაწესებით, არამედ მოიგო კიდეც. ჩვენ კი ამ პოლიტიკის შედეგად დავზარალდით.... ევროპისა და რუსეთის ურთიერთდაცილება, რისთვისაც ამერიკა იღვწის, მიმაჩნია ისეთ შეცდომად, რომელიც ისტორიული პერსპექტივით სრულიად გაუგებარი და აუხსნელია“, — განაცხადა რომანო პროდიმ.



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კირკუკი დაეცა იმიტომ, რომ ერაყელმა ქურთებმა, ტრადიციისამებრ, შიდა უთანხმოება ვერ დაძლიეს. ერაყის ქურთისტანში მასუდ ბარზანისა და ჯალალ თალაბანის კლანები დომინირებენ (ქურთისტანის დემოკრატიული პარტია და „ქურთისტანის პატრიოტული კავშირი" შესაბამისად), თითოეული მათგანი ავტონომიის ტერიტორიის ნაწილს აკონტროლებს.**

# ქურთების ციხე შიგნიდან ტყდება

**გასულ კვირას ერაყის სამთავრობო ძალებმა ქალაქი კირკუკი და მიმდებარე ტერიტორია დაიკავეს. ქურთებმა უკან, პრაქტიკულად, უბრძოლველად დაიხიეს. ხანმოკლე შეტაკებებს სანავთობო საბადოების სიახლოვეს რამდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, მაშინ, როდესაც ექსპერტები უმძიმესი ხანგრძლივი ბრძოლის გამართვას მოელოდნენ. რა გახდა ამის მიზეზი და რა შეიძლება მოხდეს ახლო მომავალში?**

სიტუაცია კირკუკის გარშემო მას შემდეგ დაიძაბა, რაც ავტონომიურ ერაყის ქურთისტანში დამოუკიდებლობის თაობაზე რეფერენდუმი გაიმართა. კირკუკი და მიმდებარე საბადოები ავტონომიის საზღვრებში არასოდეს შედიოდა, ქურთებმა ის „ისლამურ სახელმწიფოსთან" ბრძოლის პროცესში დაიკავეს. გასულ კვირას ძირითადი მოვლენები სწორედ იმ ზოლში განვითარდა, რომელზეც ქურთების კონტროლი 2014 წლის შემდეგ გავრცელდა. ერაყის არმია, როგორც ჩანს, ცდილობს, დაიკავოს ის და, შესაძლოა, აპირებს, გაწყვიტოს კომუნიკაციები ერაყისა და სირიის ქურთებს შორის, რაც, უპირველესად, თურქეთს აძლევს ხელს. საკუთრივ ავტონომიის ტერიტორიაზე ერაყელი სამხედროები ამ ეტაპზე არ შედიან, თუმცა ასეთ რთულ სიტუაციაში გამორიცხული არაფერია; ბოლო დღეებში გავრცელდა რამდენიმე ცნობა შეტაკებებზე ავტონომიის შიგნით, მისი დედაქალაქის ერბილის მიმართულებით.

**ერაყის ქურთისტანის ხელისუფლება განიხილავდა კირკუკის ზონას და მის ნავთობს, როგორც ძირითად არგუმენტს ვაჭრობის პროცესში, რომლის შედეგად დამოუკიდებლობა ან ავტონომიის გაფართოება და დიდი ეკონომიკური პრეფერენციები უნდა მიეღო. ბოლო წლებში ქურთები კირკუკის საბადოებზე დღეში დაახლოებით 275 ათას ბარელ ნავთობს მოიპოვებდნენ, რომელიც მათი ექსპორტის თითქმის ნახევარს შეადგენდა. საბადოების ნაწილს საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა (იქ დღეში დაახლოებით 90 ათასი ბარელი მოიპოვებოდა). კირკუკის აღების შემდეგ ის აპირებს, გაასამმაგოს ნავთობის მოპოვება პროვინციაში და თურქულ ჯეიჰანთან დამაკავშირებელი ნავთობსადენი გაარემონტოს.**

კირკუკი დაეცა იმიტომ, რომ ერაყელმა ქურთებმა, ტრადიციისამებრ, შიდა უთანხმოება ვერ დაძლიეს. ერაყის ქურთისტანში მასუდ ბარზანისა და ჯალალ თალაბანის კლანები დომინირებენ (ქურთისტანის დემოკრატიული პარტია და „ქურთისტანის პატრიოტული კავშირი" შესაბამისად), თითოეული მათგანი ავტონომიის ტერიტორიის ნაწილს აკონტროლებს. 1994-97 წლებში, როდესაც საერთაშორისო ზეწოლის პირობებში სადამ ჰუსეინის ჯარები იძულებულნი გახდნენ, რეგიონი დაეტოვებინათ, ამ ორმა ორგანიზაციამ სამოქალაქო ომი გააჩაღა. იყო ინტერესთა თანხვედრის პერიოდებიც, მაგალითად, 2005-ში მასუდ ბარზანი დაეხმარა ჯალალ თალაბანის, ერაყის პრეზიდენტი გამხდარიყო და სანაცვლოდ ავტონომიის პრეზიდენტის პოსტი მიიღო. ბოლო დროს კი ურთიერთობა ორ კლანს შორის გაფუჭდა და მნიშვნელოვანი როლი ამაში ნავთობის ექსპორტისგან მიღებული შემოსავლების განაწილებამ შეასრულა.

ერაყის სამთავრობო ჯარი მოსულის მრავალთვიანი შტურმის დროს სისხლისგან დაიცალა და უამრავი პრობლემა შეექმნა. ის ნამდვილად არ წარმოადგენდა ისეთ მოწინააღმდეგეს, რომელსაც ქურთების რაზმები — „პეშმერგა" ვერ შეაჩერებდა ან, როგორც მინიმუმი, კირკუკში სერიოზულ ბრძოლას არ გაუმართავდა. მაგრამ, ბარზანის კლანის მტკიცებით, ახლახან გარდაცვლილი ჯალალ თალაბანის ვაჟი, პავლე, მოწინააღმდეგეს გაურიგდა და თავისი რაზმები ფრონტიდან მოხსნა, რამაც წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი გახადა. ცხადია, თალაბანის კლანის ვერსია დიამეტრალურად საპირისპიროა — ისინი კირკუკის დაკარგვაში ბარზანის კლანს ადანაშაულებენ.

იმ დოკუმენტების თანახმად, რომლებსაც ქურთული საიტები აქვეყნებენ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ სადავო ტერიტორიებზე ახალ ადმინისტრაციულ ერთეულს შექმნის, რომლის მმართველობაში გათვალისწინებული იქნება „ქურთისტანის პატრიოტული კავშირის" ინტერესები და მის მებრძოლებს ხელფასს გადაუხდის. თალაბანის კლანი ბოლო დროს სიფრთხილით ეკიდებოდა ბარზანის კლანის სურვილს დამოუკიდებელი სახელმწიფო შეექმნა, რადგან შედარებით ძლიერი მოწინააღმდეგის პირისპირ დარჩენის ეშინოდა. ფრთხილობდნენ ერაყის ქურთისტანში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებიც – ასირიელები, იეზიდები, თურქმანები და სხვები, რამაც ისინი ერაყის ცენტრალური ხელისუფლების სიტუაციურ მოკავშირეებად აქცია.

გამორიცხული არაა, რომ თალაბანის გადმობირების ოპერაცია არა იმდენად ერაყის, რამდენადაც ირანის ხელისუფლებამ განახორციელა, რომელიც „უფროსი ძმის" როლში გამოდის. აღსანიშნავია, რომ სამთავრობო ძალების პირველ ეშელონში მოაბიჯებს შიიტური მილიცია „ჰაშდ აშ-შააბი", რომელიც თეირანელი ემისრების უშუალო კონტროლს ექვემდებარება, ხოლო არმია მათსა და ქურთებს შორის თითქოს „გამშველებლის" როლს ასრულებს. ცხადია, ეს სპექტაკლია, თუმცა იმ სისასტიკის ფონზე, რომელსაც შიიტური ფორმირებები ავლენენ, ადგილობრივმა მოსახლეობამ შეიძლება სამხედროებში მხსნელი დაინახოს.

ზოგიერთი კომენტატორის აზრით, ირანელმა ძალოვნებმა შესანიშნავი საიდუმლო ოპერაცია ჩაატარეს, რომლის შედეგად ქურთებმა კირკუკი და ზოგიერთი სხვა დასახლებული პუნქტი პრაქტიკულად უბრძოლველად დათმეს, თუმცა „ჰაშდ აშ-შააბმა" და სხვა მსგავსმა რაზმებმა ისევ დაიწყეს თავების მოჭრა, ტყვეების სადისტური წამება და ა.შ. ისინი ისევ აკეთებენ იმას, რამაც 5-7 წლის წინათ ერაყელი სუნიტების მხარდაჭერა განაპირობა „ისლამური სახელმწიფოს" მიმართ. ირანელი ინსტრუქტორები მათ შეჩერებას ვერ ახერხებენ. ამ შემთხვევაში, კონფესიური ფაქტორის გარდა, ეთნიკურიც მოქმედებს – ერაყელი არაბების უმრავლესობა სპარსებს არ ენდობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც შიიტები არიან, ამიტომ ირანელების გავლენა რიგით ბოევიკებზე შეზღუდულია. „ჰაშდ აშ-შააბის" ძალადობამ შეიძლება ჩაშალოს კომბინაცია, რომელსაც ირანელები კირკუკის რეგიონში ათამაშებენ.



**თუ თურქეთი სადავო ტერიტორიის პირდაპირ შემოერთებას ვერ გარისკავს, შეიძლება მისი ოკუპირება მოახდინოს საკუთარი ჯარისა და ადგილობრივი პროქსი-ფორმირებების ერთობლივი ძალისხმევით, ისე, როგორც ეს ჩრდილოეთ სირიაში გააკეთა**



**თეირანი სარგებლობს იმით, რომ ამერიკელების მდგომარეობა კონფლიქტში ორაზროვანია — ვაშინგტონი, როგორც ქურთების, ისე ერაყის ცენტრალური ხელისუფლების მოკავშირედ ითვლება და „ისლამურ სახელმწიფოსთან" ბრძოლაში ორივე სჭირდება. თანაც არც ისე იოლია, მხარი დაუჭირო ერაყელ ქურთებს, როდესაც მათ ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული ფრაქცია წარმოადგენს.**

ქურთებმა დამოუკიდებელი სახელმწიფო XX საუკუნის 20-იან წლებში სწორედ შიდა დაპირისპირების გამო ვერ შექმნეს — ბრიტანელები საკითხს სრული სერიოზულობით განიხილავდნენ, მაგრამ, ვინაიდან ქურთული კლანები ერთმანეთთან ბრძოლას არ წყვეტდნენ, არჩევანი ერთიანი ერაყის შექმნის სასარგებლოდ გააკეთეს. მაშინ თურქეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის ურთიერთობა გართულებული იყო — ისინი ოსმალეთის იმპერიის ყოფილი მოსულის ვილაიეთის ტერიტორიას ვერ ინაწილებდნენ. საბოლოოდ, სადავო ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ერაყის შემადგენლობაში შევიდა, რომელსაც ბრიტანელები აკონტროლებდნენ. ამის სანაცვლოდ თურქეთმა მიიღო ფულადი კომპენსაცია და 10% მოსულის ნავთობის შემოსავლიდან 20 წლის განმავლობაში. ეს ძველი დავა, ალბათ, არავის გაახსენდებოდა, რომ არა ერაყის დაშლის, ძველი შეთანხმების სუბიექტის გაქრობის საფრთხე, რომლის ადგილას შეიძლება ახალი ქურთული, ამასთანავე შიიტური და სუნიტური სახელმწიფოები შეიქმნას. **თუ თურქეთი სადავო ტერიტორიის პირდაპირ შემოერთებას ვერ გარისკავს, შეიძლება მისი ოკუპირება მოახდინოს საკუთარი ჯარისა და ადგილობრივი პროქსი-ფორმირებების ერთობლივი ძალისხმევით, ისე, როგორც ეს ჩრდილოეთ სირიაში გააკეთა.**

კირკუკი იყო ყველაზე მდიდარი, მაგრამ არა ერთადერთი სანავთობო ზონა, რომელსაც ქურთები აკონტროლებენ. მნიშვნელოვანი მარაგი არის ერბილთან და სულეიმანიასთანაც, მაგრამ, კირკუკისგან განსხვავებით, ეს საბადოები ნაკლებად ათვისებულია; ნავთობის მოპოვება ხშირად კუსტარულად ხდება. მოპოვების გაზრდას სჭირდება უცხოური ინვესტიციები, თუმცა სერიოზული კომპანიები, სავარაუდოდ, თავს შეიკავებენ რეგიონში აქტიურობის გაფართოებისგან, მანამ, სანამ არ გაირკვევა, რა ტერიტორიას აკონტროლებს ავტონომიის მთავრობა და რა ურთიერთობა აქვს მას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. **დღეს კი ისიც გაუგებარია, სად შეჩერდება სამთავრობო ჯარი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის შეეცდება, ქურთების პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გენოციდის გზით გადაწყვიტოს, როგორც ამას სადამ ჰუსეინი აკეთებდა, თუმცა შემდგომმა შეტაკებებმა ვითარება შეიძლება უმართავი გახადოს.**

ქურთებს შიდა განხეთქილების დაძლევა სჭირდებათ, რაც ძალზე ძნელია იმ პირობებში, როდესაც დაპირისპირებამ თალაბანისა და ბარზანის კლანებს შორის პიკს მიაღწია. მათ სასარგებლოდ შეიძლება იმუშავოს „ისლამური სახელწიფოს" გააქტიურებამ ერაყის სხვა რეგიონებში, რომელიც აიძულებს ცენტრალურ ხელისუფლებას, კირკუკის მიმართულებიდან ძალების ნაწილი მოხსნას, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა დღეს, როდესაც ეს ტერორისტული ორგანიზაცია სირიასა და ერაყში უკან იხევს და მებრძოლების ნაწილი რეგიონიდან გაჰყავს. მიუხედავად ამისა, **დასუსტებულ ერაყში, რომლის ხელისუფლება უკიდურესად კორუმპირებულია, შეიძლება მოხდეს ბევრი მოულოდნელი რამ, რაც გაზრდის ქურთების შანსს, კირკუკი დაიბრუნონ. მათ სასარგებლოდ მუშაობს აშშ-ისა და ისრაელის შეშფოთება ერაყში ირანის გავლენის ზრდასთან დაკავშირებით.**

კირკუკის დაცემამდე ორიოდე დღით ადრე „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის" სპეცდანაყოფ „კუდსის" უფროსმა, გენერალ-მაიორმა **კასემ სულეიმანმა**, რომელიც ირანის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ სამხედრო და საიდუმლო ოპერაციებს ხელმძღვანელობს (და ირანში ლამის ეროვნულ გმირად ითვლება), მოინახულა ერაყის ყოფილი, 3 ოქტომბერს გარდაცვლილი პრეზიდენტის, ჯალალ თალაბანის, საფლავი ქალაქ სულეიმანიაში. მას „ქურთისტანის პატრიოტული კავშირი" (თალაბანის კლანი) აკონტროლებს. კირკუკის ბედი, სავარაუდოდ, ამ ვიზიტის დროს გამართულ შეხვედრებზე გადაწყდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ირანელების კომბინაცია ძალზე შთამბეჭდავი იყო, თამაში დასრულებული არ არის. ამერიკელებმა საპასუხო სვლა უნდა გააკეთონ — ეს მათთვის არა მხოლოდ გეოპოლიტიკური ინტერესის, არამედ პრესტიჟის საქმეა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ მათი მრავალწლიანი ძალისხმევა ერაყში, დიდი მსხვერპლისა და ხარჯის მიუხედავად, ირანის გამარჯვებით დაგვირგვინდა.

**ლუკა ნემსაძე**

„5 აპრილია, აფხაზეთის ომი ჯერ დაწყებული არ არის. შეხვედრას საქართველოს მხრიდან ვესწრებოდით: ავთანდილ იოსელიანი, აფხაზეთის შს მინისტრი გივი ლომინაძე, საქართველოს შს მინისტრი რომან გვენცაძე, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი, მე და ლანჩავა — ყველანი სამართალდამცველი სტრუქტურებიდან; ადგილობრივი ხელმძღვანელობიდან — არძინბა, შამბა, ვინმე კაკალია (რომელიც შემდეგ გამაცნეს) და არძინბას პრესმდივანი“.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჯერ კიდევ შეიძლებოდა აფხაზეთის ომის თავიდან აცილება

**გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძესთან რედაქცია შეთანხმებული იყო საუბრების ციკლის გამოქვეყნებაზე, რომლითაც გაზეთის მკითხველი გაეცნობოდა საქართველოს უახლეს ისტორიაში განვითარებულ, ფართო საზოგადოებისთვის დღემდე დაფარულ ფაქტებსა და მოვლენებს.**

**სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ამ ღირსეულმა ადამიანმა და სახელმწიფო მოღვაწემ აღნიშნული პროექტის მხოლოდ ერთი წერილის დამთავრება მოასწრო.**

**დღევანდელი პუბლიკაცია „შეწყვეტილი თხრობის“ პრემიერაც და ფარდის დაშვებაც არის ერთდროულად.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია კვლავ უსამძიმრებს მისი ოჯახის წევრებს უმძიმესი დანაკლისის გამო.**

**უშიშროების გენერალ-ლეიტენანტმა ვალერი ჩხეიძემ სახელმწიფო უშიშროების დაცვას შესწირა მთელი თავისი ცხოვრება. უშიშროების კომიტეტის უმაღლესი კურსებისა და მოსკოვის უშიშროების კომიტეტის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1984-1987 წლებში ავღანეთში სპეციალურ დავალებას ასრულებდა. მომდევნო წლებში დააწინაურეს უშიშროების მინისტრის მოადგილედ, სასაზღვრო ჯარების სარდლად, თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ, საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილედ და საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის დირექტორად.**

**ვალერი ჩხეიძის საუბარი ჩაიწერა და გამოსაქვეყნებლად მოამზადა არმაზ სანებლიძემ.**



ვალერი ჩხეიძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-38 (413-414)

— ცოტა უკან გადავინაცვლებ და გავიხსენებ, რომ, როცა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ჩვენთვის გადმოცემა დაიწყო, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა გრაჩოვმა ოლქის სარდალს, გენერალ პატრიკეევს მისწერა:

„Леонид Онисимович, прошу организовать передачу движимого и недвижимого имущества десятой Ахалцихской дивизии“.

(ახალციხის დივიზიის უძრავ-მოძრავი ქონება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის უნდა გადაეცათ).

და შემდეგ: „Прошу проследить, чтобы вооружение и боеприпасы были использованы только в целях учебы и тренировок, а не в гражданских противостояний“ (უბრძანა, თვალი მიედევნებინა, რათა მხოლოდ სწავლებისა და წვრთნისთვის გამოეყენებინათ და არა სამოქალაქო დაპირისპირებაში მონაწილეობისთვის). ეს ნიშნავდა, რომ თავდაცვის სამინისტრო სრულად ფლობდა ინფორმაციას საქართველოში იმ დროს არსებული ვითარების შესახებ და, ალბათ, სურდა ამ მოსალოდნელ სისხლიან საქმეში მისი ჩაურევლობის დასამტკიცებლად ამ ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება ალიბის სახით.

ან, იქნებ, მართლაც ჰქონდა დამუშავებული სამოქალაქო დაპირისპირების გეგმა და ამთავითვე ცდილობდა მშვიდობისმყოფელის როლის მორგებას?

არაფერია გამორიცხული, იმ დროის რუსეთის ხელმძღვანელობაში არსებულ არეულობას თუ გავითვალისწინებთ. **დემოკრატების ლოზუნგი იყო: „წაიღეთ იმდენი სუვერენიტეტი, რამდენსაც შეძლებთ“, “დერჟავნიკები” კი რუსეთის ახალი იმპერიის იდეით იყვნენ დაციკლულნი და განდგომილი რესპუბლიკების „ერთ ჭერქვეშ“ გაერთიანებას ცდილობდნენ ათადან და ბაბადან ცნობილი დებულებით: „გათიშე და იბატონე!“.**

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მათ მიერ საქართველოსთვის დასატოვებელი სამხედრო ტექნიკა კარგა ხნის წინათ იყო ჩამოსაწერი და დამოუკიდებელი საქართველოს დასაცავად ვერ გამოდგებოდა — დღეს თუ არა, ხვალ მწყობრიდან გამოვიდოდა.

ასეც მოხდა.

ისიც საინტერესოა, რომ **ოქრუაშვილის** თავდაცვის მინისტრობის პერიოდში უკრაინისგან ნაყიდი ტანკები სწორედ იმ შეიარაღების ნაწილი იყო, რომელიც გრაჩოვმა საქართველოს უსასყიდლოდ გადმოსცა.

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ასეთი დასკვნების გაკეთება.

მაშინ ეს შეუძლებელი იყო.

მკითხველის ყურადღებას მივაქცევ იმასაც, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრი **გრაჩოვი** განსაკუთრებული გონიერებითა და ღრმა აზროვნებით არ გამოირჩეოდა და ის წერილი, რომელსაც იგი აწერდა ხელს, შედგენილი იყო, სულ ცოტა “გე-ერ-უს” ანალიტიკოსების მიერ და ეფუძნებოდა სპეცსამსახურების ხანგრძლივ და საფუძვლიან სტრატეგიულ პროგრამას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ე.წ. პერესტროიკის დროს იყო შედგენილი სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი სამხედრო ინსტიტუტების სპეციალისტების მიერ. შესაძლებელია, პოლიტბიუროსთვის გვერდის ავლითაც კი.

გრაჩოვზე ვლაპარაკობდი. **ერთი მედესანტე მიყვებოდა, რომ გრაჩოვი რიაზანის სასწავლებელში პარაშუტით რომ გადმოხტა, ცუდად დაეშვა, თავი დაარტყა და მას შემდეგ რაღაც უცნაურობები დასჩემდაო, თუმცა მე მას მაინც პატივს ვცემდი, როგორც მამაც მებრძოლს ავღანეთში, საბჭოთა კავშირის გმირს.**

მაგრამ მინისტრობის პერიოდში მისი ქმედება ბინძური იყო.

**როგორც კი რამდენიმე ტანკი მიიღო თენგიზ კიტოვანმა, დაიჯერა, რომ უძლეველი არმიის სარდალი იყო. აფხაზეთში შესვლას წინ არანაირი მომზადება არ უძღოდა — არც სახელდახელოდ შეყრილი მოხალისეების წვრთნა, არც ტექნიკის გასინჯვა-მომზადება და ა.შ.**

ქუჩურ ტერმინსგამოვიყენებ — ბაცნობა იყო: — აბა, წავედიიით! და — ავოეე!

ამ დროს ზუგდიდში ცეცხლი გიზგიზებს — უაღრესად გამწვავებულია დაპირისპირება ზვიადისტებსა და მხედრიონელებს შორის.

კიტოვანს იმ თათბირზე ვუთხარი, აფხაზეთში შესვლას აპირებთ და ზურგში ისეთ შეიარაღებულ დაჯგუფებას იტოვებთ, რომელიც ნებისმიერ მომენტში გადაგვიკეტავს კომუნიკაციებს, უწინარეს ყოვლისა, რკინიგზას, და იძულებულები ვიქნებით თბილისიდან სოხუმში თვითმფრინავებით ვიფრინოთ ან საზღვაო გზა გამოვიყენოთ. ორივე ძვირი სიამოვნებაა, ამის საშუალება კი სახელმწიფოს არ აქვს.

კიტოვანი, როგორც ვთქვი, მაშინ დამეთანხმა. იმ მომენტში ომის დაწყება თავიდან ავიცილეთ.

აქ ერთ სცენას გავიხსენებ, რომელიც ჩემი თანდასწრებით გათამაშდა და რომელმაც სულ სხვა კუთხით დამანახვა აფხაზეთის კონფლიქტის მამოძრავებელ მიზანთა შორის ერთ-ერთი, არცთუ უმნიშვნელო.

ომი დაწყებულია. დაგომისში იმართება დაპირისპირებული მხარეების მოლაპარაკება. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი **თენგიზ სიგუა**, რუსეთისას — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი, მაგრამ წამყვანი ფიგურები მაინც გრაჩოვი და კიტოვანი არიან.

თავდაცვის მინისტრები მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ სხედან.

გრაჩოვი:

— თენგიზ, დამიბრუნებ თუ არა სოხუმში ჩემს აგარაკს და თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმს?

მაშინ გავიფიქრე: „ჩემო ძვირფასო უფროსებო, სარდლებო, აი, თურმე რისთვის ომობთ — აგარაკებისა და სანატორიუმებისთვის“...

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ აფხაზი კორესპონდენტი შემეკითხა:

— როგორ აფასებთ ამ ომს?

— ეს ომი კი არ არის, ზოგიერთ დიდმოხელეთა მერკანტილური ინტერესების დაპირისპირებაა, — ვუპასუხე. „ბრძოლა აგარაკებისთვის“ — ასე ვუწოდებდი შემდეგ ამ ომს.

ეს ფიგურალური გამოთქმაა. სინამდვილეში კი **ომი ისეთი მორევია, რომელიც საზოგადოების მთელ ნაგავს ჩაითრევს — ნარკომანებს, დამნაშავე ელემენტებს, რეციდივისტებს, „კანონიერ ქურდებს“, ფსიქიკურ ავადმყოფებსაც კი. ამ თვალსაზრისით, არც აფხაზეთის ომი იყო გამონაკლისი.**

აქ დავამთავრებ „ლირიკულ გადახვევას“ და თხრობას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მივყვები.

აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობაში გასარკვევად აუცილებლად საჭირო იყო ადგილზე ჩასვლა და, უპირველეს ყოვლისა, იქაურ ხელმძღვანელობასთან შეხვედრა, მოლაპარაკება, მათ შორის, აფხაზეთის იმდროინდელ პირველ პირთან — **ვლადისლავ არძინბასთან.** ჩემი ეს მოსაზრება გავუზიარე კიტოვანს და კატეგორიულად მოვითხოვე სოხუმში ჩემი მივლინება.

ბოლოს და ბოლოს, შევთანხმდით.

მეორე დღესვე ვერტმფრენით სოხუმში ჩავფრინდით მე და **ლანჩავა** (რომელიც გამომაყოლეს).

რიგითი ჯარისკაცის ფორმა მეცვა, განმასხვავებელი ნიშნების გარეშე.

სოხუმის სტადიონზე დავეშვით. იქ აფხაზეთის უშიშროების ხელმძღვანელი ავთანდილ იოსელიანი დაგვხვდა და წავედით პარტიის აფხაზეთის ყოფილი საოლქო კომიტეტის შენობისკენ, სადაც ვლადისლავ არძინბას უნდა შევხვედროდით.

5 აპრილია, აფხაზეთის ომი ჯერ დაწყებული არ არის.

**შეხვედრას საქართველოს მხრიდან ვესწრებოდით: ავთანდილ იოსელიანი, აფხაზეთის შს მინისტრი გივი ლომინაძე, საქართველოს შს მინისტრი რომან გვენცაძე, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი, მე და ლანჩავა — ყველანი სამართალდამცველი სტრუქტურებიდან; ადგილობრივი ხელმძღვანელობიდან — არძინბა, შამბა, ვინმე კაკალია (რომელიც შემდეგ გამაცნეს) და არძინბას პრესმდივანი.**

საუბარი დაძაბული გამოდგა. ლომინაძე პრინციპულად უტევდა, ფაქტებს „მაგიდაზე უდებდა“, ლანჩავა, კიტოვანის წარმომადგენელი, ამოღებული ხმლით გადადიოდა შეტევაზე, იოსელიანი ცდილობდა სიმწვავის შერბილებას. საუბარში ზოგჯერ მეც ვერთვებოდი — ვცდილობდი სიტუაციის მაქსიმალურად განეიტრალებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაძაბულობა კრიტიკულ წერტილს აღწევდა და მხარეები, სადაცაა, ერთმანეთს უნდა დაგძერებოდნენ.

არძინბა ნერვიულობდა — მოკიდებულ სიგარეტს საფერფლის ფსკერზე ატრიალებდა (ავთომ წინასწარ მითხრა, რომ ამ კაცს ასეთი ჩვეულება ჰქონდა ნერვიული სტრესის დროს), აწვებოდა ლანჩავას, — თქვენი ბანდა აქაურობას მოაცილეთო. ვინმე **სოსო ახალაიას** შექმნილ რაღაც სამხედრო პოლიციაზე მიუთითებდა. როგორც მითხრეს, ეს ახალაია ჩამოყალიბებული ბანდიტი ყოფილა (შეიძლება გვარი მეშლება), ადგილობრივი კრიმინალური ავტორიტეტი. ლომინაძე უპასუხებდა, რომ სამაგიეროდ თქვენ აფხაზეთში შემოიტანეთ ამა და ამ სახის იარაღი N რაოდენობით და შეაიარაღეთ თქვენი უკანონო ფორმირებებიო. მოკლედ, მთელი საუბარი ერთმანეთისთვის ბრალის დადებით მიმდინარეობდა. ის ვინმე კაკალია კი, რომელიც „პრეზიდენტ არძინბას სამხედრო საკითხებში მრჩევლად“ წარმოგვიდგინეს, ჩუმად იჯდა, კამათსა და დაპირისპირებაში არ მონაწილეობდა.

შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

«როგორც კი რამდენიმე ტანკი მიიღო თენგიზ კიტოვანმა, დაიჯერა, რომ უძლეველი არმიის სარდალი იყო. აფხაზეთში შესვლას წინ არანაირი მომზადება არ უძღოდა — არც სახელდახელოდ შეყრილი მოხალისეების წვრთნა, არც ტექნიკის გასინჯვა-მომზადება და ა.შ.»



ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მაკა ჩიჩუა არ არის ექიმი, მით უმეტეს — ნარკოლოგი... მაისურზე, სანთებელაზე, საფერფლეზე კანაფის ფოთლის გამოსახვა უკვე პროპაგანდაა და აკრძალული იყო. რა თქმა უნდა, საჯაროდ ამგვარი წინადადებით გამოსვლა დაუშვებელია. აპელირებენ პიროვნების თავისუფლებით, მაგრამ ნარკოტიკულ ნივთიერებაზე მიჯაჭვულობა თავისუფლება არ არის. არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ნარკოტიკი იქნება“.**

# პრეზიდენტის მეუღლე და ნარკოტიკის პროპაგანდა სატელევიზიო ეთერში

## «თუ ადამიანი ნარკოტიკული საშუალების პროპაგანდას ეწევა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს. პირველმა ლედიმ კი უნდა იცოდეს, რა უნდა თქვას და რა — არა»

**16 ოქტომბერს გადაცემა „ნიჭიერის“ ეთერში პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მეუღლე მაკა ჩიჩუამ განაცხადა, რომ „მწვანე ბალახის პროპაგანდა არ არის ცუდი“. ნარკოტიკული საშუალებების შესახებ საქართველოს კანონით, „საქართველოში აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების პროპაგანდა და რეკლამა“. მარიხუანას მსუბუქ ნარკოტიკს უწოდებენ, ის იწვევს აპათიას, მოტივაციის ნაკლებობას, ჰალუცინაციებს, ფსიქოზს... მართებულია ამგვარი ნივთიერების პროპაგანდა მოზარდებით სავსე დარბაზში, თანაც, როცა ტელეგადაცემას უამრავი მაყურებელი ჰყავს?! რა არის მარიხუანა და რა ფსიქოლოგიური ზიანი შეიძლება მიაყენოს ამგვარმა პროპაგანდამ მოზარდებს — ამ საკითხზე გვესაუბრებიან ნარკოლოგიური კლინიკა „ნიშატის“ დირექტორი ზაზა ჩიქოვანი, ექიმი-ნარკოლოგი ნესტან სიჭინავა, ექსპერტი გელა ლეჟავა და ფსიქოლოგი თამარ ბოკუჩავა.**



### „ნარკოტიკული საშუალების პროპაგანდა ანტიეროვნული და ანტიჰუმანურია“

**ზაზა ჩიქოვანი, ნარკოლოგიური კლინიკა „ნიშატის“ დირექტორი:**

— მარიხუანის ძირითადი შემადგენელი არის ტეტრაჰიდროკალოიდი, რომელიც მიეკუთვნება ფსიქოტროპულად აქტიური ნივთიერებების ჯგუფს, მოქმედებს თავის ტვინზე და ცვლის ფსიქიკას. მისი მოქმედება გამოიხატება ჰალუცინაციებში და აღქმის შეცვლაში. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ჩვენს კლინიკაში პაციენტების რაოდენობამ მოიმატა.

**— რას ფიქრობთ მარიხუანის პროპაგანდაზე მედიასაშუალებებსა და გასართობ გადაცემებში, რომლებსაც მოზარდები უყურებენ? მაგალითად, პრეზიდენტის მეუღლე მაკა ჩიჩუამ ამას წინათ განაცხადა, რომ „მწვანე ბალახის პროპაგანდა ცუდი არ არის“, იყო პირდაპირ ეთერში კანაფის დარგვის ფაქტებიც...**

— **ნარკოტიკული საშუალების პროპაგანდა ანტიეროვნული და ანტიჰუმანურია.** ყველა კანონში წერია, რომ ნარკოტიკის პროპაგანდა არ შეიძლება. **მაკა ჩიჩუა** არ არის ექიმი, მით უმეტეს — ნარკოლოგი... მაისურზე, სანთებელაზე, საფერფლეზე კანაფის ფოთლის გამოსახვა უკვე პროპაგანდაა და აკრძალული იყო. რა თქმა უნდა, საჯაროდ ამგვარი წინადადებით გამოსვლა დაუშვებელია. აპელირებენ პიროვნების თავისუფლებით, მაგრამ **ნარკოტიკულ ნივთიერებაზე მიჯაჭვულობა თავისუფლება არ არის.** არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ნარკოტიკი იქნება. მიიღებს — იქნება კარგ გუნებაზე, არ მიიღებს — იქნება დეპრესიაში. გაურბიან რეალობას, ცდილობენ, დაიბინდონ გონება და პრობლემებს გაექცნენ, ეს უკვე თავისუფლება აღარ არის. თუ ლიბერალიზმი და თავისუფლება გინდა, რატომ უნდა აირჩიო ცუდი გზა და იყო ნარკოტიკზე დამოკიდებული?! ასეთ შემთხვევაში ხარ ნივთიერების მონა. თავისუფლება არ არის ყველაფერის დავიწყება, იმის გარდა, სად შეიძლება იშოვო ფული ნარკოტიკის საყიდლად.



### თუ მარიხუანის დეკრიმინალიზაცია მოხდება, რა დააშავა ოპიატის, ამფეტამინის მომხმარებელმა?

**ნესტან სიჭინავა, ექიმი-ნარკოლოგი:**

— ნარკოტიკული ნივთიერება ცვლის ფსიქიკას და იწვევს გართულებებს. ათასი კაციდან ერთს მაინც რომ დაუსრულდეს მარიხუანის მოხმარება ამ შედეგით, იმის ოჯახი ხომ დაინგრა? ყველა ნარკოტიკის დეკრიმინალიზაცია შეიძლება, უბრალოდ, სახელმწიფო უნდა იყო ამისთვის მზად. ისე, **თუ მარიხუანის დეკრიმინალიზაცია მოხდება, რა დააშავა ოპიატის, ამფეტამინის მომხმარებელმა? სახელმწიფო მზად უნდა იყოს, უმკურნალოს ნარკოტიკზე დამოკიდებულ ადამიანებს და არ დაიჭიროს, მაგრამ აუცილებლად უნდა დააპატიმრონ გამსაღებლები.**

**— რას ფიქრობთ მარიხუანის პროპაგანდაზე მედიასაშუალებებში?**

— მარიხუანის მოხმარება იწვევს ამოტივაციურ სინდრომს, ანუ ადამიანს არანაირი მოტივაცია არ აქვს და როგორ შეიძლება ამის პროპაგანდა? ადამიანს, რომელიც ნარკოტიკს მოიხმარს, წინსვლა არ აქვს. **მე, როგორც ნარკოლოგი, არ ვთვლი, რომ უნდა დაიჭირონ ავადმყოფი ადამიანი, მაგრამ მას არ უნდა ჩააბარო ხელში სახელმწიფოს მართვა, ჯანმრთელობა, ბავშვის აღზრდა...** თუ მთელი ცხოვრება გაბრუებული ხარ და მოწყვეტილი რეალობას, ვერ შეიძენ გამოცდილებას, შესაბამისად, ცხოვრებაშიც ვერ მიაღწევ წარმატებას.



### „ნარკოტიკული ნივთიერება ტოქსიურად მოქმედებს ორგანიზმზე, თავის ტვინზე და სასარგებლო ნამდვილად არ არის“

**თამარ ბოკუჩავა, ფსიქოლოგი:**

— პრაქტიკაში ხშირად ჩაგვიტარებია მკურნალობა მარიხუანაზე დამოკიდებულების სინდრომზე. ამასთანავე, ბევრია შემთხვევა, როდესაც მარიხუანის ერთჯერადმა ან მრავალჯერადმა მოხმარებამ გამოიწვია ფსიქოზური სიმპტომატიკა, ანუ ანაშური ფსიქოზი. პაციენტებს ჰქონდათ ჰალუცინაციები, რაც ძალიან ჰგავს სხვა ფსიქიკური დაავადებების სურათს და ასეთი ადამიანი შეიძლება სოციალურად საშიში იყოს. იმ შემთხვევაში, თუ ფსიქოზი არ ჩამოყალიბდა და მარიხუანამ სხვა ფსიქიკური პრობლემების პროვოცირება ვერ შეძლო, ეს ნარკოტიკი, სულ ცოტა, იწვევს დეპრესიულობისა და გამოფიტულობის განცდას, შიშებს მოწევის შეწყვეტისას. ამ პრობლემებით ძალიან ხშირად მოუმართავთ. შეიძლება ადამიანმა მარიხუანა ერთხელ მოწიოს და მაშინვე გამოუვლინდეს ეს სიმპტომები, ვილაც შეიძლება მთელი ცხოვრება ეწეოდეს და არასდროს გამოუვლინდეს. ეს ინდივიდუალურია, მაგრამ ნარკოტიკული ნივთიერება ყველა შემთხვევაში ტოქსიურად მოქმედებს ორგანიზმზე, თავის ტვინზე და, შესაბამისად, სასარგებლო ნამდვილად არ არის.

**— რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ნარკოტიკული საშუალებების პროპაგანდამ მოზარდებზე?**

— ნარკოტიკული საშუალებების პროპაგანდა, რა თქმა უნდა, არასწორია, მოზარდებს ისედაც გამძაფრებული აქვთ ცნობისმოყვარეობა ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ. მარიხუანა ჩვეულებრივი ნარკოტიკული ნივთიერებაა, ამიტომ, არასწორია იმის თქმა, რომ ეს არის სასარგებლო და ანტიდეპრესანტი, დაუშვებელია ამგვარი პროპაგანდა. დეკრიმინალიზაცია კი სხვა საკითხია, ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, უბრალოდ, არიან ადამიანები, რომლებმაც აიტაცეს ეს საკითხი და არასწორ პროპაგანდას ეწევიან. ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია ნარკოტიკის შედეგებზე, ეს ეხება ტელევიზიასაც, ფილმებსაც, გადაცემებსაც და ადამიანებსაც, რომლებიც პროპაგანდას ეწევიან. აკრძალვა და დაპატიმრება არასწორია, აქ მთავარია პრევენცია და სწორი ინფორმაციის მიწოდება ახალგაზრდებისთვის, საზოგადოებისთვის და არავითარ შემთხვევაში პროპაგანდა!



### „მარიხუანაზე დამოკიდებულთა 30% გადადის ჰეროინსა და უფრო მძიმე ნარკოტიკზე“

**გელა ლეჟავა, ექსპერტი-ნარკოლოგი:**

— 2016წლის 19აპრილს შედგა მარიხუანისადმი მიძღვნილი გაეროს სხდომა, სადაც სამმა ქვეყანამ — მექსიკამ, ურუგვაიმ და კოლუმბიამ — წარადგინა წინადადება, რომ მარიხუანა უნდა ამოეღოთ ყველაზე სახიფათო ნარკოტიკების სიიდან. გაერომ იმსჯელა და უარყოფითი პასუხი გასცა, რადგან მარიხუანაზე დამოკიდებულთა 30% გადადის ჰეროინსა და უფრო მძიმე ნარკოტიკზე. მარიხუანის ზიანი აშკარაა. იოლად სიამოვნების მიღებას მოჰყვება ფიზიოლოგიური ცვლილებები თავის ტვინში. რაც მთავარია, ეს არის პირველი ეტაპი მძიმე ნარკოტიკებამდე, საბოლოოდ კი ვიღებთ მძიმე შედეგს. მართალია, მარიხუანა უფრო მსუბუქი ნარკოტიკია, ვიდრე ჰეროინი, მაგრამ სოციალური ეფექტი ძალიან დიდია და ევროპაში ნარკოდამოკიდებულთა კლინიკებში მარიხუანაზე დამოკიდებულები რაოდენობით პირველ ადგილზე არიან.

**— რას ფიქრობთ მარიხუანის დეკრიმინალიზაციასა და ლეგალიზაციაზე?**

— დეკრიმინალიზაცია ნიშნავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მოხსნას, არსებობს გაეროს ტოკიოს პროტოკოლი, რომელშიც ნათქვამია, რომ, თუ არ გვინდა, დეკრიმინალიზაციამ გაზარდოს დანაშაული, აუცილებელია ადმინისტარიული ჯარიმების დაწესება. ადმინისტრაციული ჯარიმები ბევრნაირია, მაგალითად, შინაპატიმრობა, მართვის მოწმობის ჩამორთმევა, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ჯარიმები, ხშირი გამოცხადება შემოწმებაზე, იღებს თუ არა ისევ ნარკოტიკს. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა, (მაგალითად, ურუგვაი), რომლებშიც მარიხუანის მოხმარება არ ისჯება. ხშირად გვედავებიან, რომ ეს კომუნისტური გადმონაშთია, მაგრამ შვედეთი არასდროს ყოფილა კომუნისტური ქვეყანა. იქ მოქმედებს კანონი, რომლის თანახმად, ნებისმიერი ნარკოტიკის მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე, ისჯება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით. შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის სასჯელი და არა მაინცდამაინც ციხე. მარიხუნის დეკრიმინალიზაციამდე ჯერ სახელმწიფო და საზოგადოება უნდა მოემზადოს, შემუშავდეს ადმინისტრაციული სასჯელები ნარკოლოგებთან ერთად, შემდეგ, კი ბატონო, შევცვალოთ სისხლის სამართლებრივი სასჯელი ადმინისტრაციული ჯარიმით.

**— უნდა ეწეოდეს თუ არა მედიასაშუალება ნარკოტიკული საშუალებების პროპაგანდას? პრეზიდენტის მეუღლემ ამას წინათ სატელევიზიო ეთერში განაცხადა, რომ „მწვანე ბალახის პროპაგანდა ცუდი არ არის“.**

— პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში თეთრით შავზე წერია, რომ საქართველოში აკრძალულია ნარკოტიკული ნივთიერებების პროპაგანდა, მაგრამ არ მახსენდება შემთხვევა, ასეთი პროპაგანდისთვის ვინმე რომ დაესაჯოთ. აუცილებლად უნდა აღსრულდეს კანონი იმ პირის მიმართ, რომელიც ამას აკეთებს. თუ ადამიანი ნარკოტიკული საშუალების პროპაგანდას ეწევა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს. პირველმა ლედიმ კი უნდა იცოდეს, რა უნდა თქვას და რა — არა. საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა ძალიან მძიმეა და ამ ფონზე როგორ შეიძლება ნარკოტიკული საშუალების პროპაგანდა გაწიოს ვინმემ?! ეს არის უძლიერესი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის გამრავლებას. მათ, ვინც ნარკომანთა ოჯახებში იბადება, გენეტიკურად აქვთ გარკვეული ცვლილებები და იმის ალბათობა, რომ დაიწყებს ნარკოტიკების მოხმარებას, ძალიან დიდია. ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ყველანაირად უნდა ვებრძოლოდ ამ დაავადებას. სომხეთში ნარკომანიის პრობლემა, პრაქტიკულად, არ არის. ისინი ამას იმით ხსნიან, რომ უნდათ, ერი გამრავლდეს. ნარკომანია კი აზიანებს ადამიანების გენეტიკას.

მოამზადა **ქეთევან** **ნამიჭეიშვილმა**



# მაქსიმ გორკი: მოსპეთ ჰომოსექსუალიზმი და გაქრება ფაშიზმი.

ეს უნდა იცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ბრიტანეთის ნეონაცისტების ლიდერი პედერასტი აღმოჩნდა

**ებრაული წარმოშობის კევინ უილშოუმ განაცხადა, რომ არატრადიციული ორიენტაციისა, — იუწყება Channel 4 News.**

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ფაშისტები ერთნაირი შეუბრალებლობით დევნიდნენ ებრაელობასა და მამათმავლობას. როგორც ჩანს, თანამედროვე ნაციზმი ისე დალპა, რომ ებრაელი, თანაც პედერასტი, შეიძლება ლიდერადაც კი მოევლინოს ამ გახრწნილ ორგანიზაციას.

ამ ნაკაცარმა განაცხადა, რომ გმობს ფაშიზმს და ტოვებს ნეონაცისტების რიგებს; აღიარებს, რომ აქტიურად მონაწილეობდა ნაცუმცირესობების დევნაში, მაგრამ, ახლა რომ იხსენებს, „გული ერევა“; ამბობს, რომ იბრძოლებს თავისი ყოფილი ამხანაგების წინააღმდეგ. სამაგიეროდ პედერასტიას ელოლიავება.

რამდენად გულწრფელია „აღსარება“?

დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში წერდა: **„მოსპეთ ჰომოსექსუალიზმი და გაქრება ფაშიზმი“.**

უილშოუმ 1980 წელს, სხვა ინიციატორებთან ერთად, დააარსა „ბრიტანეთის ეროვნული ფრონტი“, შემდეგ კი მის სათავეში მოექცა. ორგანიზაცია გამოდიოდა, როგორც „რასის სიწმინდის“ დამცველი, და მოითხოვდა გაერთიანებული სამეფოდან იმიგრანტების სრულად გაძევებას.

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პოლიტიკაში სექსუალური ძალადობის შესახებ

**შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მარგოტ ვალსტრემის განცხადებით, სექსუალური ძალადობის შემთხვევები უცხო არ არის უმაღლეს პოლიტიკურ დონეზეც კი. ამის შესახებ მან შვედეთის სააგენტოს TT-ის კორესპონდენტთან შეხვედრისას ილაპარაკა.**



„მე პირადად შემემთხვა ასეთი რამ“, — დასძინა მან.

მინისტრმა მხარი დაუჭირა ამერიკელი მსახიობის, **ალისა მილანის,** სექსუალური მოძალადეების წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას „მეც აგრეთვე“.

**„ანჯელინა ჯოლი** და ცნობილი პროდიუსერის სხვა მსხვერპლი „გაბედული ქალები მთელ მსოფლიოში გამოდიან ძალადობის წინააღმდეგ, მაგრამ მე, როგორც პოლიტიკოსს, მაინტერესებს: როგორ უნდა ვებრძოლოთ ამას?“ — აღნიშნა მან.

**ვანშტეინის** წინააღმდეგ აგორებული კამპანიის შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ წინა ნომერში წერდა. დღეს შეგვიძლია დავუმატოთ, რომ **ჰარვი ვაინშტეინმა** თავისი უზნეობა ახალი გამოხდომით „გაამდიდრა“, განაცხადა, რომ ის, რაც ხდება, არის ტიპური შეთქმულება, რომელიც მას მოუწყო კომპანია The WeInstein Company-ს თანათავმჯდომარემ, მისმა საკუთარმა ძმამ **რობი ვაინშტეინმა,** რათა სრულად დაეუფლოს აღნიშნულ კინოკომპანიას.

მაგრამ ეს ძმაც მოძალადე აღმოჩნდა! სერიალ „ღამის წყვდიადის“ აღმასრულებელმა პროდიუსერმა **ამანდა სეგელმა** ბრალი დასდო მას სექსუალურ ძალადობაში. ქალბატონმა განაცხადა, რომ (რობიმ) არაერთხელ შესთავაზა ერთად ევაშხმათ, — იუწყება Variety.

„ერთხელ თქმული „არაც“ საკმარისი უნდა ყოფილიყო. „არას“ შემდეგ ნებისმიერმა შემომთავაზებელმა თავი უნდა დაგანებოთ. მაგრამ რობი გადამეკიდა, მეუბნებოდა, რომ ჩემთან მეგობრობა სურდა. სინამდვილეში მას მეგობრობა კი არ უნდოდა, არამედ სულ სხვა რამ. ვიმედოვნებ, ამას იქით ჩემი „არა“ საკმარისი იქნება“, — თქვა სეგელმა.

ქალბატონმა დასძინა, რომ რობი ვაინშტეინის თავხედობა სამ თვეს გაგრძელდა, სანამ იგი არ დაემუქრა მოძალადეს, რომ „ღამის წყვდიადის“ აღმასრულებელი პროდიუსერის თანამდებობიდან წავიდოდა.

# ევროპის დეგრადაცია: ბიჭებს აიძულებენ, ითამაშონ თოჯინებით, გოგონებს — ითამაშონ ომობანა



**თოჯინების მწარმოებელმა ამერიკულმა კომპანია Toys R US-მა თავის საშობაო კატალოგში გოგონების ყველა ფოტო ბიჭების ფოტოებით შეცვალა, ბიჭებისა კი — გოგონების ფოტოსურათებით. ეს ნაბიჯი კომპანიამ მას შემდეგ გადადგა, რაც ბრალი დასდეს გენდერული სტერეოტიპების პროპაგანდაში, — იუწყება Newsru შვედურ გაზეთ The Local-ზე დაყრდნობით.**

შვედეთის სათამაშოების კომპანია Top Toy ამ გზით შეეცადა რეაბილიტაციას, მას შემდეგ, რაც ქვეყნის რეკლამების რეგულატორმა საყვედური გამოუცხადა, რომ საშობაო კატალოგში გამოაქვეყნა პრინცესების კაბებში გამოწყობილი გოგონებისა და სუპერგმირების სამოსში გამოწყობილი ბიჭების სურათები. ამით თურმე დიდი დანაშაული ჩაუდენიათ გენდერული თანასწორობის წინაშე, რომელიც მყისიერად აღმდგარა მას შემდეგ, როგორც კი ბიჭები გააგოგონეს, გოგოები კი — გააბიჭეს: თოჯინა ბიჭუნები, რომლებსაც ხელში ავტომატები ეჭირათ, გოგონებით შეცვალეს; გოგონები კი, რომლებიც სახლობანას თამაშობდნენ, ბიჭებად აქციეს.

მავანი იტყვის დეტალებიაო.

დეტალებში, ტრადიციულად, ეშმაკები სხედან, ამ შემთხვევაში — პედერასტია ზის, რომლისთვისაც შვედმა ცრულიბერალურ ღირებულებათა მაღმერთებლებმა საკუთარი მომავალი თაობა გაწირეს.

თუმცა რა უნდა გაგვიკვირდეს, როცა ამ ღირებულებებით შექმნილ საზოგადოებაში ადამიანების გონება იმ ზომამდე დააავადდა, რომ მრავალშვილიანმა დედამ ორი მცირეწლოვანი შვილი ჰაერღუმელში დაწვა და მათი დაფუფქული სხეულების სურათები ნიშნის მოსაგებად მამას ინტერნეტით გაუგზავნა. აშშ-ის ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში მომხდარი ამ შემაძრწუნებელი ფაქტის შესახებ The Atlanta Journal-Constitution იუწყება.

და, როგორც ყოველთვის, ამგვარი არაადამიანური ფაქტების შემთხვევაში, აშშ-ის შესაბამისი უწყებები მიზეზად დამნაშავეების გონებრივ აშლილობას ასახელებენ, ამჯერადაც იგივე გაიმეორა აღნიშნულმა გამოცემამ.

ზნეობის ფეხქვეშ გათელვის შედეგია საზოგადოებრიობის დეგრადაცია.



# ჰომოსექსუალმა ნაშვილები წლინახევრის გოგონა მოკლა

**ეს შემზარავი ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს ჰომოსექსუალების ფსიქიკურ გაუწონასწორებლობას.**

ბრიტანელმა ჰომოსექსუალმა **მეთიუ სკალი-ჰიქსმა,** რომელმაც, თავის „მეუღლე“ კრეიგთან ერთად, 18 თვის გოგონა იშვილა, „ოჯახში“ პატარა ელსის გამოჩენის ორი კვირის თავზე დაინახა, რომ „ბავშვში სატანაა ჩაბუდებული“ და ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანა, — წერს გაზეთი **Daily Mail.**

31 წლის მეთიუ, რომელიც ფიტნეს-ინსტრუქტორად მუშაობდა, და მისი 36 წლის პარტნიორი 2012 წელს პორტუგალიაში დაქორწინდნენ. 2016 წელს მათ დაასრულეს გოგონას შვილად აყვანის პროცედურა.

საწყალ ბავშვს საავადმყოფოში თავის ტვინის ტრავმა დაუდგინეს.

სკალი-ჰიქსი ამტკიცებდა, რომ ბავშვი კიბეზე დაეცა, მაგრამ პოლიციელებმა ხელთ იგდეს ჰომოსექსუალი წყვილის მიმოწერა, რომელშიც სკალი-ჰიქსი პარტნიორს შესჩიოდა, რომ იგი „ჯოჯოხეთში გადიოდა“, როცა ბავშვთან იმყოფებოდა; წერდა, რომ მისი ტირილის ატანა არ შეეძლო. ბავშვი გარდაიცვალა მას შემდეგ, როცა გამორთეს ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან.

ექსპერტებმა, რომლებმაც ელსის ცხედარი გამოიკვლიეს, დაადგინეს, რომ ბავშვს საკმაო ხნის განმავლობაში ცემდნენ — მის სხეულზე აღმოაჩინეს ტრავმის მრავალი კვალი, მოტეხილობა და ტვინში სისხლდენა.

ბავშვის მკვლელობის საქმეს იძიებს კარდიფის სამეფო სასამართლო.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო პერიოდში ასე მომძლავრებული ე.წ. ანტიჰომოფობიური პროპაგანდის მიზანი სინამდვილეში ადამიანის უფლებების დაცვას ამოფარებული ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაა, რომელიც მიმართულია საზოგადოებაში, განსაკუთრებით — მოზარდებში, ჰომოსექსუალური ურთიერთობის პოპულარიზაციისკენ. ამ პროპაგანდის ერთ-ერთი გამოხატულებაა სახელგანთქმული ისტორიული პიროვნებებისთვის ჰომოსექსუალის იარლიყის მიწებება, მაგალითად, ისეთებისთვის, როგორებიც არიან პეტრე პირველი, ივანე მრისხანე, პუშკინი, ტოლსტოი, აბრაამ ლინკოლნი, პეტრე ჩაიკოვსკი, სტალინიც კი.**

# სოდომიის პროპაგანდა — საფრთხე, რომელიც კაცობრიობას ეროვნული ფასეულობების განადგურებით ემუქრება

## როგორ აღკვეთა სტალინმა ტროცკის მიერ გალაღებული მამათმავლების «მოღვაწეობა» საბჭოთა კავშირში

**მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 1992 წელს დაავადებების სიიდან „ჰომოსექსუალიზმის“ ამოღების შემდეგ განსაკუთრებულად გამძაფრდა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. ამჟამად კი სოდომიტური იდეოლოგია უმთავრესი მიმართულებაა დასავლეთში — აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში. ამ იდეოლოგიამ მოიცვა ადამიანის ცხოვრების, პრაქტიკულად, ყველა სფერო: პოლიტიკა, ეკონომიკა, განათლება, ხელოვნება, მედიცინა, მეცნიერება, სპორტი. სხვაგვარად მოაზროვნეებს კი — განსაკუთრებით ტრადიციული რელიგიის წარმომადგენლებს — სოდომიტები თავიანთთვის სასარგებლო კანონების შემოღებით ავიწროებენ. სოდომიას აქვს აგრესიული იდეოლოგიის ყველა ნიშანი: გეიხატებები, სოდომიის მქადაგებლები, რიტუალური მსვლელობები გეიაღლუმის ფორმით, ბრძოლა სხვა იდეოლოგიებსა და რელიგიებთან და ა.შ.**




სოდომიტურმა იდეოლოგიამ, მიუხედავად ნორმალური მოქალაქეების საპროტესტო აქციებისა, რომლებშიც ასიათასობით ადამიანი მონაწილეობდა, ფეხი მოიკიდა დასავლეთის მმართველ წრეებში. ხელისუფლებაში ჰომოსექსუალების მომრავლება გასაკვირი არ არის. ჰომოსექსუალთა „ოჯახის“ წევრს უფრო უადვილდება წარმატების მიღწევა ბიზნესში, პოლიტიკაში, ფინანსებში — მას ავტომატურად ეძლევა კოზირი „ზემოდან“. სოდომიის იდეოლოგიის მხარდაჭერა ზოგჯერ მომგებიანია ჰეტეროსექსუალებისთვისაც, რომლებიც ხელისუფლებისკენ მიისწრაფვიან.

ევროპის ბევრი ქალაქის მერი იყო და არის ჰომოსექსუალი, მაგალითად, ბერლინის — **კლაუს ვოვერაიტი**, პარიზის — **ბერტრან დელანოე**, ვინიპეგის (კანადა) — **გლენ მიურეი**, ჰამბურგის — **ოლე ფონ ბოისტი**, პროვიდენსის (როდ აილენდის შტატი, აშშ) — **დევიდ სისელინი**, კასპერის (ვაიომანგი, აშშ) — **გაი პაჯეტი**, სან-დიეგოს (კალიფორნია, აშშ) **ტონი ატკინსი**, კარტერტონის (ახალი ზელანდია) — **ჯორჯინა ბაიერი**. ჰომოსექსუალია ირლანდიის ამჟამინდელი პრემიერმინისტრი **ლეო ვარადკარი**, ლუქსემბურგის პრემიერი **ქსავიე ბეტელი**, სერბეთის — **ანა ბრნაბიჩი**, გეია გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი **გიდო ვესტერველე**, ლატვიის საგარეო საქმეთა ამჟამინდელი მინისტრი **ედგარ რინკევიჩი,** ამერიკელი კონგრესმენი **შონ მელოუნი**, კალიფორნიელი სენატორი **როი ეშბერნი**, აშშ-ის არმიის მდივანი **ერიკ ფენინგი** და სხვ. ისინი აქტიურად ეწევიან ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას. ჰომოსექუალები დასავლეთში პრივილეგიურ კლასად იქცნენ. შეაღწიეს რა მმართველ წრეებში, დაიწყეს კანონმდებლობის საკუთარ თავზე მორგება. შედეგად იღებენ შეღავათებს. მაგალითად, პენტაგონმა ჰომოსექსუალებისთვის გააფართოვა შეღავათების სია. გერმანიაში შეღავათებით სარგებლობენ სოდომიტი წყვილები. დასავლური კომპანიების დიდი ნაწილი შინაგანაწესით მოითხოვს ჰომოსექსუალების მიმართ ფრთხილ მოპყრობას, ამასთანავე, ცდილობენ, სამსახურიდან არ დაითხოვონ, რადგან ამის გამო შეიძლება მილიონობით დოლარით დააჯარიმონ. ზოგიერთ ქვეყანაში ცდილობენ, ლექსიკონიდან ამოიღონ ცნებები **დედა** და **მამა** და შეცვალონ ტერმინებით **მშობელი №1** და **მშობელი №2**, სკოლებში აკრძალეს სამლოცველოს მოწყობა. ნორმალურ ადამიანებს კი, რომლებიც ამ ყველაფერს აპროტესტებენ, დევნიან — ითხოვენ სამსახურებიდან და მათ მიმართ შეიძლება სისხლის სამართლის საქმეც კი აღძრან, როგორც ეს მოხადა, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც ქრისტიანმა კულინარებმა სასამართლო დავა წააგეს გეიწყვილთან, რომელსაც უარი უთხრეს საქორწინო ტორტის გამოცხობაზე. აშშ-ში კი ფლორისტი 2 წლის განმავლობაში სასამართლოში არჩევდა საქმეს გეიწყვილისთვის ქორწილის გაფორმებაზე უარის თქმის გამო...

სოდომიის იდეოლოგიის მხარდაჭერა ზოგჯერ მომგებიანია. ჰეტეროსექსუალებისთვისაც, რომლებიც ხელისუფლებისკენ მიისწრაფვიან.

სოდომიის პროპაგანდაში აქტიურად არის ჩართული მასმედია და ე.წ. უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები.

ბოლო პერიოდში ასე მომძლავრებული ე.წ. ანტიჰომოფობიური პროპაგანდის მიზანი სინამდვილეში ადამიანის უფლებების დაცვას ამოფარებული ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდაა, რომელიც მიმართულია საზოგადოებაში, განსაკუთრებით — მოზარდებში, ჰომოსექსუალური ურთიერთობის პოპულარიზაციისკენ.

ამ პროპაგანდის ერთ-ერთი გამოხატულებაა სახელგანთქმული ისტორიული პიროვნებებისთვის ჰომოსექსუალის იარლიყის მიწებება, მაგალითად, ისეთებისთვის, როგორებიც არიან **პეტრე პირველი, ივანე მრისხანე, პუშკინი, ტოლსტოი, აბრაამ ლინკოლნი, ჩაიკოვსკი, სტალინიც კი.** ამასთანავე, ამტკიცებენ, რომ ჰომოსექსუალების რაოდენობა მსოფლიოს მოსახლეობის 10%-ს შეადგენს (სინამდვილეში — 1-2%-ია) და პროგრესისკენ კაცობრიობის წარმმართველი ძალა სწორედ ჰომოსექსუალები არიან, რომლებიც მხოლოდ თავიანთი უფლებების დასაცავად იბრძვიან და რომლებსაც, მაგალითად, რუსეთში სასტიკად დევნიდნენ.

ასე რომ არ იყო და რუსეთში, განსაკუთრებით — ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ, ჰომოსექსუალებს რომ არავინ დევნიდა, მოწმობს ახლახან, 2017 წლის 13 ოქტომბერს, ბრიტანული სამაუწყებლო კომპანია „ბი-ბი-სის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალა „როგორ აჩუქა რევოლუციამ პეტროგრადელ გეებს თავისუფლება 15 წლით“, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

„XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში აქტიურად განიხილავდნენ მამათმავლობისთვის სისხლის სამართლის მუხლის გაუქმების საკითხს. სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლის გაუქმებისა და ცვლილებების შეტანის ინიციატორი იყო **ვლადიმერ ნაბოკოვი** — ამერიკაში ემიგრირებული ცნობილი მწერლის — ვლადიმერ ნაბოკოვის მამა, მაგრამ საკითხის განხილვას შედეგი არ მოჰყოლია — მუხლი არ შეუცვლიათ.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკებს სჭირდებოდათ, სასწრაფოდ შეექმნათ ახალი კანონმდებლობა, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსი, და გადაეწყვიტათ, გაეუქმებინათ თუ დაეტოვებინათ მუხლი მამათმავლობის შესახებ. პოლიტიკოსებსა და ექიმებს, რომლებიც ამ საკითხზე მუშაობდნენ, სხვადასხვა თვალსაზრისი ჰქონდათ. მუხლი არც 1922 წლის სისხლისსამართლებრივ კოდექსში შეიტანეს და არც ახალი რედაქციით გამოცემულ 1926 წლის ვერსიაში. ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია გერმანელმა მეცნიერმა, ბერლინის სექსოლოგიის ინსტიტუტის დამფუძნებელმა **მაგნუს ჰირშფელდმა**, რომელთანაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ საბჭოთა ექიმებს. ჰირშფელდი ხშირად გამოდიოდა სიტყვით და ცდილობდა, ყველა დაერწმუნებინა, რომ ჰომოსექსუალიზმი, დაავადება კი არა, ადამიანის სექსუალურობის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

სწორედ 1926 წელს, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსი ახალი რედაქციით უნდა მიეღოთ, ჰირშფელდი ლექციების ნასაკითხავად ეწვია მოსკოვსა და ლენინგრადს (სანკტ-პეტერბურგს 1924 წელს დაარქვეს ლენინგრადი. ასე უწოდებდნენ მას 1991 წლის 6 სექტემბრამდე — ნ.კ). და, როგორც ამბობენ, კმაყოფილი დარჩა იმით, რომ საბჭოთა რუსეთში ჰომოსექსუალებს არავინ დევნიდა.

### როგორ ამოიცნობდნენ „თავისიანებს“

„პეტერბურგში ჰომოსექსუალების ენა, რომელიც კოსტიუმებში აისახებოდა, XIX საუკუნის შუა წლებიდან არსებობდა. მაგალითად, პანტალონზე მიკერებული წითელი პოშეტი (საიდუმლო ჯიბე — ნ.კ.) ან წითელი ჰალსტუხი იყო ნიშანი იმისა, რომ ადამიანი ჰომოსექსუალების წრეს მიეკუთვნებოდა. **კონსტანტინე სომოვის** მიერ შექმნილ რუსული პოეზიის ე.წ. ვერცხლის საუკუნის პოეტის, **მიხეილ კუზმინის** პორტრეტზე წითელი ჰალსტუხი არა მხოლოდ ეფექტური აქცენტია ფერზე, არამედ ჰომოსექსუალური სუბკულტურისადმი პოეტის კუთვნილების სიმბოლოც. XX საუკუნის დასაწყისში ზოგიერთი ახალგაზრდა მყვირალა მაკიაჟს იკეთებდა, წარბებს იქნიდა, რაც ჰომოსექსუალობის ნიშნად მიიჩნეოდა, მაგრამ 1920-იან წლებში ინტენსიური მაკიაჟი უკვე აღარ ითვლებოდა ჰომოსექსუალობის ნიშნად.

იმხანად ბევრი ახალგაზრდა იყო გატაცებული კინემატოგრაფით და ცდილობდა, გარეგნობით დამსგავსებოდა მუნჯი კინოს მსახიობებს — პუდრით ითეთრებდა სახეს და იქნიდა წარბებს. ასე ამოიცნობდნენ ხოლმე ერთმანეთს ქუჩაში, სამიკიტნოებში. ჰომოსექსუალები ბაძავდნენ მსახიობებს, მომღერლებს, მწერლებს, განსაკუთრებით — **ოსკარ უაილდს**. 1920-იან წლებში საბჭოთა ჰომოსექსუალთა შორის პოპულარული იყვნენ ტრავესტები (ამპლუა მსახიობისა, როცა სცენაზე ასრულებს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლის როლს — ნ.კ.), განსაკუთრებით — **ჰანზი შტურმი**, ბერლინური კლუბის — „ელდორადოს“ ვარსკვლავი, რომელსაც კარგად იცნობდნენ იმჟამინდელ ლენინგრადში, თუმცა გეიკერპები, თანამედროვე გაგებით, იმხანად არ არსებობდნენ. ეს ცნება დამკვიდრდა გაცილებით გვიან — 1980-იან წლებში, როცა გეებმა ე.წ. ქამინგ აუტი განახორციელეს და ამერიკული და ევროპული კულტურის, შემადგენელ ნაწილად იქცნენ.


რუსი მატროსები ქალის კაბაში გამოწყობილ ახალგაზრდებთან

### რატომ არ ჰქონდათ პეტროგრადელ გეებს თავიანთი ენა

პეტროგრადელ გეებს შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც კაბითა და კორსეტით დადიოდნენ, ჰქონდათ გრძელი თმა და, საერთოდ, ისე გამოიყურებოდნენ, როგორც ნამდვილი ქალები. ევროპაში, რუსეთისგან განსხვავებით, ჰომოსექსუალური კულტურის ენა სწრაფად განვითარდა. 1920-30-იან წლებში ევროპელი გეები შესანიშნავად იმოსებოდნენ — იცვამდნენ ძვირფას კოსტიუმებს, იკეთებდნენ ძვირად ღირებულ აქსესუარებსა და სამკაულებს. სიგარეტსაც კი განსხვავებულად იჭერდნენ — შუა და არათითებით. ▶

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰომოსექსუალიზმი არა მხოლოდ ქართველებს, არამედ კაცობრიობას ემუქრება ეროვნული ფასეულობების განადგურებითა და გარყვნილების დაკანონებით — ეს არის მწარე რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ და, თუ დემოგრაფიული კატასტროფის პირას მყოფი ერი საწინააღმდეგო ნაბიჯებს არ გადადგამს, აღიგვება პირისაგან მიწისა.


რუსი ტრავესტები



ჰანზი შტურმი

## „არისტოკრატები“ და „უბრალოები“

პეტროგრადელი ჰომოსექსუალების თემი არაერთგვაროვანი იყო. ლესბოსელები წყნარად ცხოვრობდნენ — პირად ცხოვრებას არ ამზეურებდნენ. და არანაირი „ვარდისფერი“ კულტურა 1920-იანი წლების პეტროგრად-ლენინგრადში არ არსებობდა. გეები, პირიქით, აქტიურად ავლენდნენ თავს — აწყობდნენ მხატვრულ და ლიტერატურულ საღამოებს, ქორწილებს, წერდნენ წერილებსა და დღიურებს, იღებდნენ სამახსოვრო ფოტოებს. რევოლუციის შემდეგ, როგორი კომიკურიც უნდა იყოს, გეები ფენებად იყოფობდნენ. რევოლუციამდე და მის შემდეგაც, ფაქტობრივად, არსებობდა ორი თემი და მათ წარმომადგენლებს ერთმანეთთან ურთიერთობა, ფაქტობრივად, არ ჰქონდათ.

არსებობდნენ ე.წ. **არისტოკრატები — შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, დიდგვაროვნები, მოხელეები, მეფის არმიისა და ფლოტის ყოფილი ოფიცრები.** მათ ჰქონდათ სალონები, აწყობდნენ კონცერტებს, იწვევდნენ არტისტებს.

მეორე იყო „უბრალოების“ (ეს სახელი მათ „არისტოკრატებმა“ შეარქვეს) თემი. ამ თემში იყვნენ ჯარისკაცები, მეზღვაურები, სხვადასხვა კანტორის თანამშრომლები — ადამიანები, რომლებსაც რევოლუციამდელ პეტერბურგში არ იღებდნენ „მაღალი საზოგადოების“ სალონებში და არც 1917 წლის შემდეგ იყვნენ „არისტოკრატების“ სასურველი სტუმრები.

რევოლუციამ გააუქმა ფენობრივი დაყოფა, მაგრამ ჰომოსექსუალები მაინც ძველ ჩარჩოებში ცხოვრობდნენ, თუმცა ხანდახან არისტოკრატები, იშვიათად, მაგრამ მაინც, „უბრალოთა“ ლამაზ წარმომადგენლებსაც იწვევდნენ — მათი მეშვეობით საღამოებს ალამაზებდნენ.

ამასთანავე, ფენობრივი შეზღუდვები არ ვრცელდებოდა ქალების იმპერსონატორებზე, ანუ მამაკაც მსახიობებზე, რომლებიც ქალებს განასახიერებდნენ. ამ პირებთან ურთიერთობა „არისტოკრატებსაც“ მოსწონდათ და „უბრალოებსაც“.

ქალების იმპერსონატორები იყვნენ არტისტები განსაკუთრებული ჟანრისა, რომელიც უფრო მეტად იყო დაკავშირებული ჰომოსექსუალურ კულტურასთან, ვიდრე რუსეთის თეატრებისთვის ტრადიციული ტრავესტის ჟანრი. არტისტებს შორის იყვნენ ნამდვილი ვარსკვლავები, რომლებიც განასახიერებდნენ, მაგალითად, მართლმადიდებელ ბალერინა **მატილდა კშესინსკაიას**. ეს მსახიობები იმოსებოდნენ პროფესიონალი მკერავების შესანიშნავი კოსტიუმებით. იმპერსონატორები აქტიურად მონაწილეობდნენ ქორწილებში, როგორც პატარძალი ან როგორც მისი დედა ან კიდევ, როგორც საღამოს მხიარული სტუმარი.

## პეტროგრადის ყველაზე ხმაურიანი ქორწილი

პირველი ასეთი ქორწილი გაიმართა 1920 წელს პეტროგრადის ცენტრში, ოფიცერთა ქუჩაზე. სახელმწიფო მოხელე **გიორგი ანდრეევი** დაქორწინდა მანუფაქტურის ახალგაზრდა თანამშრომელ **დენის ნესტერენკოზე**, მეტსახელად დინაზე.

ყველაზე გახმაურებული დადგმული ქორწილი კი გაიმართა 1921 წელს. ბალტიის ზღვის ფლოტის მეზღვაურმა, „ჩე-კას“ აგენტმა **აფანასი შაურმა**, რომელიც პარტიულ კარიერაზე ოცნებობდა და ცდილობდა, თავი გამოეჩინა, მოიფიქრა, როგორ გამოეაშკარავებინა ჰომოსექსუალთა შეთქმულება. მის ნაცნობებს შორის იყვნენ არმიისა და ფლოტის ყოფილი ოფიცრები, ჰომოსექსუალები, რომლებიც, შაურის აზრით, იყვნენ კონტრრევოლუციონერები, სურდათ, ახალგაზრდები უზნეობისთვის მიეჩვიათ და შიგნიდან გაეხრწნათ წითელი არმია. მამაკაცთა ქორწილის მომიზეზებით, შაურმა გადაწყვიტა, თავი მოეყარა კონტრრევოლუციონერების ძირითადი ნაწილისთვის, ანუ პეტროგრადის გეიკულტურის მნიშვნელოვანი წარმომადგენლებისთვის და ისინი მილიციის დახმარებით ერთი ხელის მოსმით დაეპატიმრებინა. მან ყველაფერი ზუსტად გათვალა. სტუმრები („არისტოკრატები“ და „უბრალოები“), საეჭვო იყო, უბრალო საღამოზე მისულიყვნენ, მაგრამ მამაკაცების ქორწილმა — „მშობლების კურთხევით“, პურმარილითა და კონცერტით — ბევრი დააინტერესა.

ქორწილზე 95 კაცი შეიკრიბა, მათ შორის იყო მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიც. ყველა დააპატიმრეს, თუმცა საბოლოოდ საქმე დახურეს, ფიგურანტებს კი მხოლოდ შიშის ჭამა აკმარეს.

შაურის მიერ მოწყობილი დაჭერების შემდეგ მსგავსი ხმაურიანი ქორწილი და სასამართლო გარჩევა 1920-იან წლებში აღარ ყოფილა. მამათმავლობის მუხლი კვლავინდებურად არ იყო სისხლის სამართლის კოდექსში, მაგრამ 1930-იანი წლებიდან ვითარება შეიცვალა. 1933 წლის ივლისში დაიწყო დაკავებები. „ლენინგრადელი ჰომოსექსუალების საქმეზე“ სულ 175 პირი დააპატიმრეს. მათ ციხეში სვამდნენ პოლიტიკური მუხლით, ზოგს ადანაშაულებდნენ ფაშიზმში, ზოგს — ინგლისის დაზვერვასთან თანამშრომლობაში, ზოგს კიდევ — კონტრრევოლუციონერობასა და წითელი არმიის ზნეობრივად გარყვნაში.

შედეგად „ჰომოსექსუალების საქმე“ საფუძველი შეიქნა იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა მუხლი მამათმავლებზე“.

ნიკოლოზ პირველის მეფობის პერიოდში, 1832 წელს, შეიქმნა რუსეთის იმპერიის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 995-ე პარაგრაფით მამათმავლობა მკაცრად ისჯებოდა — ქონების კონფისკაციითა და ციმბირში 4-5 წლით გადასახლებით. ეს პარაგრაფი 1917 წლამდე მოქმედებდა, რევოლუციის შემდეგ კი ბოლშევიკებმა გააუქმეს, თუმცა 1934 წლამდე.

**1933 წლის 3 დეკემბერს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს („ო-გე-პე-უ“) ხელმძღვანელი იაგოდა სტალინისთვის გაგზავნილ წერილში ქვეყანაში „პედერასტების ორგანიზებულ გაერთიანებაზე“ წერდა და ამ გაერთიანებას კონტრრევოლუციაში მონაწილეობასა და და ჯაშუშებთან კავშირში სდებდა ბრალს. იაგოდა, აგრეთვე, ამტკიცებდა, რომ „პედერასტების გაერთიანებები“ ცდილობდნენ, გადაებირებინათ და გაეხრწნათ ჯანმრთელი ახალგაზრდები — წითელარმიელები, წითელფლოტელები და სტუდენტები, რათა შემდეგ ჯაშუშურ ორგანიზაციებთან ეშუშავათ.**

**1934 წლის მარტში კი რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელს მამათმავლობაზე.**

ანუ მამათმავლები, სანამ ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებში ჩაებმებოდნენ, სოდომიტების საწინააღმდეგო მტკიცების მიუხედავად, საბჭოთა კავშირში თავისუფლად ცხოვრობდნენ და მათ არავინ დევნიდა. მას შემდეგ კი, რაც შეეცადნენ, გავლენა მოეპოვებინათ ახალგაზრდებზე, საბჭოეთის ლიდერმა — **სტალინმა** — დაუყოვნებლივ მიმართა ზომებს და ჰომოსექსუალების „მოღვაწეობა“ აღკვეთა.

თუმცა სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა მართლმადიდებლური ფასეულობების დამცველი რუსეთი კვლავ დადგა ჰომოსექსუალიზმის ფართოდ გავრცელების, მართლმადიდებლური ფასეულობების განადგურების წინაშე, ამ ქვეყნის პარლამენტმა ბავშვების დასაცავად ინფორმაციისგან, რომელიც „ოჯახური ფასეულობების უარყოფის პროპაგანდას ეწევა“, 2013 წელს მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას.

## რა ხდება ამ მხრივ საქართველოში?

მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ქართველი ხალხის ნაწილმა სიხარულით მიიღო დასავლეთის მიერ პრეზიდენტის პოსტზე ხელდასხმული **მიხეილ სააკაშვილი** და მის გუნდი, რომელთა ძალისხმევით გააქტიურდნენ ე.წ. უმცირესობების (ჰომოსექსუალების) უფლებების დამცველი არასამთავრობოები, ხოლო 2015 წელს აშშ-ის იმჟამინდელი სახელმწიფო მდივანი, **ჯონ კერი**, მსოფლიოს ყველა ქვეყანას ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებით დაემუქრა, დასავლეთმა მაინც ვერ აიძულა საქართველოს მოსახლეობა, მართლმადიდებლობა გაეცვალა ჰომოსექსუალიზმზე.

შეგახსენებთ, რომ **საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან რამდენიმე დღეში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სატვირთო ავტომობილით შელეწა გლდანის ეკლესიის კარი და სასტიკად დაარბია მრევლი. ამას მოჰყვა ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური ძალების გააქტიურება და 2013 წლის 17 მაისს თბილისში გეიაღლუმის ჩატარების მცდელობა, რომლის წინააღმდეგაც დედაქალაქის ქუჩებში უამრავი ადამიანი გამოვიდა.** ამის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა (ერთხმად) ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინების დაკანონებისკენ გადადგმული ნაბიჯია. **ახლახან კი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტმა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა, სამოქმედო გეგმაში ჩაწერა, რომ 2018 წლის 17 მაისს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს ოფიციალურად აღნიშნავს.**

როგორც ხედავთ, დასავლეთის მხარდაჭერით აღფრთოვანებული სოდომიტები ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ ქართველ საზოგადოებაზე გავლენის მოპოვებისა და ქართული ფასეულობების განადგურებისკენ, რაც ნათლად ჩანს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მოწყობილ პროვოკაციებში. ეკლესია კი საქართველოში ერთადერთი ინსტიტუტია, რომელიც ებრძვის დასავლეთისგან თავსმოხვეულ ჰომოსექსუალიზმის საფრთხეს. ამ საფრთხეზე წლების წინათ გვაფრთხილებდა პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია:**

**„ერები, რომლებიც ამ „დასავლური ღირებულებების“ კულტივირებას მიჰყოფენ ხელს, დეგრადირდებიან და დაიღუპებიან. ამერიკასა და ევროპაში უკვე აღარ არის საყოველთაოდ აღიარებული ინსტიტუტები, რომლებიც ძალუძთ, წინააღმდეგობა გაუწიონ ამ დეგრადაციას. პროტესტანტიზმის თითქმის ყველა შტო მხარს უჭერს ამ „თავისუფლებებს“ და ისინი სინამდვილეში გადაიქცნენ ფსევდორელიგიურ სექტებად. ისინი ჯვარს სწერენ ჰომოსექსუალებს, ანუ მათ ქორწინებას ღვთის სახელით აკურთხებენ! მათვე დაიწყეს ბიბლიის რედაქტირება — იმ ადგილების ამოღება, რომლებიც ჰომოსექსუალების იდეოლოგიისთვის მიუღებელია. აშშში უკვე შეიქმნა ასეთი ბიბლია. კათოლიკურმა ეკლესიამაც ვერ შეძლო სახელმწიფო პროპაგანდისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობისთვის წინააღმდეგობის გაწევა და, იმის შიშით, რომ არ დაეკარგა მრევლი, ასევე მიდის გარკვეულ დათმობებზე. ევროპელი ერები, ფაქტობრივად, მთავარი ზნეობრივი ორიენტირის — ქრისტიანული მორალის გარეშე დარჩნენ. სურთ რა, არ დაკარგონ ადამიანური სახე, არ გადაიქცნენ პირუტყვებად, ბევრი იღებს დღეს ისლამს. მასობრივად გადადიან ისლამზე ეთნიკური ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, გერმანელები. მათ ამ რელიგიაში იზიდავს სექსუალური გარყვნილებების კატეგორიული უარყოფა, ოჯახის კულტი, ტრადიციების პატივისცემა, ბავშვების მაღალზნეობრივი აღზრდა. ნორმალური ხალხი ხვდება, რომ მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ადამიანის, ოჯახის, ერის შენარჩუნება... პატარა, ღარიბ ქვეყანაში ასობით არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს, რომელთა წარმომადგენლებიც არ ჩამოდიან ტელეეკრანებიდან და გამუდმებით გვასწავლიან სწორად ცხოვრებას. ისინი მოვლილი და მაძღრები ჩანან, ქირაობენ ოფისებს, მოძრაობენ მანქანებით. რა ფულით არსებობენ და, შესაბამისად, როგორ „ფასეულობებს“ უწევენ პროპაგანდას და როგორი „სწორი“ ცხოვრების დანერგვა უნდათ მათ საქართველოში?...რაც შეეხება ევროპული სტრუქტურების ზეწოლას, ჩვენი საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს მათ წინაშე მონური თაყვანისცემისგან. სასაცილო და ამაზრზენი სანახავია, როგორ ჩამოდის თბილისში თაღლითების ჯგუფი ევროპარლამენტიდან და გვასწავლის მათი კანონებით ცხოვრებას. მცოდნე ხალხმა იცის, რომ ევროპარლამენტის ნახევარი მაინც დაკომპლექტებულია ავანტიურისტებით, მექრთამეებით, ჰომოსექსუალებით, ლესბოსელებით, რომლებმაც თავიანთ სახელმწიფოებში პოზიტიური საქმიანობით თავი ვერ წარმოაჩინეს“** („საქართველო და მსოფლიო“ № 21 (208), 2013 წ.).

ჰომოსექსუალიზმი არა მხოლოდ ქართველებს, არამედ კაცობრიობას ემუქრება ეროვნული ფასეულობების განადგურებითა და გარყვნილების დაკანონებით — ეს არის მწარე რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ და, თუ დემოგრაფიული კატასტროფის პირას მყოფი ერი საწინააღმდეგო ნაბიჯებს არ გადადგამს, აღიგვება პირისაგან მიწისა...

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**ცნობისთვის: 2017 წლის მონაცემებით, ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ქორწინება დაკანონებულია მსოფლიოს 26 ქვეყანაში, 18-ში დასაშვებია ჰომოსექსუალი წყვილების კავშირი სხვადასხვა ფორმით. 5 ქვეყანაში კი ჰომოსექსუალიზმისთვის სიკვდილით სჯიან.**


აფანასი შაურის მიერ 1921 წელს ორგანიზებული ქორწილის მონაწილენი

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სასამართლო სხდომაზე ყველა ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო. მათ განაცხადეს, რომ იყვნენ სამხედრო შეთქმულების აქტიური წევრები, მოქმედებდნენ ტროცკის მითითებით, კავშირი ჰქონდათ ფაშისტურ რაიხთან, დაასახელეს 80-მდე თანამონაწილე.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №36-38 (412-414)

# სტალინი — გზა 1937 წლამდე

**მიხეილ ტუხაჩევსკი სტალინმა დააფრთიანა და, სრულიად ახალგაზრდას, მიუხედავად თავდაცვის სახალხო კომისარიატის მაღალჩინოსნებისა და პირადად კლიმენტ ვოროშილოვის აქტიური წინააღმდეგობისა, საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება მიანიჭა. სწორედ ეს კაცი, სტალინის წითელ ნაპოლეონად შერაცხილი ტუხაჩევსკი, იყო მთავრობისა და სტალინის სალიკვიდაციო ტერორისტული აქტის ხელმძღვანელი.**

უამრავი სარწმუნო წყაროს არსებობის მიუხედავად, **სტალინი** ვერ წირავდა თავის გაზრდილ და აღზევებულ ახალგაზრდა კაცს პატიმრობისთვის. საგარეო დაზვერვა ცნობას ცნობაზე აწვდიდა **ტუხაჩევსკის** საეჭვო მოქმედების თაობაზე. ბოლოს მოასმენინეს ტუხაჩევსკის საუბარი გერმანელ და პოლონელ მაღალჩინოსან სამხედროებთან. საბჭოელი მაღალჩინოსანი სამხედრო პირი ქება-დიდებით მოიხსენიებდა **ჰიტლერს** და აკნინებდა წითელი არმიას. პარიზში უცხოელი დიპლომატები გააკვირვა თავისი უტაქტო და ანტისაბჭოთა გამონათქვამებით, ხოლო რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **ნიკოლაე ტიტულესკუს** ამაყად განუცხადა: **„ბატონო მინისტრო, თქვენ ტყუილუბრალოდ უკავშირებთ თქვენს კარიერასა და თქვენი სახელმწიფოს ბედს ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, ჩვენ ორიენტირებული უნდა ვიყოთ ახალ გერმანიაზე. მე დარწმუნერბული ვარ, რომ ჰიტლერი გადაარჩენს ყველა ჩვენგანს“.**

ტუხაჩევსკის ყველა ეს ნაბოდვარი, რა თქმა უნდა, სტალინმა იცოდა. სტალინის საოცარი ინფორმირებულობის შესახებ მსოფლიომ იცოდა და ეს არც იყო გასაკვირი. **გერმან როზანოვი** თავის წიგნში „სტალინი და ჰიტლერი“ წერს:

**„სტალინთან საუბრისას რიბენტროპი განაცვიფრა იმან, რომ საბჭოთა მხარე ღრმად იყო ჩახედული ბერლინში ინგლისელი „მიუნხენისტების“ დიპლომატიურ მანევრებში. სტალინმა ახსენა ჩემბერლენის მიერ ჰიტლერისადმი გაგზავნილი წერილიც კი, რომელიც რამდენიმე საათის წინათ ინგლისის ელჩმა გერმანიაში ჰადსონმა ბესტჰესდაგენში გადასცა ადრესატს“.**

ცხადია, სტალინი ინფორმაციის დეფიციტს არ განიცდიდა, მით უმეტეს ტუხაჩევსკიზე, რომელიც 1935 წელს და უფრო ადრეც ეჭვმიტანილი იყო მოღალატეობრივ საქმიანობაში. 1936 წლის დასაწყისში **ვოროშილოვმა** და სამხედრო დაზვერვის უფროსმა **ფილიპე გოლიკოვმა** სტალინს მაგიდაზე დაუდეს სერიოზული სამხილი ტუხაჩევსკიზე. ეს ინფორმაცია სტალინისთვის სხვა წყაროებიდან იყო ცნობილი. მიუხედავად ამისა, მან ვოროშილოვს უბრძანა: **„შეამოწმეთ, იქნებ ყბედია და არა მოღალატე“.** სტალინს არ სურდა, დაეჯერებინა, რომ ტუხაჩევსკი და სხვა ეჭვმიტანილი მარშლები და გენერლები ტროცკის ბანაკში გადაბარგებული მოღალატეები იყვნენ, ისინი ხომ პირადად მან, მის მიერ შექმნილ წითელ არმიასთან ერთად გამოზარდა და დაავაჟკაცა.

არ გასულა დიდი დრო, რომ **ეჟოვმა** სტალინს მაგიდაზე დაუდო **ტროცკის** მიერ ნორვეგიის ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუ:

**„გერმანიასთან ომში საბჭოთა კავშირის დამარცხება გარდაუვალია. წითელ არმიაში ყველა როდია სტალინის ერთგული. იქ მე ვახსოვარ“,** — ამბობდა ტროცკი.

ტუხაჩევსკი ნელ-ნელა ეხვეოდა ცეცხლის რკალში, ეს კარგად იგრძნო მარშალმა და კონსპირაციულად შეხვდა **კრესტინსკის**, ამ შეხვედრის ჩანაწერიც მიუტანეს სტალინს. ტუხაჩევსკი ამბობდა, რომ დაიწყო მათი „ხალხის“ დაპატიმრება, ეს პროცესი შეუქცევადია და მისი შეჩერება შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელია აჯანყების დაუყოვნებლივ დაწყება. **კრესტინსკი სასწრაფოდ დაუკავშირდა ტროცკის და მისგან თანხმობა მიიღო ამბოხების დაწყებაზე. ტუხაჩევსკი, თანამოაზრეებთან: კრესტინსკისთან, გამარკინსა და როზენგოლცთან ერთად, აქტიურად ჩაება ტერორისტული აქტის მომზადებაში, რომელიც ითვალისწინებდა კრემლის შტურმით აღებას, სტალინისა და მისი „ბანდის“ დაპატიმრებას.**

ტუხაჩევსკიმ დაიგვიანა. უკვე დაპატიმრებული **ვიტოვტ პუტნა** დაწვრილებით ყვებოდა ტერორისტული აქტის მზადებისა და მისი მონაწილეების შესახებ. დაზვერვამ, უშიშროების სამსახურთან ერთად, სასწრაფოდ მოითხოვა რამდენიმე სამხედრო პირის დაპატიმრება, მაგრამ სტალინმა არ გაითვალისწინა მათი მოთხოვნები და დაპატიმრების სანქცია მხოლოდ **კორტსა** და **ეიდემანზე** გასცა. ვოროშილოვი, ეჟოვი და გამარკინი პრინციპულად მოითხოვდნენ ტუხაჩევსკის დაპატიმრებას, მაგრამ სტალინმა მათ მოთხოვნას ყური არ ათხოვა, თუმცა ტუხაჩევსკი გაათავისუფლა შეიარაღებული ძალების მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან და სამუშაოდ ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლობა ჩააბარა. არადა, სტალინს საგარეო და პირადი დაზვერვისგან, აგრეთვე, ოფიციალური ორგანოებისგან ტუხაჩევსკის საქმეზე უამრავი მტკიცებულება ჰქონდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ სტალინს ტუხაჩევსკის ღალატი პირადად შეატყობინა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა **ედვარდ ბენეშმა.**

1937 წლის მაისის დასაწყისში საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომ **ბუხარინი** და **რიკოვი** დაპატიმრებული არიან სახელმწიფო ღალატის ბრალდებით. დაპატიმრების საფრთხის მოახლოების გამო, თავი მოიკლეს **ტომსკიმ** და **გამარკინმა.** მალევე დააპატიმრეს კრესტინსკი და როზენგოლცი. შეთქმულებას ფარდა აეხადა. გამომზეურდა „მეხუთე კოლონა“. საბჭოთა კავშირის მასშტაბით დაიწყო არნახული წმენდა.



სტალინი და ტუხაჩევსკი

**დაპატიმრებულთა ჩვენებებისა და უტყუარი სამხილების მოპოვების შემდეგ სტალინი საბოლოოდ დარწმუნდა ტუხაჩევსკის გამცემლობაში, არაკაცობასა და სამშობლოს ღალატში, მაგრამ ერთპიროვნულად მაინც არ გადაწყვიტა ახალგაზრდა მარშლის ბედი.**

სტალინმა ცენტრალური კომიტეტის წევრებს სთხოვა, ფარული კენჭისყრით გადაეწყვიტათ ტუხაჩევსკის ბედი. ცეკას წევრებმა და კანდიდატებმა არ დამალეს გულისწყრომა და აღშფოთება, რის გამოც თითქმის ერთხმად ჩაწერეს ბიულეტენში სიტყვა „დაიხვრიტოს“. სტალინის ბლანკი, როგორც ყოველთვის, შეუვსებელი აღმოჩნდა და ეს მრავლისმეტყველი ჟესტი ნათლად მიუთითებს სტალინის მიუკერძოებელ, კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე აღნიშნული საკითხის მიმართ. სტალინი კიდევ ერთხელ გადაეფარა ტუხაჩევსკის და მისი საქმე კიდევ ერთხელ დაუბრუნა გამოძიებას, იმ მიზნით, რომ ეპოვათ მასში ყბედი და არა ქვეყნის მოღალატე, მაგრამ აქაც არ გაუმართლა. ტუხაჩევსკი პირველივე დაკითხვაზე მიხვდა, რა ტრიალებდა მის თავზე და შეიძლებოდა თუ არა ამ გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლა. ტუხაჩევსკიმ მეორე დღეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ეჟოვს წერილი მისწერა:

**„შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ნ.ი. ეჟოვს!**

**დამაპატიმრეს რა ამა წლის 22 მაისს, ჩამოვედი მოსკოვში 24-ში. პირველად დამკითხეს 25 მაისს და დღეს, 26 მაისს, ვაცხადებ, რომ ვაღიარებ ანტისაბჭოთა სამხედრო ტროცკისტული შეთქმულების არსებობას და, რომ მე ვიდექი მის სათავეში. ვალდებულებას ვიღებ, ვაცნობო გამოძიებას ყველაფერი, რაც შეთქმულებას ეხება, არ დავმალო არც ერთი მონაწილის ვინაობა, არც ერთი ფაქტი და საბუთი. შეთქმულებას საფუძველი ჩაეყარა 1932 წელს ფელდმანის, პრიმაკოვის, პუტნას და სხვათა მიერ, რაზეც დამატებით ჩვენებას მივცემ.**

**მ. ტუხაჩევსკი. 26. 5. 37 წ.“.**

1937 წლის 11 ივნისს მოსკოვში გაიხსნა უმაღლესი სასამართლოს სამხედრო ტრიბუნალის სხდომა, რომლის წინაშე წარდგნენ:

საბჭოთა კავშირის მარშალი **მიხეილ ტუხაჩევსკი**, უკრაინის სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილი სარდალი **იონა იაკირი**, ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილი სარდალი **იერონიმ უბორევიჩი**, ხარკოვის სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილი სარდალი **ვიტალი პრიმაკოვი**, ყოფილი სამხედრო ატაშე ლონდონში, ტოკიოსა და ბერლინში **ვიტოვტ პუტნა** და სხვ.

**სასამართლო სხდომაზე ყველა ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო. მათ განაცხადეს, რომ იყვნენ სამხედრო შეთქმულების აქტიური წევრები, მოქმედებდნენ ტროცკის მითითებით, კავშირი ჰქონდათ ფაშისტურ რაიხთან, დაასახელეს 80-მდე თანამონაწილე.**

ტუხაჩევსკიმ აღიარა დანაშაული და განმარტა, რომ იგი ნამდვილად იყო ტროცკისტი. ამასთანავე, იყო სამხედრო შეთქმულების მონაწილე და ერთ-ერთი ლიდერი, თუმცა არ გეგმავდა სტალინის გადაყენებასა და დაპატიმრებას. მისი მიზანი იყო, ზემოქმედება მოეხდინათ სტალინზე, რათა გადაეყენებინა თანამდებობიდან **მოლოტოვი** და ვოროშილოვი, როგორც თანამდებობისთვის შეუფერებელი პირი.

„სწორედ ამ საკითხებზე მქონდა უთანხმოება ტროცკისთან, რომელიც შეთქმულთაგან მოითხოვდა მთავრობის ყველა წევრის დაპატიმრებასა და დახვრეტას, მათ შორის, სტალინისაც. ეს მისია უნდა შეესრულებინა უბორევიჩის ჯგუფს. ტროცკი მე ბოლომდე არ მენდობოდა, — განაგრძობდა ტუხაჩევსკი, — იგი კრესტინსკისა და **პიატაკოვთან** საუბრისას მიწოდებდა „ბონაპარტის ტიპის ადამიანს“, ავანტიურისტს, კარიერისტს, რომელსაც სურს, ითამაშოს არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკური როლიც; იგი ამბობდა, ტუხაჩევსკი მიისწრაფვის, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტი დაიკავოსო. სწორედ ასეთი ეჭვები იყო საფუძველი იმისა, რომ ტროცკიმ მიუთითა კრესტინსკის, ყოველმხრივ შეეწყო ჩემთვის ხელი გადატრიალების პროცესში, მაგრამ ფინალში არავითარ შემთხვევაში არ დაეშვა, რომ მე კონტროლი დამეწესებინა ახალშექმნილ მთავრობაზე. ტროცკიმ ეს იდეა განავითარა პიატაკოვთან მისი ბოლო საუბრისას ოსლოში, სადაც მან გაამხილა თავისი გეგმები და მიზანი; კერძოდ, მან თქვა: **„იყო დრო, როცა ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ვიბრძოდით კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ვზრდიდით მის მესაფლავეს. ამჯერად ჩვენ უნდა გავხდეთ მესაფლავე სტალინის სახელმწიფოსი და მის სათავეში ტუხაჩევსკის მოსვლას ჩვენ ვერ დავუშვებთ“.**

**იაკირმა** განაცხადა, რომ იგი ტროცკისტებმა უნებურად ჩაითრიეს სამშობლოს ღალატის შავბნელ და სამარცხვინო საქმეში:

**„თავს არ ვიმართლებ, ვიცი, მართლმსაჯულება ეშაფოტისკენ მიმავალ** ▶



კლიმენტ ვოროშილოვი, სტალინი, ვიაჩესლავ მოლოტოვი, მიხეილ კალინინი და მიხეილ ტუხაჩევსკი, 1936 წ.

**„სტალინთან საუბრისას რიბენტროპი განაცვიფრა იმან, რომ საბჭოთა მხარე ღრმად იყო ჩახედული ბერლინში ინგლისელი „მიუნხენისტების“ დიპლომატიურ მანევრებში. სტალინმა ახსენა ჩემბერლენის მიერ ჰიტლერისადმი გაგზავნილი წერილიც კი, რომელიც რამდენიმე საათის წინათ ინგლისის ელჩმა გერმანიაში — ჰადსონმა ბესტჰესდაგენში გადასცა ადრესატს“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



რიკოვი და ბუხარინი სასამართლო პროცესზე


**ПРИГОВОР**

*Военной Коллегии Верховного Суда СССР*

(ОКОНЧАНИЕ)

ПРИГОВОРИЛА:

**◀ გზაზე დამაყენებს. ამ გზაზე მიმავალი გავიმეორებ იმას, რაც მრავალჯერ მითქვამს: გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს — სტალინს!“**

უპრეცედენტო იყო სამხედრო დამნაშავეთა პროცესი, არც ერთ განსასჯელს ერთი ეპიზოდიც არ უარყვია წაყენებული ბრალდებიდან, ისინი მხოლოდ წყევლა-კრულვას უთვლიდნენ ტროცკის და მოწიწებითა და პატივისცემით ახსენებდნენ სტალინის სახელს. გამოძიების პერიოდში და სასამართლო სხდომებზე არც ერთ სამხედროს თავი ღირსებაშელახულად არ უგრძნია.

**1937 წლის 12 ივნისს სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით შეთქმულების ყველა წევრს მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. მაღალჩინოსანი სამხედროების სასამართლო პროცესმა ამოძირკვა ტროცკიზმის ფესვები, როგორც ხელისუფლებაში, ისე საზოგადოებაში.**

1937 წლის თებერვლის პლენუმზე მიიღეს გადაწყვეტილება რიკოვისა და ბუხარინის პარტიიდან გარიცხვის შესახებ, მაგრამ საქმე ძიების პროცესში იყო, მას ცეკას 36 წევრისგან შემდგარი კომისია იკვლევდა, **ანასტას მიქოიანის** ხელმძღვანელობით. კომისიამ დაადასტურა ბუხარინისა და რიკოვის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება.

1938 წლის 2 მარტს დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელსაც, ისევე, როგორც წინა პროცესებს, **ვასილ ულრიხი** და **ანდრია ვიშინსკი** უძღვებოდნენ. სასამართლოს თავმჯდომარე ულრიხმა გამოაცხადა, რომ სასამართლო იხილავს ბუხარინის, რიკოვის, იაგოდას, კრესტინსკის, რაკოვსკის, როზენგოლცისა და სხვათა (სულ 22 დამნაშავის) საქმეს, რომლებსაც ბრალად ედებათ სახელმწიფო ღალატი, დივერსიები, მავნებლური საქმიანობა, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების მოშლა, მტრულად განწყობილი სახელმწიფოების წაქეზება სსრ კავშირზე თავდასხმის მიზნით და ჯაშუშობა. ყველა ეს ბრალდება სასამართლო კოლეგიამ 3 პუნქტად ჩამოაყალიბა:

**1. საბჭოთა სახელწიფოს მიმართ ჯაშუშური საქმიანობა, სამშობლოს ღალატი, ტერორი, მავნებლობა;**

**2. ლენინის მიმართ 1918 წლის აგვისტოში განხორციელებული ტერორისტული შეთქმულება;**

**3. საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების მკვლელობა, აგრეთვე, სახელმწიფოს მეთაურების წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მზადება მათი ფიზიკური განადგურების მიზნით.**

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესი გრძელდებოდა 10 დღის განმავლობაში და მას ყოველდღიურად ესწრებოდა 300-ზე მეტი უცხოელი კორესპონდენტი და დიპლომატი.

სასამართლომ გამოაცხადა საბრალდებო დასკვნა, რომელშიც ნათქვამი იყო:

**„გამოძიებით დადასტურდა, რომ მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი თავის რიგებში აერთიანებდა ტროცკისტულ იატაკქვეშა ჯგუფებს, მემარჯვენეებს, ზინოვიეველებს, მენშევიკებს, ესერებს, მოკავშირე რესპუბლიკების ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს. დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ქვეყნის შიგნით არ ჰქონდათ არანაირი მხარდაჭერა, ბლოკის მონაწილეებმა კავშირი დაამყარეს უცხო სახელმწიფოების დაზვერვასთან, რათა მათი დახმარებით ხელთ ეგდოთ სახელმწიფო ძალაუფლება, დახმარების საფასურად კი აგრესორებს შეჰპირდნენ უკრაინის, ბელორუსიის, შუა აზიის, ზღვისპირეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის ტერიტორიების დათმობას. გამოძიებამ დაადასტურა და შეთქმულებმაც აღიარეს, რომ ისინი დიდი ხნის წინათ მიეყიდნენ უცხოეთის დაზვერვებს, რომლებსაც უწევდნენ ჯაშუშურ სამსახურს (კრესტინსკი, რაკოვსკი, როზენგოლცი, ჩერნოვი, გრინკო და სხვ.), ზოგიერთი კი (ზელინსკი, ივანოვი, ზუბარევი) ჯერ კიდევ რევოლუციამდე იყვნენ მეფის ოხრანკის აგენტები, შემდეგ კი აქტიურად თანამშრომლობდნენ გერმანიისა და იაპონიის დაზვერვებთან.**

კრესტინსკის, რაკოვსკისა და სხვათა ჩვენებების მიხედვით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ტროცკი გერმანიის დაზვერვასთან დაკავშირებული იყო ჯერ კიდევ 1921 წლიდან, ხოლო, მოსკოვში ინგლისის მისიის მეთაურის — **ბრუს ლოკარტის** ცნობით, ტროცკი ინგლისელებთან თანამშრომლობდა და აქტიურ დახმარებას უწევდა მათ 1917 წლიდან. რიკოვი და ბუხარინი შეთქმულების სხვა მონაწილეებს ჯაშუშური საქმიანობისკენ უბიძგებდნენ. ისინი მოქმედებდნენ უშუალოდ ტროცკის მითითებებით, რომლებიც შემუშავებული იყო ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს გენშტაბების მიერ. მაგალითად, კრესტინსკიმ ძიებას განუცხადა, რომ იგი გერმანელ გენერალ **ჰანს ფონ სეკტს** დაუკავშირდა პირადად ტროცკის დავალებით, რომელმაც უბრძანა გერმანიის დაზვერვასთან თანამშრომლობა.

ბრალდებულ როზენგოლცის თქმით, მას შემდეგ, რაც მან კავშირი დაამყარა ტუხაჩევსკისთან და რიკოვთან, პირველს კრესტინსკის მეშვეობით, ხოლო მეორეს პირადად გააცნო ტროცკის დირექტივა მავნებლური საქმიანობის გეგმის შესახებ; ეს გეგმა ორივემ მოიწონა. ამ საკითხზე ბრალდებულმა **ჩერნოვმა** განაცხადა: „1934 წელს, შევხვდი რა რიკოვს მის აგარაკზე, მივიღე მისგან დავალება, გამეჩაღებინა მავნებლური საქმიანობა სოფლის მეურნეობაში“.

**ბუხარინმა** აღიარა, რომ 1932 წელს შეხვდა პიატაკოვს, რომლისგანაც შეიტყო, რომ ეს უკანასკნელი შეხვდა **ლევ სედოვს**, ვისგანაც მიიღო პირდაპირი დირექტივა, გაეძლიერებინათ ტერორი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელ პირთა მიმართ მათი დამხობის დაჩქარების მიზნით, ხოლო ბრალდებულმა **ივანოვმა** დასძინა: **„ბუხარინმა გვითხრა, რომ პარტიისა და მთავრობის ბელადების განადგურება აუცილებელია იმიტომაც, რომ ეს ხელისუფლების სათავეში ჩვენ მოსვლას, საბოლოოდ კი მომავალ ომში საბჭოთა კავშირის დამარცხებას უზრუნველყოფს“.**

**რიკოვმა** აღნიშნა, რომ იმხანად მათ უკვე დაიწყეს ტერორისტული აქტების მზადება პოლიტბიუროს წევრების, პირველ რიგში, სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩისა და ვოროშილოვის წინააღმდეგ. **„მე უკვე 1934 წელს მივეცი დავალება ჩემ მიერ შექმნილი ტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელს — არტემენკოს, გაეძლიერებინა თვალთვალი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მანქანებზე“.**

კიროვის მკვლელობაზე იაგოდამ განაცხადა: „კიროვის მკვლელობას შეთქმულების ცენტრი რომ ამზადებდა, მე წინასწარ შევიტყვე **ენუქიძისგან,** რომელმაც გამაფრთხილა, ხელი არ შემეშალა ამ აქტისთვის. მე თანხმობა განვუცხადე. ამ მიზნით ლენინგრადიდან გამოვიძახე **ზაპოროჟეცი** და მას სათანადო მითითება მივეცი“.

ძიებამ დაადგინა, რომ მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის მსხვერპლნი იყვნენ **გორკი, მენჟინსკი** და **კუიბიშევი.** ამ საკითხზე საინტერესოა იაგოდას აღიარება: **„შეთქმულთა ტროცკისტული ცენტრი“ დიდხანს ცდილობდა გორკის დამუშავებას, რათა მას სტალინთან მეგობრობა შეეწყვიტა. ამ მიზნით გორკის მიუჩინეს კამენევი, ტომსკი და სხვები, მაგრამ ეს ღონისძიება უშედეგო აღმოჩნდა — გორკი კვლავაც დარჩა სტალინის ერთგული და მისი პოლიტიკური ხაზის მხურვალე მხარდამჭერი. გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სტალინური ხელმძღვანელობის ძალით დამხობას, რა თქმა უნდა, გამოიწვევდა გორკის ადეკვატურ რეაქციას, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ქვეყნის შიგნით და უდიდესი ავტორიტეტი — საზღვარგარეთ. ყოველივე ამის უგულებელყოფა თვით „ტროცკისტულ ბლოკსაც“ არ შეეძლო. მოვლენების ამ გზით განვითარების შემთხვევაში კი გორკი პროტესტის ნიშნად უეჭველად აღიმაღლებდა ხმას. ჩვენ ვერ დავუშვებდით ამას, ამიტომაც, გაერთიანებული ცენტრი როცა დარწმუნდა, რომ სტალინისგან გორკის ჩამოშორება შეუძლებელი იყო, იძულებული შეიქნა, გამოეტანა გადაწყვეტილება გორკის ლიკვიდაციის შესახებ“.**

ამასვე ადასტურებს **რიკოვი: „ჩემთვის ცნობილია, რომ ტროცკი საკონტაქტო ცენტრში თავისი წარმომადგენლების მეშვეობით ქმნიდა გორკის მიმართ ბოროტი განწყობილების ატმოსფეროს. ყოველივე ეს, ბუნებრივია, გამოწვეული იყო იმით, რომ ტროცკიმ კარგად იცოდა, გორკი მას არამზადად და ავანტიურისტად მიიჩნევდა. მეორე მხრივ, საყოველთაოდ იყო ცნობილი გორკისა და სტალინის ახლო ურთიერთობა და ისიც, რომ გორკი არის სტალინის პოლიტიკური კურსის მომხრე. ყოველივე ამის გამო ჩვენი ორგანიზაცია მტრულად იყო განწყობილი გორკის მიმართ“.**

ბრალდებულმა ბესონოვმა განაცხადა: **„1934 წლის ივლისში შევხვდი ტროცკის, მან მითხრა: „გადაეცით პიატაკოვს, კატეგორიული ფორმით მოვითხოვ, მაქსიმ გორკი ფიზიკურად განადგურდეს, რადაც უნდა დაჯდეს“.** დავალების შესრულება მე დამევალა, — განაცხადა იაგოდამ. უშუალო შემსრულებლები იყვნენ ექიმი **ლევინი** და გორკის ყოფილი მკურნალი, პროფესორი **პლეტნევი,** აგრეთვე, გორკის მდივანი **კრიუჩკოვი** და იაგოდას მდივანი **ბულანოვი.** მათვე მოკლეს კუიბიშევი მისივე მდივნის — მაქსიმოვის, ხელშეწყობით. იაგოდამ ასევე განაცხადა, რომ მისი დავალებით მოკლეს მენჟინსკი და გორკის შვილი — **მაქსიმ პეშკოვი“.**

(გაგრძელება იქნება)



ტუხაჩევსკი, 1936 წ.

**უამრავი სარწმუნო წყაროს არსებობის მიუხედავად, სტალინი ვერ წირავდა თავის გაზრდილ და აღზევებულ ახალგაზრდა კაცს პატიმრობისთვის. საგარეო დაზვერვა ცნობას ცნობაზე აწვდიდა ტუხაჩევსკის საეჭვო მოქმედების თაობაზე. ბოლოს მოასმენინეს ტუხაჩევსკის საუბარი გერმანელ და პოლონელ მაღალჩინოსან სამხედროებთან. საბჭოელი მაღალჩინოსანი სამხედრო პირი ქება-დიდებით მოიხსენიებდა ჰიტლერს და აკნინებდა წითელ არმიას. პარიზში უცხოელი დიპლომატები გააკვირვა თავისი უტაქტო და ანტისაბჭოთა გამონათქვამებით**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძლევამოსილ მტრად რუსეთის წარმოჩენა ბევრი პოლიტიკოსისთვის მომგებიანია, მიუხედავად იმისა, რომელი პარტიის წევრები არიან. ცნობილია, რომ საგარეო საშიშროება ყველაზე უფრო დამაჯერებელი არგუმენტია აშშ-ის კონგრესისთვის, პრობლემის მოსაგვარებლად ფული რომ გამოყოს და, რაც უფრო მასშტაბური იქნება საგარეო მუქარა, უკეთ დაფინანსდება მის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია.**

# გულახდილი საუბარი დასავლეთთან

## რა თქვა ვლადიმერ პუტინმა საერთაშორისო სადისკუსიო კლუბ «ვალდაის» ფორუმზე გამოსვლისას

**ვლადიმერ პუტინის გამოსვლა საერთაშორისო სადისკუსიო კლუბ „ვალდაის" ფორუმზე სოჭში საგარეო-პოლიტიკურ დღის წესრიგს უფრო შეეხებოდა, ვიდრე მხოლოდ რუსულს. იგი, ფაქტობრივად, იყო მიუნხენში წარმოთქმული სიტყვისა და გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლის შემდეგ რუსეთის მესამე მცდელობა დასავლეთთან გულახდილად დალაპარაკებისა, როცა საგნებს თავიანთ სახელს უწოდებენ, ხოლო განზრახვა და მიზნები პატიოსნად და ღიად არის დეკლარირებული.**



ამასთანავე, ეს გამოსვლა წინაზე უფრო ღრმა იყო. პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა პრობლემაზე, რომელსაც რუსეთისა და დასავლეთის განსხვავებული პოლიტიკური ენა წარმოადგენს, როცა ერთი და იგივე ქმედება და ჟესტები სხვადასხვანაირად აღიქმება, ძველიც კი.

საკმარისია, გავიხსენოთ **მიხეილ გორბაჩოვის** „ახალი აზროვნება": ის, რაც საბჭოთა კავშირში მიიღეს, როგორც კეთილი ნება, რომელსაც მეორე მხარისთვის ანალოგიური ნაბიჯის წინ გადადგმის სურვილი უნდა აღეძრა, დასავლეთმა აღიქვა არა როგორც დიდსულოვნება, არამედ, როგორც სისუსტე და დათმობისთვის მზადყოფნა.

თუმცა პრობლემა, რომელსაც ვლადიმერ პუტინი შეეხო, სულაც არ არის სიტუაციიდან გამომდინარე, იგი კულტურათა განსხვავებულობამ განაპირობა: პროტესტანტული კულტურის მიხედვით, ერთადერთი მნიშვნელოვანი საზომი არის რესურსი, რომლის დათვლა და გაზომვა შეიძლება.

რაიმე რაღაცად ღირს, თუ ფულს გადაიხდიან, თუ არ გადაიხდიან — კაპიკია მისი ფასი. ასეთმა დამოკიდებულებამ, რომელიც აშშ-ის მიერ არის დამკვიდრებული საერთაშორისო ურთიერთობებსა და მსოფლიო პოლიტიკაში, დამანგრეველი შედეგები გამოიღო. განიარაღების ძირითად საკითხებზე დადებული ხელშეკრულებების (თუნდაც, ურანის ხელშეკრულების) თვითნებურმა ინტერპრეტაციამ დააზარალა აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთნდობა.

**თავდაჯერებულობამ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო სამუდამოდ ერთპოლუსიანი გახდა, ისეთი განწყობა შექმნა, როცა თავისუფლად შეიძლებოდა, გადაეხედათ საერთაშორისო სამართლისთვის იმწუთიერი აუცილებლობიდან გამომდინარე, რომლის გამოც სუვერენიტეტი ცარიელ სიტყვად იქცა, ხოლო კოსოვოს გამოყოფის ლეგიტიმაციის შემდეგ რუკების გადაკეთება — მისაღებ ნორმად.**

დემოკრატია ექსპორტის **საგნად იქცა, არსებითად კი — ამა თუ იმ კორპორაციის საგარეო ინტერესების განხორციელების საფარველად.**

მაგრამ ნებისმიერ მედალს აქვს მეორე მხარე და, ადრე თუ გვიან, მოგვიწევს მასთან შეხება. საერთაშორისო სამართალი არ ცნობს „მოვლენებს, რომლებიც არ ქმნის პრეცედენტს", და ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება ნორმად ყალიბდება.

კატალონიის ესპანეთიდან გამოყოფის ამჟამინდელი მცდელობა მხოლოდ ლოგიკური შედეგია ჰააგაში გახსნილი პანდორას ყუთისა, რომლიდანაც კოსოვოს შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მივიღეთ. პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი პრეცედენტია, რომელზეც პასუხის გაცემა მოუწევს ევროპას, ამ გადაწყვეტილების ლეგიტიმატორს.

დღეს კი სიტუაცია გაუარესდა. ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის ისტორიაში ლამის პირველად ხდება, რომ აშშ-ში, ასევე დასავლეთში, რუსეთის რეპუტაცია დამოკიდებული არ არის რუსეთის ქმედებაზე.

ბოლო პერიოდში აშშ-ში გაჩენილ „რუსი ჰაკერების კულტს" შიგაამერიკული მიზეზები აქვს და განვითარების ლოგიკაც იქ იღებს სათავეს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული **კლინტონი** ცდილობს, დაარწმუნოს თავისი დონორები და ამომრჩევლები, რომ იგი ემსხვერპლა დაუძლეველი ძალის გარე ვალდებულებებს. ეს თემა მხოლოდ მას კი არ სჭირდება, არამედ დემოკრატიულ პარტიას — ამ იდეის მხარდაჭერა აკნინებს ტრამპის ლეგიტიმურობას, ხელ-ფეხს უბორკავს მას, მაშასადამე, ზრდის ხელისუფლებაში დემოკრატების დაბრუნების შანსს.

მეტიც, **ძლევამოსილ მტრად რუსეთის წარმოჩენა ბევრი პოლიტიკოსისთვის მომგებიანია, მიუხედავად იმისა, რომელი პარტიის წევრები არიან. ცნობილია, რომ საგარეო საშიშროება ყველაზე უფრო დამაჯერებელი არგუმენტია აშშ-ის კონგრესისთვის, პრობლემის მოსაგვარებლად ფული რომ გამოყოს და, რაც უფრო მასშტაბური იქნება საგარეო მუქარა, უკეთ დაფინანსდება მის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია.**

ამ ორი მოსაზრების — რუსეთის სისუსტის დაჯერებისა და კონგრესის მიერ ფულის გამოყოფის — სინთეზმა შეიძლება გამოიწვიოს მსოფლიო სისტემის კრახი.

გაფრთხილება, რომ მოვლენები შეიძლება ამ მიმართულებით განვითარდეს, სოჭში პუტინის გამოსვლის დედააზრი იყო.

**„შეუძლებელია ქაოსის გაკონტროლება", თუმცა ბევრი დარწმუნებულია, რომ ამას შეძლებს. საბოლოო შედეგები მეტყველებს, როგორია ჭეშმარიტება — ამას ადასტურებს ავღანეთის, ერაყისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ბედი, რომელთაც ჯერაც ვერ დაუძლევიათ „არაბული გაზაფხულის" წყალობით თავს დამტყდარი უბედურების შედეგები.**

რუსეთი, რომელმაც 1990-იანი წლების სამწუხარო გამოცდილებიდან შესაბამისი დასკვნები გააკეთა, მკაცრი რეალიზმის პოზიციაზე დგას. ერთი მხრივ, ეს არის იმ წესრიგის მხარდაჭერა, რომელიც ეფუძნება ქვეყნების ეროვნული ინტერესების ბალანსს; მეორე მხრივ, ეს არის ამ ინტერესების დაცვის უნარი და შესაძლებლობა; მესამე კი განხორციელებულ ღონისძიებათა საერთაშორისო-სამართლებრივი ლეგიტიმურობაა.

მსგავს მიდგომას განახორციელებს რუსეთი საგარეო-პოლიტიკური პრობლემების მიმართ.

გაითვალისწინებს თუ არა ამას ამერიკა? — ალბათ, გაითვალისწინებს. ჩინეთმა, ახალმა გლობალურმა პოლუსმა, კი უთუოდ მიაქცია ყურადღება. როგორც ჩანს, პუტინის პოლიტიკური რეალიზმი პეკინს ხელს აძლევს.

**კირილ კოკტიში,**
**პოლიტოლოგი**

# ვისი იარაღით იბრძვიან ტერორისტები?

**სირიელმა გენერალმა ალი ალ-ალიმ ამხილა აშშ, რომ იგი სამხედრო დახმარებას უწევს „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტებს. მან თქვა, რომ მხოლოდ ივნისიდან სექტემბრამდე ქვეყნის სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთა 1,5 ათასამდე სატვირთო ავტომანქანამ, რომლებიც დატვირთული იყო იარაღითა და ტყვია-წამლით.**



ვაშინგტონი აცხადებს, რომ ეს შეიარაღება განკუთვნილი იყო ამერიკის მოკავშირეებისთვის, რომლებიც „ისლამურ სახელმწიფოს" ებრძვიან, მაგრამ აღნიშნული აღჭურვილობა საბოლოოდ „ბოევიკების" ხელში აღმოჩნდება ხოლმე. ალი ალ-ალი სამხილად წარმოადგენს ნატოს ქვეყნების შეიარაღების ნიმუშებს, რომლებიც სირიის არმიამ იგდო ხელთ.

ნატოს თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღი ისეთ მარგინალურ ორგანიზაციაში რომ ილექებოდა, როგორიც „ისლამური სახელმწიფოა", ყოველთვის იწვევდა შეკითხვებს. 2014 წელს ისლამისტებმა გამოაქვეყნეს მძევლების დახვრეტის ვიდეოჩანაწერი: ტყვეები დახვრიტეს ავსტრიული წარმოების პისტოლეტებით — **Glock-19**-ით. ეს მესამე თაობის იარაღი იყო, ანუ არცთუ დიდი ხნის წინათ, 1998-2010 წლებში, დამზადებული.

ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ პისტოლეტები აშშ-ის მიერ ერაყელი სამართალდამცველებისთვის 2003-2004 წლებში გაგზავნილი შეიარაღების „დაკარგული" ნაწილი იყო, რომელიც „ბოევიკებს" მიჰყიდეს.

**2007 წლის მდგომარეობით, ამერიკელმა სამხედროებმა ერაყში „დაკარგეს" სასროლი იარაღის 200 ათასი ერთეული.**

**ამერიკული შაშხანა M-16** სირიელი ტერორისტების ნამდვილ სავიზიტო ბარათად იქცა. თვალშისაცემია მოდიფიკაციების სიუხვე: გამოქვეყნებულ ფოტოებზე შეიძლება ნახოთ როგორც ძველი, ასევე ახალი, ძვირად ღირებული ოპტიკით აღჭურვილი ნიმუშები.

**კალაშნიკოვის ავტომატების შემდეგ მეორე ადგილზეა ბელგიური შაშხანა FN-FAL-ი.** უწინ იგი ნატოს ბლოკის ძირითად შეიარაღებად ითვლებოდა, დღეისთვის დაძველდა, მაგრამ ათობით ქვეყნის არმიებში ძირითად იარაღად რჩება.

ერთ დროს მას „თავისუფალი მსოფლიოს ხელს" უწოდებდნენ. ამჟამად FN-FAL-ზე ყველა ჯურის ტერრორისტს მიუწვდება ხელი, მათ შორის, „ისლამური სახელმწიფოს" „ბოევიკებსაც". ეს შაშხანაც დასამიზნებელი ოპტიკითაა აღჭურვილი.

**გერმანული წარმოების პისტოლეტი-ტყვიამფრქვევი MP-5** ევროპისა და აშშ-ის სამართალდამცველთა შორის პოპულარულ იარაღად ითვლება. „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტების ხელში ამ პისტოლეტის გამოჩენამ დასავლელი ჟურნალისტები დააინტერესა, მაგრამ მათმა გამოძიებამ კონკრეტული შედეგი ვერ გამოიღო. როგორც ჩანს, ეს იარაღი სირიაში კონტრაბანდად ჩაიტანეს.

**Browning M2A1** — აშშ-ის არმიის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი ნიმუშია, რომელიც დღემდე რჩება შეიარაღებაში. ტერორისტების ხელში ეს იარაღი „ჰამერის" ჯავშანმანქანებთან ერთად აღმოჩნდა. ერაყის პრემიერმა **ალ-აბადიმ** აღიარა, რომ არმიამ მხოლოდ მოსულიში 2,5 ათასი ჯავშანმანქანა დაკარგა. მათგან ყველა აღჭურვილი იყო Browning M2-ით, ზოგიერთი დამატებით დაკომპლექტებული იყო MK-19 ნაღმსატყორცნით.

გამოქვეყნებულმა ფოტოსურათებმა, რომლებზეც ეს მანქანები იყო აღბეჭდილი, სერიოზულად შეარყია აშშ-ის არმიის რეპუტაცია.

**ამერიკული შაშხანა M-16 სირიელი ტერორისტების ნამდვილ სავიზიტო ბარათად იქცა. თვალშისაცემია მოდიფიკაციების სიუხვე: გამოქვეყნებულ ფოტოებზე შეიძლება ნახოთ როგორც ძველი, ასევე ახალი, ძვირად ღირებული ოპტიკით აღჭურვილი ნიმუშები**

**ჩოლოქთან გამარჯვებამ ბოლო მოუღო უცხოელი გენერლების მიერ შედგენილ გეგმას, რომლის მიხედვით ახალციხე-ახალქალაქის მიმართულებით წამოსული თურქთა რაზმი სურამის უღელტეხილის გადავლით უნდა შეერთებოდა სელიმ-ფაშას ბათუმის კორპუსს, რათა შემდეგ გაშლილი კომბინირებული შეტევა დაეწყო, რომელსაც, მათი აზრით, უნდა მოჰყოლოდა რუსეთის ბატონობის დასასრული ამ მხარეში.**

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთად აღმოსავლეთის ომებში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №35-37 (411-413)

### წერილი IV

## ომი თურქეთთან

**1853 წლის ნოემბერში თურქეთი რუსეთთან ომში ჩაება. თურქეთისათვის კავკასიის ფრონტზე წარმოებული საომარი მოქმედების მთავარი მიზანი თბილისის აღება იყო. რუსეთისათვის კი კავკასიის შესანარჩუნებლად თბილისის დაცვა უპირველეს სტრატეგიულ აუცილებლობას წარმოადგენდა. ახალციხესთან მარხცის შემდეგ, ზამთრის განმავლობაში, თურქებმა ახალციხესთან განადგურებული რაზმის ნაცვლად შეადგინეს 34-ათასკაციანი კორპუსი, რომელიც საუკეთესო მებრძოლებით დააკომპლექტეს. ჯარს სელიმ ფაშა მეთაურობდა. იგი ბათუმიდან უნდა შემოჭრილიყო გურიაში, ხოლო ყარსში დაბანაკებული 60-ათასიანი ანატოლიის კორპუსი ალექსანდროპოლს ემუქრებოდა, ბაიაზეთიდან კი თურქებმა ერევნისკენ ძლიერი რაზმი წამოსწიეს წინ. ამ ჯარებს თბილისში უნდა მოეყარათ თავი, ე.ი. კავკასიის კორპუსი იძულებული იყო, 3 მხრით ებრძოლა.**



Крымская война 1853–1856 гг.

**გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა ბრძანა და ჯარი საომრად დალაგდა: სულ ერთად ნაკრები რუსნი და ქართველნი მოითვლებოდნენ 10 ათასამდე, ხოლო ჩოლოქს გაღმა სელიმ ფაშას 35 ათასი თურქი მეომარი იდგა ნახევარმთვარე გამოსახული დროშებით**

თურქები ბათუმიდან ქობულეთში გადმოვიდნენ, მოკავშირეების ფლოტმა რედუტ-კალეში, ანაკლიაში, სოხუმსა და სხვა მიტოვებულ სიმაგრეებში დესანტი გადმოსხეს. ასეთ პირობებში ანდრონიკაშვილმა ოზურგეთში გაჩერება მიზანშეწონილად არ მიიჩნია და გადაწყვიტა, ვიდრე ციებცხელებისგან განაწამები ჯარი გამოკეთდებოდა, საკვების, ფურაჟისა და ტყვია-წამლის მიწოდების საქმეს წესრიგში მოიყვანდა, დროებით უკან — რიონისკენ დაეხია. იგი სრულიად სამართლიანად ფიქრობდა, რომ, თუ რუსის ჯარი ოზურგეთში გაჩერდებოდა, სელიმ-ფაშა მოვლითი გზებით ქუთაისისკენ გასწევდა, ხოლო რიონზე მისი დაბანაკების შემთხვევაში, მტერი ოზურგეთში შეჩერდებოდა. ანდრონიკაშვილმა ჯარი რიონის ორივე ნაპირზე დააბანაკა. რეგულარული ჯარის ოზურგეთიდან გამოყვანის შემდეგ თითქმის ნახევარი გურია სახალხო ლაშქრის ამარა რჩებოდა. მშვიდობიანი მოსახლეობა იარაღს ისხამდა და მტრის დასახვედრად ემზადებოდა. გურული თავად-აზნაურები და გლეხები საზეიმო ფიცს დებდნენ, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებდნენ. გურიის სახალხო ლაშქარი, **მალაქია გურიელის** მეთაურობით, სოფ. მაკვანეთში გურიის საზღვრებთან დაბანაკდა. მალაქია გურიელი შეკვეთილში დაღუპული გიორგი გურიელის ძმა იყო. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში და, როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, ძალიან მოხდენილი ვაჟკაციც ყოფილა. კავკასიის მეფისნაცვალი მურავიოვი მას **„გურული ხალხის მშვენებას“** უწოდებდა.

სელიმ-ფაშა მოუახლოვდა გურიის საზღვრებს, მაგრამ დიდხანს ვერ ბედავდა მდ. ჩოლოქის გადმოლახვას. ბოლოს მის ყურამდე მიაღწია ივანე ანდრონიკაშვილის მიერ განზრახ მის შემოსატყუებლად დარხეულმა ხმებმა, რომ თითქოს ინგლის-საფრანგეთის ომში ჩაბმით შეშინებული რუსები გურია-სამეგრელო-იმერეთიდან აპირებდნენ ჯარის გაყვანას და თბილისთან თავმოყრას. გათამამებული სელიმ-ფაშა გურიაში შემოიჭრა და ოზურგეთში დაბანაკდა. **გურიის მოსახლეობამ, მალაქია გურიელის მეთაურობით, რომლის რაზმი დღითიდღე იზრდებოდა, თურქების წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა და მტერს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.** სასაზღვრო ზოლის დაცვა თურქების მხრიდან გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს ლაშქრის საშუალებით ხორციელდებოდა. ის რეგულარულად აწვდიდა სარდლობას ცნობებს თურქთა ჯარების განლაგების შესახებ. გურიის ლაშქარმა შეატყობინა სარდლობას, რომ თურქების 12-ათასიანმა რაზმმა მდინარე **სუფსა** გადმოლახა. რაზმი უმთავრესად ბაში-ბუზუკებისგან შედგებოდა. იგი მოჰყავდა **რენეგატ ჰასან-ბეი თავდგირიძეს**. სოფ. ნიგოეთთან ქუთაისისკენ მიმავალ გზას იცავდა **ნიკოლოზ ერისთავი** 2 ბატალიონით და 4 ქვემეხით. ერისთავის დასახმარებლად ანდრონიკაშვილმა 12-მდე ცხენოსანი და ქვეითთა ასეული გაგზავნა. **27 მაისს განთიადისას სოფ. ნიგოეთთან ლანჩხუთის ტყეში ნიკოლოზ ერისთავი თავს დაესხა თურქებს.** ერისთავმა იცოდა, რომ კაჟიანი თოფებით შეიარაღებული ჯარით მოწინააღმდეგის შორსმსროლელ შაშხანებთან ვერაფერს გახდებოდა და ჯარი ხელჩართულ ბრძოლაზე გადაიყვანა. მტერმა დიდხანს ვერ გაუძლო შეტევას და უკან დახევა დაიწყო. თავადი ერისთავი ქვეითი ჯარითა და სახალხო ლაშქრით ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მტერს. მან ტყიდან გასასვლელი ბილიკები ჩაკეტა და უკანდასახევი გზა მოუჭრა. მტრის დევნაში ქართულ მეომრებს მხედველობიდან გამორჩათ, რომ ჰასან-ბეი ბაში-ბუზუკების რაზმით ჩუმად ხელიდან დაუსხლტათ. ჰასან-ბეიმ ზურგიდან შემოუარა ერისთავის რაზმს და რუსთა ბანაკს დაეცა, მაგრამ ერისთავი დროზე მიხვდა მტრის ფანდს და სასწრაფოდ გაეშურა ბანაკში მყოფი ჯარის დასახმარებლად. **ჰასან-ბეის რაზმი სასტიკად დამარცხდა. თვით ჰასან-ბეი გაქცევას ლამობდა, მაგრამ გურულმა აზნაურმა ერასტი ჭყონიამ მას ხმლის ერთი მოქნევით მოჰკვეთა თავი და გენერალ ანდრონიკაშვილს მიართვა.**

ნიგოეთთან თურქების დამარცხების მერე ანდრონიკაშვილმა გადაწყვიტა, რომ დრო იყო, ოზურგეთში თურქების მთავარი კორპუსისთვის შეეტია და ოზურგეთისკენ გასწია, მაგრამ სელიმ-ფაშას ოზურგეთი დაეტოვებინა, მდ. ჩოლოქზე გადასულიყო და გურიის საზღვართან დაბანაკებულა.

ოზურგეთში მისვლისთანავე ანდრონიკაშვილმა გენერლები შეკრიბა და მომავალი ბრძოლის შესახებ თათბირი გამართა. ურჩიეს, შეტევა რამდენიმე დღით გადაედოთ, სანამ მტერს კარგად დაზვერავდნენ და მის სიძლიერე-სისუსტეებს დაადგენდნენ. ანდრონიკაშვილმა ეს რჩევა არ მიიღო და, სანამ მტერი ბოლო მარცხის სიმწარეს თავს დააღწევდა, მასთან შებმა და შეტევა ამჯობინა.

ანდრონიკაშვილის განკარგულებაში იყო 11 ბატალიონი ქვეითი რეგულარული ჯარით, დონელი კაზაკების 4 ასეული, გურიის ექვსი ქვეითი რაზმი, იმერეთის სახალხო ლაშქრის 6 ქვეითი და 5 ცხენოსანი ასეული, რომლის ერთ-ერთ ასეულს ხელმძღვანელობდა 75 წლის **ქაიხოსრო მიქელაძე.** ქაიხოსრო მთელ იმერეთში განთქმული იყო თავისი ვაჟკაცობითა და გარეგნობით. მან მიქელაძეების გვარის თავადებისგან შეადგინა მთელი ასეული და, როგორც თანამედროვე გადმოგვცემს, საბრძოლოდ ამხედრებულმა ქაიხოსრომ სახალხოდ გამოაცხადა, რომ იგი მტრის საბოლოოდ დამარცხებამდე და უკანასკნელ გასროლამდე თავდადებით იბრძოლებდა.

აქვე ორიოდე სიტყვით უნდა შევჩერდეთ ანდრონიკაშვილის განკარგულებაში მყოფ ქართული ნაკრები ცხენოსანი ლაშქრის აღწერაზე. ეს ლაშქარი 1854 წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდა და სპეციალური სამხედრო სწავლება გაიარა. იგი შედგებოდა რჩეული ვაჟკაცებისგან. ლაშქრის უფროსი იყო სიმამაცით განთქმული **გიორგი ჯანდიერი**, რომელსაც მეტსახელად **„დროშაგიორგის“** უწოდებდნენ.

ლაშქრის **პირველ ასეულში** იყვნენ მხოლოდ ოსები, რომლებიც სხვა ასეულებისგან გამოსარჩევად წითელ ნიშანს ატარებდნენ და წითელი ფაფახები ეხურათ. მათი მეთაური იყო თავადი **გიორგი მაჩაბელი.**

**მეორე ასეული** სიღნაღის მაზრის მცხოვრებთაგან იყო შედგენილი, ჰქონდათ თეთრი ნიშანი და თეთრი ფაფახები. მათ მეთაურობდა თავადი **ზაქარია ანდრონიკაშვილი.**

მესამე ასეულში თელავის მაზრის მცხოვრებლები იყვნენ, მეთაურობდა **ნიკო ჭავჭავაძე**, ჰქონდათ მოყვითალო-ოქროსფერი ნიშანი.

**მეოთხე ასეული** შედგენილი იყო თბილისისა და გორის მაზრის მცხოვრებლებისგან, მეთაურად ჰყავდათ თავადი **დავით ვახვახიშვილი**, ატარებდნენ ცისფერ ნიშანს.

**მეხუთე ასეულში** იყვნენ თუშები და ფშავები შავი ნიშნით და შავი თუშური ქუდებით, მათ მეთაურობდა ვაჟკაცობით განთქმული **ელისა ბერიძე**, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, მთელი სხეული ჭრილობებით ჰქონდა დაფარული.

**მეექვსე ასეული** მწვანე ნიშნით გამოდიოდა და მის შემადგენლობაში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი გვარების თავადაზნაურობის წარმომადგენლები შედიოდნენ, მეთაური იყო თავადი **გიორგი ერისთავი.** ლაშქარს მიუძღვებოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული გოლიათი, ბოდბისხეველი **ნატროშვილი**, რომელსაც შავი დროშა მოჰქონდა.

გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა ბრძანა და ჯარი საომრად დალაგდა:

სულ ერთად ნაკრები რუსნი და ქართველნი მოითვლებოდნენ 10 ათასამდე, ხოლო ჩოლოქს გაღმა სელიმ ფაშას 35 ათასი თურქი მეომარი იდგა ნახევარმთვარე გამოსახული დროშებით.

**მაშ, ასე: 1854 წლის 4 ივნისი. ბრძოლა მდინარე ჩოლოქზე.**

გათენებისას გურიის რაზმმა დატოვა ოზურგეთი და გაემართა გურიის საზღვრებისკენ, სადაც მდინარე ჩოლოქს გაღმა, მისთვის ხელსაყრელ პოზიციებზე იყო განლაგებული ბათუმის 35-ათასიანი კორპუსი, სელიმ-ფაშას მეთაურობით.

ავანგარდში მიდიოდა გურულთა სახალხო ლაშქარი, მაჭავარიანისა და თავდგირიძის მეთაურობით, რომელიც გზაში თურქების მოწინავე რაზმს გადაეყარა. გურულებმა სასტიკად დაამარცხეს თურქები.

გურიის რაზმმა გადალახა რა ჩოლოქი, საბრძოლოდ განლაგებული მტრის პირისპირ აღმოჩნდა. ბრძოლა საარტილერიო ცეცხლით დაიწყო. შემდეგ, ანდრონიკაშვილის განკარგულებით, ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო 2 კოლონა, გენერლების — მეიდელისა და ბრუნერის მეთაურობით. მეიდელის კოლონა პირდაპირ ეკვეთა მტერს, ხოლო ბრუნერის კოლონასა და ქვეით სახალხო ლაშქარს მტრისთვის მარჯვენა ფლანგიდან უნდა შემოევლო და შემდეგ მეიდელსა და მას ერთდროულად უნდა დაეცხოთ მტრისთვის. გენერალმა მეიდელმა ხელჩართული ბრძოლა გამართა და ისე შეავიწროვა თურქები, ამ მომენტში ბრუნერის კოლონასაც რომ დაერტყა, ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იქნებოდა, მაგრამ ბრუნერი გაუგებარი მიზეზის გამო იგვიანებდა. მეიდელის კოლონა თავისიანებისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა და ბრძოლის ბედი ბეწვზე ეკიდა. გათამამებული თურქები მთელი ფრონტით შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ ანდრონიკაშვილი არ დაიბნა. მან უბრძანა კავალერიას, ჩაბმულიყო ბრძოლაში. როგორც ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე, ქართული ლაშქრის ინსტრუქტორი **ივანე ამილახვარი** მოგვითხრობს, კავალერია, იმერეთის ცხენოსანი სახალხო ლაშქარი, ქართული ლაშქარი გააფთრებული ეკვეთნენ მტერს. დონელი კაზაკების ასეულები, პოლკოვნიკ ხარიტონოვის მეთაურობით, და იმერეთის ცხენოსნები, ქაიხოსრო მიქელაძის მეთაურობით, მტრის მოწინავე პოზიციებში შეიჭრნენ, ხოლო ქართულმა ლაშქარმა მარჯვენა ფლანგიდან შემოუარა და ზურგიდან დაესხა თავს მტერს. შეტევაზე გადასული ქართული ლაშქარი ისეთი ელვის სისწრაფით მიაგელვებდა ცხენებს, რომ წინა რიგებში მყოფი ასეულის მეთაურები — დავით ვახვახიშვილი და ზაქარია ანდრონიკაშვილი — ღრმად შეიჭრნენ თურქების რიგებში და მტრის ხიშტებზე წამოგებულებმა ბრძოლის ველზე განუტევეს სული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დავითი ამ ომში დაღუპული 4 ძმა ვახვახიშვილის მეხუთე ძმა იყო. ლაშქარმა ამ ბრძოლაში 120 კაცი დაკარგა, მაგრამ თითქმის მთლიანად გაანადგურა მტრის რეგულარული ჯარის გვარდიის ბატალიონი. ამ ბრძოლაშივე დაიღუპა იმერეთის სახალხო ლაშქრის სახელოვანი მეთაური **ქაიხოსრო მიქელაძე.**

შეტევაზე გადასულ კავალერიას ანდრონიკაშვილმა ფეხდაფეხ მიაყოლა ჯარის დანარჩენი ნაწილები და შეტევაზე გადავიდა.

სისხლისმღვრელი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ თურქები იძულებული შეიქნენ, უკან დაეხიათ, მაგრამ რუსმა და ქართველმა ცხენოსნებმა მათ ფეხდაფეხ იქამდე სდიეს, სანამ სელიმ-ფაშას ჯარების გზააბნეული ნაშთები შორს არ გადაკარგეს. თვით სელიმ-ფაშა რამდენიმე მხლებლით ქობულეთს გაიქცა. ჩოლოქთან ბრძოლაში თითქმის მთლიანად განადგურდა თურქთა ბათუმის კორპუსი.

ჩოლოქთან გამარჯვებამ ბოლო მოუღო უცხოელი გენერლების მიერ შედგენილ გეგმას, რომლის მიხედვით ახალციხე-ახალქალაქის მიმართულებით წამოსული თურქთა რაზმი სურამის უღელტეხილის გადავლით უნდა შეერთებოდა სელიმ-ფაშას ბათუმის კორპუსს, რათა შემდეგ გაშლილი კომბინირებული შეტევა დაეწყო, რომელსაც, მათი აზრით, უნდა მოჰყოლოდა რუსეთის ბატონობის დასასრული ამ მხარეში.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში არც ერთი საერო სკოლა არ არსებობდა. მხოლოდ 1802 წელს გაიხსნა პირველი „სახალხო სასწავლებელი“ თბილისში, 1804 წელს — „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“. 1817-1820 წლებში სასულიერო სემინარიები გაიხსნა თბილისში, გორში, სიღნაღში, ქუთაისში, მარტვილში. 1830 წელს დაარსდა სამაზრო სასწავლებლები თბილისში, ქუთაისში, გორში, სიღნაღში, მარტვილში, დუშეთში, ახალციხეში. უკვე 1830 წელს საქართველოში იყო 90 სკოლა. შემდგომ სკოლების ქსელი ინტენსიურად ფართოვდებოდა. ამასთანავე იზრდებოდა კერძო სასწავლებელთა ქსელი; 1835 წელს მათმა რაოდენობამ 72-ს მიაღწია. იქმნებოდა პროფესიული სკოლები და გიმნაზიები. უკვე XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში 21 გიმნაზიის ტიპის საშუალო სკოლა იყო.**

# უმადური კაცი და ერი არც ღმერთს სჭირდება და არც კაცობრიობას!

## რომ გაიძახიან უმადურები, 700 ათასი ქართველი სხვის ომში იბრძოდაო, მინდა ვკითხო მათ: ჰიტლერი საქართველოში ფორიანი კანფეტების დასარიგებლად მოდიოდა? აი სულ მაგ აზრზე იყვნენ გებელსი და ჰიმლერი!

**არაფერი ისე არ ამშვენებს ადამიანს, როგორც მადლიერება, სხვათა ამაგის დაფასების უნარი... და არაფერი იწვევს ისეთ ზიზღს, როგორც უმადურობა. უმადურობა დიდ ცოდვადაც ითვლება ნებისმიერი აღმსარებლობის ხალხში. გაიხსენეთ, როგორ ისჯება უმადურობა ქართულ, სპარსულ, არაბულ თუ სხვა ხალხთა ზღაპრებში. ამირანის მითის გახსენებაც კმარა, რომლის მიხედვითაც, ამირანი უდიერებისა და უმადურობის გამოჩენისთვის უფალმა კავკასიის ქედს მიაჯაჭვა და საუკუნო სატანჯველში ჩაგდო... ხალხის ცნობიერებაში ასე დაისაჯა უმადურობა და მასზე დამყნილი სიბრიყვე. ერთმა უმადურმა და ბრიყვმა კაცმაც კი შეიძლება უსიამოვნება მოუტანოს საზოგადოებას და, თუ ბევრი გაბრიყვდა, მტრისას! ჩვენდა სამწუხაროდ, უმადურობამ და სიბრიყვემ დაგვრია ხელი ქართველობას და, კარგა ხანია, ვისჯებით განგებისგან, მაგრამ მაინც ვერ მივმხვდარვართ ჩვენს სიბრიყვეს.**

საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნა 1980-იანი წლებში აგორდა და ხალხის მასები აიყოლია. ხალხის გაბრიყვებას კი ბევრი არაფერი უნდა: დაჰპირდი მუქთა სმა-ჭამას და იმწამსვე გადაეკეტება აზროვნების უნარი. აბა, სხვა რა იყო 1980-იან წლებში ჩვენი ხალხის აღტყინების მიზეზი?!

დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ გვექნება, ჩვენს ულევ სიმდიდრეს ჩვენვე მოვიხმართ და ვიცხოვრებთ ბედნიერადო, — ასე ეგონა ხალხის ნაწილს. ჩვენ მხოლოდ ბორჯომის წყალი და მარგანეცი გვაცხოვრებს, სხვა რომ არაფერი იყოსო, — მიმტკიცებდა მეგობარი მწერალი და მას მხარს აქტიურად უბამდა მასზე უფრო ხნიერი და გამოცდილი პიროვნება, აგრეთვე, მწერალი. **ბორჯომი — ბორჯომად, მაგრამ ჩვენი ჩაი? მსოფლიოში საუკეთესო ჩვენი მარგანეცი, ღვინო, ციტრუსები? ახლა ელმავლები (რომლებსაც თურმე მუქთად ვაძლევდით რუსეთსა და სხვა რესპუბლიკებს), ქართული თუჯი და ფოლადი... რას ამბობთ, კაცო, შეიხებივით ვიცხოვრებთ! — ქადაგებდნენ სხვები.** რუსეთს მიაქვს ჩვენი ეროვნული შემოსავლის დიდი ნაწილი — ეს იყო მთავარი მოტივი, რომელსაც ბრმად მიჰყვა მოსახლეობის დიდი ნაწილი.

ქართველი ბუნებით ისედაც სულსწრაფია (დღევანდელი კვერცხი რომ ურჩევია ხვალინდელ ქათამს, მე არ დამიბრალებია მისთვის) და, ამისთანა „კეთიდღეობის პერსპექტივა“ რომ დაანახვეს, არიქა, ჩქარა მოვიპოვოთ დამოუკიდებლობაო, — იხუვლეს და „დამპყრობელი“ და „კოლონიზატორი“ რუსეთის ძირფესვიანად ამოთხრა მოინდომეს ქართველთა შეგნებიდან.

**ამას წინათ ერთ-ერთ პოპულარულ სატელევიზიო გადაცემაში მწერალმა, მეცნიერების დოქტორმა და პროფესორმა განაცხადა, თუ რამე ტერიტორია გვაქვს დაკარგული, ყველაფერი რუსეთის მიერაა წართმეული, სხვას ერთი გოჯიც არ მიუტაცებიაო. აბა, ტაო-კლარჯეთი და სხვა ტერიტორიები, თურქეთის შემადგენლობაში რომ არის, ნებაყოფლობითაა გადაცემული? — მორიდებით ჰკითხა ერთმა ისტორიკოსმა. ის ტერიტორიები ბიზანტიას ეკუთვნოდა და თურქეთმა მემკვიდრეობით მიიღოო, — ისე გაწიწმატებულმა შეუტია იმ მწერალმა ისტორიკოსს, თითქოს თვითონ იყო ისტორიკოსი, ის მორიდებული კაცი კი — მწერალი.**

მომხრე ვარ, ყველა მეზობელთან ვიმეგობროთ, წარსული ცოდვები ერთმანეთს არ გავახსენოთ, მაგრამ ასეთი უმადურობა ღვთის საწყენი საქმეა და დავისჯებით უთუოდ. დღევანდელ თურქეთს ღმერთმა სიკეთე მისცეს, მაგრამ, რა უბედურებაც თურქეთმა საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს დააწია, წერა-კითხვის მცოდნე კაცმა არ უნდა იცოდეს?! არა, იმ პროფესორს ეს როგორ არ ეცოდინებოდა, მაგრამ რუსეთზე უნდა ეთქვა, — დამპყრობელიაო და ვეღარ მოზომა სათქმელი.

არადა, ვინ არ იცის, რომ **1801 წელს, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა („შეუერთდა“ და „არა დაიპყრო“), თურქეთის საზღვარი იქით — ნატანებთან, აქეთ — ბორჯომსა და წალკასთან გადიოდა. ახალციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია 1821 წელს წაართვა თურქეთს რუსეთმა (ომში ქართველებიც მონაწილეობდნენ), აჭარა კი 1878 წელს დაუბრუნეს საქართველოს.**

იმის შეხსენებით თავს არავის შევაწყენ, რამდენ ნაწილად იყო დაყოფილი საქართველო რუსეთთან შეერთებამდე და გაერთიანების არანაირი პერსპექტივა რომ აღარ არსებობდა. თვით აღმოსავლეთ საქართველოც არ იყო ერთიანი. იმ „მწერალს“ უნდა სცოდნოდა, რომ ქართველები ერეკლე მეორეს ტახტის ლეგიტიმურ მემკვიდრედ არ მიიჩნევდნენ, მაგრამ, მისი დიდი პიროვნული ავტორიტეტისა და პოპულარობის გამო, აღიარებდნენ მეფედ, მაგრამ, როდესაც მისი შვილი **გიორგი XII** გამეფებიდან ორი წლის თავზე აღესრულა, ქართველებმა **დავით XII** ტახტზე არ დასვეს — მაგან კახეთში იმეფოსო. ერეკლეს შვილებიც კახთა ბატონებად თვლიდნენ თავს, ამიტომ არ ამოუდგნენ ერეკლეს მხარში შვილები კრწანისის ბრძოლაში (უფროსი შვილი და ტახტის მემკვიდრე სიღნაღში ქეიფობდა კრწანისის ბრძოლის დროს)... ერეკლეს შთამომავალი დავითი ქართველებმა ტახტზე არ დასვეს, — ბაგრატიონ-მუხრანელი უნდა იყოსო მეფე, ატყდა ჩხუბი, დახოცეს კინაღამ ერთმანეთი ქართლელმა და კახელმა თავადებმა. სწორედ




**დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ დავინახოთ, როგორ ვისჯებით ჩვენი უმადურობის გამო. პირველი და ყველაზე თვალსაჩინო სასჯელი ჩვენი ხელისუფლება და მისი ცინიკური სიტყვიერი თუ საქმიანი ურთიერთობაა ხალხთან. მეორე სასჯელი არის ის, რომ ქართულ მიწა-წყალს, რომელსაც ჩვენი წინაპრები სისხლითა და ოფლით იცავდნენ სამი ათასი წლის განმავლობაში, უცხოელები ეპატრონებიან და იმ დამცველთა შთამომავლებს თავიანთ მიწაზე გავლას უშლიან. მესამე და ყველაზე საშინელი სასჯელი კი ქართული ენის ფეხქვეშ გათელვა, დაცინვა და აბუჩად აგდებაა**

ამის შემდეგ ურჩია ქართველებს რუსეთის საექსპედიციო ჯარის უფროსმა გენერალმა, თუ არ ვცდები, **ლაზარევმა:** რად ხოცავთ ერთმანეთს, სთხოვეთ ერთმორწმუნე რუსეთის მეფეს და იქნებ დაითანხმოთ საქართველოს მეფობაზეო. ეს რა კარგი რამე გვირჩიეო, — გაუხარდათ ქართველებს და მყისვე აფრინეს თხოვნის წერილი პეტერბურგში. წერილს ხელს აწერდნენ ქართლელებიცა და კახელებიც. ისიც ცნობილია, რომ რუსეთის მეფე მაშინვე არ დაეთანხმა ქართველების თხოვნას (ალბათ, ყასიდად), — ჩვენ უზარმაზარ იმპერიას უნდა ვუპატრონოდ და სად შეგვიძლია, კიდევ სხვა სახელმწიფოც შევიერთოთო, მაგრამ ქართველები არ მოეშვნენ და „დაიყოლიეს“ ბოლოს. ჯანდაბას თქვენი თავიო, — უთქვამს რუსეთის ხელმწიფეს, და შეერთების აქტზე ხელი მოუწერია.

**აი, ასე „დაგვიპყრო“ რუსეთმა.**

ახლა ვნახოთ, როგორი საქართველო ჩამოყალიბდა რუსეთის იმპერიის (შემდეგ კი — საბჭოთა კავშირის) შემადგენლობაში.

XIX საუკუნეში დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა აუჯანყდა რუსეთის ხელისუფლებას, პრივილეგიების მიხედვით ჩვენც რუს თავადაზნაურობას გაგვიტოლეთო. კარგიო, — უთხრეს, — შეადგინეთ პეტიცია და მას თავადაზნაურობამ მოაწეროს ხელიო. შეადგინეს პეტიცია და ქართველი თავადაზნაურების ათმა პროცენტმა(!) მოახერხა ხელის მოწერა, ოთხმოცდაათმა(!) პროცენტმა ჯვრის დასმა შეძლო მხოლოდ.

**რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში არც ერთი საერო სკოლა არ არსებობდა. მხოლოდ 1802 წელს გაიხსნა პირველი „სახალხო სასწავლებელი“ თბილისში, 1804 წელს — „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“. 1817-1820 წლებში სასულიერო სემინარიები გაიხსნა თბილისში, გორში, სიღნაღში, ქუთაისში, მარტვილში. 1830 წელს დაარსდა სამაზრო სასწავლებლები თბილისში, ქუთაისში, გორში, სიღნაღში, მარტვილში, დუშეთში, ახალციხეში. უკვე 1830 წელს საქართველოში იყო 90 სკოლა. შემდგომ სკოლების ქსელი ინტენსიურად ფართოვდებოდა. ამასთანავე, იზრდებოდა კერძო სასწავლებელთა ქსელი; 1835 წელს მათმა რაოდენობამ 72-ს მიაღწია. იქმნებოდა პროფესიული სკოლები და გიმნაზიები. უკვე XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში 21 გიმნაზიის ტიპის საშუალო სკოლა იყო. დაწყებითი სკოლების ქსელზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს.**

სახელმწიფო სკოლების პარალელურად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ათობით სკოლა გახსნა ოფიციალური ხელისუფლების ხელშეწყობით. უკვე XIX საუკუნის შუახანებში, ოფიციალურ სახელისუფლო გაზეთებთან ერთად, არსებობდა საზოგადოებრივი ჟურნალ-გაზეთები: ლიტერტურული, საზოგადოებრივ-პუბლიცისტური, საყმაწვილო გამოცემები. თბილისსა და ქვეყნის მნიშვნელოვან ცენტრებში გაიხსნა თეატრები და ა.შ. ინტენსიურად ყალიბდებოდა ქართული ეროვნული ცნობიერება. ეროვნულ-საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმატებით მოღვაწეობდნენ რუსეთში განათლებამიღებული დიდი ქართველი მოღვაწენი, რომლებიც საფუძველს უყრიდნენ ერთიანი საქართველოს ახალ კულტურასა და განათლებას.

საქართველომ დაისვენა ომებისგან და ქართველი ფიზიკურად გადარჩა.

**საბჭოთა პერიოდში როგორ განვითარდა საქართველოს კულტურა და ეკონომიკა, მეცნიერება და სპორტი, ამაზე ლაპარკიც კი უხერხულია წიგნიერ საზოგადოებაში, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ქართული საენათმეცნიერო, საისტორიო, მათემატიკური, ფსიქოლოგიური სკოლები, ქართული თეატრი, ქართული კინო, ქართული ფეხბურთი მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ აღიარა და ანგარიშგასაწევ ფენომენად მიიჩნია.**

ახლა პატიოსანმა კაცმა გულზე ხელი დაიდოს და ღვთის წინაშე დაიფიცოს: ეს ყველაფერი რუსეთის დახმარების გარეშე შესაძლებელი იქნებოდა?

რა თქმა უნდა, ოქტომბრის რევოლუციას ბევრი უბედურება მოჰყვა, როგორც, საერთოდ, მოსდევს ხოლმე რევოლუციებს — საფრანგეთის დიდი რევოლუცია იქნება ეს თუ ინგლისის ბურჟუაზიული, მაგრამ ეს უბედურება, უწინარესად და ყველაზე სასტიკად, რუსეთს დაატყდა თავს (ისიც უნდა ითქვას, რომ ოქტომბრის რევოლუციის ლიდერთა შორის თითებზე ჩამოსთვლელი იყო რუსი): არისტოკრატია, რომელიც ელიტური რუსული ინტელიგენციის უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა, გაჟლიტეს ან ემიგრაციაში გააქციეს. რუსი ინტელიგენცია ჩაანაცვლეს წერა-კითხვის უცოდინარმა ავანტიურისტებმა, რომლებიც მსოფლიო რევოლუციის ბოდვითი იდეებით ტვინს უბნელებდნენ „მშიერმუცელა მონებს“.

რომ არა **სტალინის** ფენომენი, მასონური ბანდა, ოქტომბრის დაგატრიალების შემდეგ რუსეთის უზარმაზარი იმპერია რომ ჩაიგდო ხელში, მსოფლიოს თუ არა, ჩვენ უსათუოდ გადაგვიყოლებდა ისტორიის უფსკრულში. აქაც რუსეთმა და მისმა მართლმადიდებულმა ეკლესიამ მიიღო ძირითადი დარტყმა და თავისი სისხლითა და ხორცით ამოყორა ურჩხული. ▶

„რეფორმირებულ“ სკოლებში ცუდად ისწავლება ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნები. ამან კი ბევრ ისეთ ტერმინს, გამოთქმას დაუდო სათავე, რომლებიც არამეცნიერულია და არაქართულიც. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ისეთი სოლიდური თანამდებობის პირმა, როგორიც რაიონის გამგებელია, არ იცის, რა არის პროცენტი. უამრავმა ახალგაზრდამ გამრავლების ტაბულა არ იცის — რიცხვების გასამრავლებლად თუ გასაყოფად კალკულატორს იყენებს, რიცხვიდან ფესვის ამოღების ხსენებაზე კი შეიძლება თავი ატკივდეს. აქვე, ნურც თინეიჯერი მინისტრის მიერ ხარის „მამალი ძროხით“ შეცვლის „მეცნიერულ-ინოვაციურ“ შემოთავაზებას დავივიწყებთ ახლო წარსულიდან...

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ იმ რევოლუციურ ჯოჯოხეთში რუსი ხალხი ენდო და ბოლომდე გაჰყვა სტალინს, გლობალისტურ-მასონურ წარღვნას გადარჩა თვითონ და გადაარჩინა რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხები, მათ შორის, ქართველებიც.

მერე იყო და, ხაკისფერი ურჩხული დაემუქრა კაცობრიობას გერმანული ფაშიზმის სახით, რომელმაც ლავასავით გადაუარა ევროპას და კავკასიონის მისადგომებთან მოიტეხა კისერი. კი, ქართველებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ამ საქმეში (ბოლოს და ბოლოს, უმაღლესი მთავარსარდალი ქართველი იყო), მაგრამ რუსი ხალხის გარეშე ჩვენ ჰიტლერის ურდოების შემჩერებელი ვიყავით? ახლა **რომ გაიძახიან უმადურები, 700 ათასი ქართველი სხვის ომში იბრძოდაო, მინდა ვკითხო მათ: ჰიტლერი საქართველოში ფოჩიანი კანფეტების დასარიგებლად მოდიოდა? აი სულ მაგ აზრზე იყვნენ გებელსი და ჰიმლერი!**

უმადურობამ აპოგეას ჩვენს დღეებში მიაღწია, თუმცა ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ, ვისაც ზნეობრივი სიფხიზლე არ დაუკარგავს, ისტორიული მეხსიერების წინააღმდეგ ამ უზნეო ბრძოლას წინ უნდა აღუდგეს. ასე თუ არ მოხდა, თაობები მახინჯი ეროვნული ცნობიერებით აღიზრდებიან და ისე აღმოჩნდებით ნიანგის ხახაში, გონს მოსვლასაც ვერ მოვასწრებთ.

**დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ დავინახოთ, როგორ ვისჯებით ჩვენი უმადურობის გამო. პირველი და ყველაზე თვალსაჩინო სასჯელი ჩვენი ხელისუფლება და მისი ცინიკური სიტყვიერი თუ საქმიანი ურთიერთობაა ხალხთან. მეორე სასჯელი არის ის, რომ ქართულ მიწა-წყალს, რომელსაც ჩვენი წინაპრები სისხლითა და ოფლით იცავდნენ სამი ათასი წლის განმავლობაში, უცხოელები ეპატრონებიან და იმ დამცველთა შთამომავლებს თავიანთ მიწაზე გავლას უშლიან. მესამე და ყველაზე საშინელი სასჯელი კი ქართული ენის ფეხქვეშ გათელვა, დაცინვა და აბუჩად აგდებაა.**

გახსოვთ, ალბათ, როგორი აღშფოთებული ვიყავით ქართველები 1980-90-იან წლებში: რატომ არის აბრებზე წარწერები რუსულად და ქართულად, მხოლოდ ქართულად უნდა ეწეროსო. როგორც კი „გავთავისუფლდით“, მაშინვე ვეტაკეთ და მეტროპოლიტენის ვაგონების კარებზე რუსულად (ქართულთან ერთად) რომ ეწერა „Не прислоняться“, ავფხიკეთ. ახლა სასტუმრო „ივერიას“ „რედისონი“ რომ დაარქვეს და ქართული წარწერა არსად ჭაჭანებს, ვითომც არაფერია?! ასეთი ეროვნული გამოთაყვანება ღვთის სასჯელია, აბა, რა არის!

სანამ ჩვენს უმადურობას არ მოვინანიებთ, სანამ ისტორიულ სიმართლეს გულწრფელად არ ვაღიარებთ, ღმერთი არ შეგვიწყალებს ქართველობას. უმადური კაცი და ერი არც ღმერთს სჭირდება და არც კაცობრიობას.

**ზურაბ ცუცქირიძე**

# «რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...»

## გამართული ქართულით მეტყველება მოეთხოვება ჟურნალისტსაც, მინისტრსაც, ექიმსაც, ვექილსაც, ბრალიანსაც და უბრალოსაც

**ქართველი ერი ერთ-ერთი გამორჩეული ენის მფლობელია. მდიდარი ლექსიკური მარაგის გამო, ქართულად ადვილია ნებისმიერი აზრის ჩამოყალიბება და გადმოცემა. გარდა ამისა, ჩვენი მშობლიური ენა ტკბილხმოვანიცაა. საამაყოა ისიც, რომ მსოფლიოში 14 დამწერლობა არსებობს და მათგან ერთ-ერთი ქართულია. ახლახან ცნობილი შეიქნა, რომ გაეროთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია იუნესკომ ქართული ანბანის კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარა. ამ წერილის მიზანი ქართული ენის აპოლოგია არაა. მხოლოდ იმის კიდევ ერთხელ შეხსენება გვსურს, რა საგანძურს ვფლობთ ქართველები ენის სახით და როგორი ზრუნვა და გაფრთხილება სჭირდება მას.**



ენობრივი ნორმებიდან გადახრის მიზეზი, ხშირად არის სამეცნიერო ტერმინების, ცნებების უცოდინარობა ან მათი არასწორი ინტერპრეტაცია. მავანს ჰგონია, რომ ატომური და თერმობირთვული ბომბების სიმძლავრის გამომხატველი ტერმინები — **„კილოტონა“** და **„მეგატონა“** — აღნიშნული იარაღის რეალური მასაა. ეს უხეში შეცდომაა, რადგან მილიონტონიანი ბომბის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. სინამდვილეში, ეს ტერმინები გვიჩვენებს, თითოეული ასეთი ბომბის სიმძლავრე რამდენი ტონა ასაფეთქებელი ნივთიერების (ტროტილის) აფეთქების ეკვივალენტურია.

ერთ-ერთი რეკლამის მიხედვით, 1 ჰა ტყე, თურმე, 2 მილიონ ტონა წყალს აკავებს. ეს ძალიან საეჭვოა, რადგან, მარტივი გაანგარიშებით, ასეთ შემთხვევაში, 1 ჰა-ს, ანუ 10 000 კვადრატული მეტრი ტყის ყოველ კვადრატულ მეტრს, „საჭირო“ იქნება, დავასხათ 200 ტ წყალი. ეს უკვე წარღვნაა და მისგან უფალმა დაგვიფაროს...

არქეოლოგიური მუზეუმის გიდის ტურისტებთან საუბრიდან:

— დინოზავრის ეს ჩონჩხი 20 000 031 წლის, 7 თვისა და 24 დღისაა.

— რა საოცარია! ასე ზუსტად საიდან იცით?!

— აქ მუშაობა რომ დავიწყე, ის მხოლოდ 20 000 000 წლისა იყო, მე კი ზუსტად 31 წელი, 7 თვე და 24 დღეა, რაც ვმუშაობ.

აი ეს ხუმრობა გამახსენდა, როცა ერთ-ერთი არჩევნების შემდეგ რომელიღაც ტელეარხმა ზარ-ზეიმით გვამცნო: **„არჩევნებში მონაწილეობდა დაახლოებით 1 430 247 ადამიანი!“** ვერაფერს იტყვი, „დაახლოებაც“ ასეთი უნდა! ალბათ, უფრო „ზუსტი“ რიცხვი იქნებოდა 1 430 247,7 ან 1 430 248,4. გამოდის, რომ ზოგან ადამიანის ნაწილებიც „მონაწილეობდნენ“ არჩევნებში(?!).

**ამინდის პროგნოზზე საუბრისას ტელე-რადიო წამყვანები ხშირად ამბობენ «ტემპერატურა გათბება». ეს უხერხული და არასწორი გამოთქმაა. ტემპერატურა ფიზიკური სხეულის შინაგანი ენერგიის აღმნიშვნელი პარამეტრია, ამიტომ შესაძლებელია არა მისი გათბობა, არამედ მომატება, აწევა ან შემცირება, დაწევა. შეიძლება გათბეს ჰაერი, წყალი, ნებისმიერი სხეული, ტემპერატურა კი გათბობის ხარისხს, რაოდენობრივ მხარეს გვიჩვენებს**

ხშირად, ათწილადებსაც არასწორად გამოთქვამენ. ვთქვათ, ვილაცამ ბიუჯეტის 34,6 ათასი ლარი მიითვისა, ამბობენ, 34 და 6 ათასიო. ზოგს ეს 40 (34+6) ათასი ეგონება. სწორად კი ასე გამოითქმის: **ოცდათოთხმეტი მთელი და ექვსი მეათედი ათასი ლარი**. აქ სიტყვების „ეკონომია“ დაუშვებელია.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში გამართული ერთ-ერთი არჩევნების ბოლოს გამგებლები ერთმანეთს ასწრებდნენ, — ჩვენმა საპრეზიდენტო კანდიდატმა ხმების 120, 130, 140 პროცენტი მიიღოო. აქ, მაამებლობასთან ერთად, პროცენტის უცოდინარობაც აშკარაა.

ამინდის პროგნოზზე საუბრისას ტელე-რადიო წამყვანები ხშირად ამბობენ: **„...ტემპერატურა გათბება...“** ეს ძალზე უხერხული და არასწორი გამოთქმაა. ტემპერატურა ფიზიკური სხეულის შინაგანი ენერგიის აღმნიშვნელი პარამეტრია, ამიტომ, შესაძლებელია, არა მისი გათბობა, არამედ მომატება, აწევა, ან შემცირება, დაწევა. **შეიძლება გათბეს ჰაერი, წყალი, ნებისმიერი სხეული, ტემპერატურა კი გათბობის ხარისხს, რაოდენობრივ მხარეს გვიჩვენებს.** მოსაწონი არც ეს ფრაზაა: „ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა დღისით — პლუს 10 გრადუსს, ხოლო ღამით მინუს 40 გრადუსს მიაღწევს“. უკეთესი იქნებოდა, „მინუს 40 გრადუსამდე დაეცემა“.

განათლების რეფორმა, რომელიც თითქმის ორ ათეულ წელს ითვლის, ყველაფერს ემსახურება, განათლების გარდა. ეს თვალსაზრისი ექსპერტებისა და მაღალჩინოსნებისგან მომისმენია და ამას ეროვნული გამოცდების ბოლო წლების შედეგებიც ადასტურებს. „რეფორმირებულ“ სკოლებში ცუდად ისწავლება ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნები. ამან კი ბევრ ისეთ ტერმინს, გამოთქმას დაუდო სათავე, რომლებიც არამეცნიერულია და არაქართულიც. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ისეთი სოლიდური თანამდებობის პირმა, როგორიც რაიონის გამგებელია, არ იცის, რა არის პროცენტი. უამრავმა ახალგაზრდამ გამრავლების ტაბულა არ იცის — რიცხვების გასამრავლებლად თუ გასაყოფად კალკულატორს იყენებს, რიცხვიდან ფესვის ამოღების ხსენებაზე კი შეიძლება თავი ატკივდეს. აქვე ნურც თინეიჯერი მინისტრის მიერ ხარის **„მამალი ძროხით“** შეცვლის „მეცნიერულ-ინოვაციურ“ შემოთავაზებას დავივიწყებთ ახლო წარსულიდან...

აი კურიოზული გამოთქმები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში მომისმენია და წამიკითხავს მედიაში: **„საქმეზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე“**; რეკლამიდან: **„გინდა, დააგემოვნო ნამდვილი ლუდის გემო?!“; „...რომ საფრთხე არ შექმნოდა თვითმფრინავის უსაფრთხოებას“.** „ორიგინალურობას“ არც ეს ფრაზაა მოკლებული: **„ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა-გაყიდვა“(?!)**

არ შეიძლება **„ფასის გაიაფება“.** ეს ისეთივე ნონსენსია, როგორიც ტემპერატურის გათბობა. ფასი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. გაიაფება კი პურისა შეიძლება, წყლისაც და დენისაც ნაგვიანად, მაგრამ არა — ფასის. ანალოგიური უზუსტობებია **„სიმაღლის დადაბლება“, „სიგრძის გაგრძელება“** და ა. შ.

ღიმილისმომგვრელი გამოთქმა გაისმა ერთ-ერთ რადიოინფორმაციაში: ბათუმს **„სტუმრად ჩამოსული სტუმრების“** სტატუსით **„პოლიტიკოსებით დატვირთული გემი“** მოსდგომია. წამყვანმა, ალბათ, გემისა და საზოგადოების ტვირთად მხოლოდ ვაიპოლიტიკოსები იგულისხმა. ერთ გადაცდომასაც შევეხოთ, რომელიც განხილულ თემატიკასთან ახლოსაა. ეს არის გვარ-სახელების არასწორი ინტერპრეტაცია. მაგალითად, ცნობილი რუსი კომპოზიტორისა და დირიჟორის, მიხეილ **იპოლიტოვ-ივანოვის,** იპოლიტე ივანოვად ან ი. ივანოვად გადაკეთება უხეში შეცდომაა. დანაშაულია ჩვენი სასიქადულო პოეტის, **ვაჟა-ფშაველას,** ფსევდონიმის დამახინჯება და ვ. ფშაველად მოხსენიება.

დასასრულ, შეიძლება ჩვენი ოდნავ სატირული და ოდნავ სატირალი წერილი ეკლექტური გამოგვივიდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ენის უპატივცემულობა დაუშვებელია. გამართული ქართულით მეტყველება მოეთხოვება ჟურნალისტსაც, მინისტრსაც, ექიმსაც, ვექილსაც, ბრალიანსაც და უბრალოსაც...

**მერაბ ნადირაშვილი,**
**აკადემიური დოქტორი**

მსოფლიო

## მკვლელი დააკავეს

**აშშ-ის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დააკავეს მამაკაცი, რომელმაც, პოლიციის ცნობით, მოკლა სამი ადამიანი და ამდენივე დაჭრა მერილენდისა და დელავერის შტატებში.**

გავრცელებულ ცნობაში დაზუსტებულია, რომ ეჭვმიტანილია 37 წლის **რადი ლაბიბი.** ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, მან 18 ოქტომბერს ჯერ ქალაქ ეჯვუდში (მერილენდის შტატი) ესროლა ადამიანების ხუთკაციან ჯგუფს, შემდეგ ავტომანქანით ჩავიდა უილმინგტონში (დელავერის შტატში), სადაც კიდევ ერთ კაცს ესროლა. საბოლოო ჯამში დაიღუპა სამი ადამიანი, ორი დაიჭრა.

დანაშაულის მოტივი ჯერჯერობით უცნობია. „ასოშიეიტედ პრესის“ ცნობით, ყველა, ვისაც ესროლა დამნაშავემ, მისი ნაცნობია.

უცნობია, ჰქონდა თუ არა ბოროტმოქმედს რაიმე კავშირი ტერორისტულ დაჯგუფებებთან.



# როტშილდები უკრაინის სიმდიდრეს დაეპატრონებიან

**თუ გაინტერესებთ, რა მიზეზები უდევს საფუძვლად კიევის მაიდნის მოვლენებს და დონბასში მიმდინარე ომს, პირდაპირ გიპასუხებთ: ერთი, ყველაზე აშკარა მოტივი აშშ-ის გეოპოლიტიკაა, რომელიც ცდილობს, უკრაინა ჩამოაშოროს რუსეთს და ამ ქვეყნის საზღვრებს მაქსიმალურად დაუახლოვოს ნატოს ახალი ბაზები.**



ამ გეოპოლიტიკური გეგმის უკან იმალება ზეეროვნული ფინანსური ინტერესები: მაიდნამდე დიდი ხნით ადრე უკრაინაზე ბევრ უცხოურ კომპანიას ეჭირა თვალი.

უწინარეს ყოვლისა, დავასახელებდი **Monsanto**-ს, რომელიც ოცნებობს, ხელთ იგდოს უკრაინის შავმიწა სავარგულები თავისი გენმოდიფიცირებული კულტურების მოსავლის მოსაყვანად; კაპიკებად იყიდოს დონბასის ფიქლური აირით მდიდარი საბადოები და, საერთოდ, უკრაინის ქარხნები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პრაქტიკულად, აღარაფერს აწარმოებენ. მოკლედ, უკრაინელი ხალხის ხარჯზე გამდიდრების მსურველთა რაოდენობა საკმარისზე მეტია. მათ, რასაკვირველია, არ აღელვებთ, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეებმა თავი ვერც სიღარიბეს დააღწიეს და ვერც სამოქალაქო ომს.

ამ, არცთუ მაინცდამაინც ბოლომდე საფინანსო მიზნებს (სურსათსა და ენერგეტიკასაც აქვს გეოპოლიტიკური შემადგენელი) უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი, რომელსაც უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს გეოპოლიტიკისა და ფინანსების თვალსაზრისით: ვგულისხმობ ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების სისტემას. საქმე ის არის, რომ უკრაინა რუსული ბუნებრივი აირის ტრანსეროვნული მიწოდების ცენტრალური კვანძია ევროპისთვის.

სწორედ ეს ძირითადი როლი და 2004 წლის პირველი მაიდნის შემდგომ პერიოდში განვითარებული არაერთი კონფლიქტი მოსკოვსა და კიევს შორის ქმნისბუნებრივი აირით ევროპის მომარაგებაში მოსალოდნელი პრობლემების წარმოქმნის რეალურ საშიშროებას. ამიტომ იყო, რომ **მერკელი** და **ოლანდი** მონდომებით ილვწოდნენ მინსკის ხელშეკრულების გაფორმებისთვის.

სწორედ ამიტომ არის, რომ გერმანია მტკიცედ უჭერს მხარს გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის განხორციელებას, რომლითაც რუსულ აირს უშუალოდ რუსეთისგან მიიღებს და არა უკრაინის სატრანსპორტო კვანძის გავლით. უკრაინა აშანტაჟებს ევროპას, რადგან „ნეზალეჟნაიას“ ხელთაა საკეტი, რომლის საშუალებითაც შეუძლია, ნებისმიერ მომენტში შეუწყვიტოს ბუნებრივი აირის მიწოდება ევროპას და გარკვეული ნაწილი თვითონ მოიხმაროს საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, როგორც ეს იყო პირველი მაიდნის პერიოდში წამოჭრილი გაზის კონფლიქტების პერიოდში. სწორედ ამასთანაა დაკავშირებული კიევის ისტერიკული რეაქცია „თურქული ნაკადისა“ და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტებზე, რომელთა ამუშავება მოუსპობს შესაძლებლობას, იმოქმედოს თავისი სურვილების შესაბამისად, ანუ დაბრკოლებები შეუქმნას სხვათა გეოპოლიტიკური გავლენის გეგმების განხორციელებას.

**ამ ვითარებაში სრულად ვლინდება 13 ოქტომბერს „ინტერფაქსის“ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მნიშვნელობა იმ ფაქტის შესახებ, რომ მილანის ბანკმა „როტშილდმა“ მოიგო ტენდერი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების დეცენტრალიზაციისა და უკრაინის გაზის ტრანსპორტირების სისტემისთვის პარტნიორების მოზიდვის საქმეში.**

როტშილდის ბანკთან მოლაპარაკების თანხა 98 მილიონ გრივნას (3,15 მილიონი ევრო) შეადგენს, მაშინ, როცა სამუშაოს საერთო ღირებულება 193,3 მლნ გრივნადაა შეფასებული (6,213 მილიონ ევროდ).

თუ ამ ყველაფერში ბოლომდე ვერ გაერკვიეთ, გეტყვით, რა შედეგი მოჰყვება ამ კონტრაქტს.

რა იგულისხმება დეცენტრალიზაციაში? სახელმწიფო კომპანია „ნაფტოგაზი“ სრულად მართავს თავის დარგს, ამასთანავე, ნავთობის სექტორს მოპოვებიდან ტრანსპორტირებამდე და რეალიზაციამდე. გაზის ტრანსპორტირების სისტემაში ჩართულია „უკრტრანსგაზიც“, რომელიც „ნაფტოგაზის“ (მაშასადამე, უკრაინის სახელმწიფოს) კუთვნილებაა.

„ნაფტოგაზი“ „უკრტრანსგაზის“ მეშვეობით აკონტროლებს ქვეყნის ყველა გაზსადენს. „ნაფტოგაზივე“ უხდის „გაზპრომს“ უკრაინისთვის მიწოდებული გაზის საფასურს. საწარმოს მიერ გადაუხდელი ანგარიშები ორი ქვეყნის „გაზის კონფლიქტების“ მიზეზი გახდა.

რას ცვლის ზემოთ აღნიშნული ტენდერი? **უკრაინის გაზის ტრანსპორტირების სისტემის დეცენტრალიზაცია ნიშნავს, რომ ეს სისტემა კონკურენციისთვის გახსნილი იქნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს კუთვნილ გაზსადენებს მიჰყიდიან (თავდაპირველად — ნაწილობრივ, შემდგომ — სრულად) კერძო კომპანიებს.სწორედ აქ გამოჩნდება „როტშილდი“, როგორც „საინვესტიციო ბანკი“. ის გაუწევს კონსულტაციას „ნაფტოგაზს“: რომელი კომპანიისთვის იქნება წილების მიყიდვა უფრო მომგებიანი სახელმწიფოსთვის.**

ამ გარიგების არსი არის ის, რომ შედეგად უკრაინული კვანძი სახელმწიფოს საკუთრებიდან კერძო საწარმოების მფლობელობაში გადავა, ანუ ინვესტორებისა და ბანკების ხელში მოექცევა. ამ შემთხვევაში ყველაზე დიდ სარგებელს მიიღებს ბანკი-კონსულტანტი, ანუ „როტშილდი“.

შედეგად, „გაზის ონკანს“ დაისაკუთრებენ კერძო საწარმოები და ბანკები, მათ შორის (ეგებ, უწინარეს ყოვლისა) „როტშილდი“, რომელიც ცნობილია თავისი „სისხლიანი ინვესტიციებით“.

უკრაინას დაანაწევრებენ და ნაჭერ-ნაჭერ მიჰყიდიან ფინანსისტებს. ბოლო ათწლეულების ომების უმეტესობა, უწინარეს ყოვლისა, ბუნებრივი რესურსების (ნავთობის, გაზის, ძვირფასი ლითონების) ხელში ჩასაგდებად მიმდინარეობდა. ეს ომები ფრიად რენტაბელურია მათთვის, ვინც აფინანსებს ამ კონფლიქტებს. როტშილდების მსგავსმა ზოგიერთმა ოჯახმა ადამიანების სისხლითა და სიკვდილით მოიპოვა უზარმაზარი ქონება. ჯარისკაცებმა, რომლებსაც სჯეროდათ, რომ სამშობლოსთვის სწირავდნენ თავს, რეალურად სხვების გამდიდრებას შეუწყვეს ხელი.

**კრისტელ ნეანი**, AgoraVox-ი (საფრანგეთი)



**უკრაინის გაზის ტრანსპორტირების სისტემის დეცენტრალიზაცია ნიშნავს, რომ ეს სისტემა კონკურენციისთვის გახსნილი იქნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს კუთვნილ გაზსადენებს მიჰყიდიან (თავდაპირველად — ნაწილობრივ, შემდგომ — სრულად) კერძო კომპანიებს. სწორედ აქ გამოჩნდება «როტშილდი», როგორც «საინვესტიციო ბანკი». ის გაუწევს კონსულტაციას «ნაფტოგაზს»: რომელი კომპანიისთვის იქნება წილების მიყიდვა უფრო მომგებიანი სახელმწიფოსთვის**

# რუსეთისა და ინდოეთის მეცნიერებმა შექმნეს კიბოს საწინააღმდეგო ნანონაწილაკები

**ნანონაწილაკები ვარსკვლავების ფორმისაა, მათ შეუძლია კიბოს უჯრედების მოსპობა. მათი დახმარებით ადრეულ სტადიაზე დგინდება დაავადება.**

„კვლევის მიზანი იყო ნანოსტრუქტურის შექმნა, რომელიც გამოყენებული იქნებოდა მედიცინაში“, — განაცხადა ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა **დულალ სენაპათიმ.**

ნანოვარსკვლავები ფოტოთერმულ თერაპიაში ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალებაა, რომელიც გამოსხივებას გამოიყენებს მრავალი დაავადების მოსარჩენად, მათ შორის კიბოს. სამკურნალო პროცედურის დროს ნანონაწილაკებს ნერგავენ სიმსივნეებში. ეს ნაწილაკები ლაზერის სინათლეზე გამოჰყოფენ სითბოს, რომელიც შლის კიბოს უჯრედების მემბრანას და სპობს მათ ისე, რომ არ აზიანებს ჯანსაღ უჯრედებს.

სენაპათიმ თქვა, რომ ვარსკვლავები, რომელთაც პლაზმური ნანონაწილაკები დაარქვეს, ენერგიულად ანაწილებენ სინათლეს და იოლად ამოსაცნობია მუქი მელნისფერი



განათების გამოყენების შემთხვევაში. ოქროს ნანონაწილაკები სინთეზირდება ვიტამინ C-თი გაჯერებულ წყლის ნაზავში, რის გამოც ისინი იაფი და არატოქსიკური ხდება. წინასწარი შეფასებით, 100 მიკროლიტრი დაახლოებით ორმოცდაათი რუბლი ეღირება, ასკვნის Economic Times.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894